ჩიხვიზ ითოძათლვი

ფრთელ ძალლი, ფლოვის პირს ადევნებდა

„ნაკადული“, თბილისი, 1982

С (Кирг) 2
894.341—93
А 365

გამოჩენილი ყირგიზი მწერლის ჩინგიზ აითმათოვის ამ მოთხრობაში დასმულია ყმაწვილის სულიერი ფორმირებისა და დავაუკაცების ერთობ საგულისყურო პრობლემა. მოხუცი ნივსი და ორი მოწიფული მონადირე ზღვაში გადიან კარჭაპით, რათა ყრმა კირისკი თავიანთ გამოცდილებასა და სიბრძნეს აზიარონ, დაამზობილონ ზღვას. ბიჭს უსდება, არა მარტო ფიზიკური გამძლეობა, არამედ სულიერი ძალაც გამოაელინოს.

თარგმნა
თენგიზ ჩსაიძეე

© „ნაკადული“ 1982 წ.

А $\frac{70803-147}{М\ 603(08)-82}$ 90—82

ჭრელი ძაღლი, ზღვის პირს ადევნებული

ვლადიმერ სანგის

მქროლავი ნამცვრევით გაჯერებულსა და სუსხგამჯდარ უკუნ ღამეში, ოხოტის სანაპიროს სიგრძივ, ზღვისა და ხმელეთის მთელ გაყოლებაზე ოდითვე მომდინარე დაუცხრომელ ჭიდილში იყო ორი სტიქიონი — ხმელეთი ზღვის ლტოლვას ეღობებოდა, ზღვა კი კვლავ და კვლავ გამეტებით უტევდა ხმელს.

გუგუნებდა, ჭირკოდილობდა უკუნს დანთქმული ზღვა, ეძგერებოდა კბოდეს და თავ-პირს შეალეწავდა. იგერიებდა ზღვის ამ კვეთებას, გულის შემძვრელად გმინავდა ქვისებურ მყარი მიწა.

ასე შერკინებიან ერთურთს დასაბამითვე — მას აქეთ, . რაც იქმნა დღე და რაც იქმნა ღამე, და კვლავაც აგრე უნდა იყოს მუდამ ჟამს, დღეცისმარე და ღამეცისმარე, ვიდრემდის ჰგიეს წყალი და ხმელეთი დაუსრულებელ ჟამთადენაში.

დღეცისმარე და ღამეცისმარე...

ილეოდა კიდევ ერთი ღამე. წინაღამე ზღვაში გასვლისა. იმ

ღამეს რული არ მიჰკარებია მას. თავის სიცოცხლეში პირველად გაფრთხობოდა ძილი, პირველად იყო, უძილობა გამოეცადა. რა ექნა, ერთი სული ჰქონდა, როდის გათენდებაო, რა არის ზღვაში გასულიყო. იწვა სელაპის ტყავზე და შეესმოდა, რარიგ ძლივს საგრძნობლად ტოკავდა მის ქვეშე დედამიწა ზღვისა ძგერებისაგან, რა ზათქი და ვაგლახი გაუდიოდა ტალღებს ყურეში. არ ეძინა, მიჰყურადებოდა სიღამეს...

არადა, ხომ სხვარიგად იყო ყოველივე ოდესღაც. აბა, ახლა წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენდა კაცი ამისთანა რამეს. ამჟამად ვინ რა იცის იმ ამბისა, ან თუგინდ აზრადაც ვის მოუვა, იმ უძველეს დროს იხვი ლუვრი არ ყოფილიყო, ქვეყანა, შესაძლოა, სულ სხვანაირ წესსა და რიგზე გამართულიყოო — ხმელეთი წყალს არ აღუდგებოდა წინ, წყალი კიდევ ხმელეთს არ დაუდგებოდა პირისპირ. აკი თავდაპირველად — დასაბამისას — მიწა არცა ყოფილა სადმე, ერთი ფიორიც არსად მოიძევებოდა. ირგვლივ სულ წყალი, მხოლოდ და მხოლოდ წყალი გადაჭიმულიყო. წყალი თავადვე წარმოიქმნა თავისი თავისაგან, თავისსავე ბრუნვა-ტრიალში გაჩნდა — ბნელ მორევებში, უძირო უფსკრულთა წიაღში იშვა. და ზვირთი ზვირთზე მიგორავდა, ყოველი მხრით განილტვოდა ზვირთები იმხანად ჯერ ისევ უმხარეებო ქვეყანაზე, არსაიდან მოღელავდა და არსაითკენ მიღელავდა.

იხვი ლუვრი კი, აი, სწორედ ის ჩვეულებრივი ფართონისკარტა გარეული იხვი, დღესდღეობითაც გუნდ-გუნდად რომ გადაგვიქროლებს ხოლმე თავს, იმხანად მარტოდმარტო დაფრინავდა ქვეყანაზე, ვერსად ეპოვა კვერცხის დასადები ალაგი. მთელ დუნიაზე არარა იყო, გარდა წყლისა, ლერწმის ღეროც კი არსად ჩანდა, რა არის ბუდე გაეკეთებინა.

ყივყივით დაფრინავდა იხვი ლუვრი — ეშინოდა, ვაითუ ვერ

შევიკავო, უფსკრულს ჩამივარდესო კვერცხი. საითაც უნდა მიეშურებინა, სადაც უნდა მიფრენილიყო — ყველგან ტალღას გაჰქონდა ტლაშუნი იმის ფრთებქვეშ. ირგვლივ. განფენილიყო დიადი წყალი — უკიდეგანო წყალი, არც დასაწყისი, არც ბოლო რომ არ ჰქონდა. გაწვალდა იხვი ლუვრი, დარწმუნდა: მთელ ქვეყანაზე არსად მოიძებნებოდა ბუდის ასაშენებელი ალაგი.

მაშინ იყო, წყალზე დაჯდა იხვი ლუვრი, გამოიხშირა ნაკრტენი გულმკერდზე და აგრე გაიკეთა ბუდე. აი, სწორედ იმ მოტივტივე ბუდისაგან იწყო წარმოქმნა დედამიწამ. თანდათან განივრცოდა იგი, თანდათან მკვიდრდებოდა ზედ ნაირგვარი სულდგმული. ყველას ადამიანმა აჯობა იმათ შორის — მოახერხა თოვლზე თხილამურებით ევლო, წყალზე ნავით ეცურა; ნადირობას მიჰყო ხელი, თევზის ჭერა ისწავლა; ასე ირჩენდა თავს და მოდგმას ამრავლებდა.

ოღონდ რა იცოდა იხვმა ლუვრმა, რარიგ გაჭირდებოდა ყოფა ამქვეყნად, რაკი წყლის განუყოფელ საუფლოში ხმელეთი გაჩნდებოდა. აკი მას შემდეგ, რაც დედამიწა წარმოიქმნა, ზღვა ვერა და ვერ დაშოშმინებულა; მას აქეთია, ზღვა ხმელეთს შეჰბმია, ხმელეთი კიდევ ზღვას შესჭიდებია. ადამიანს კი ზოგჯერ მეტად უჭირს იმათ შუა მოქცეულს: აქეთ ხმელეთია, იქით ზღვა, აქეთ — ზღვა, იქით — ხმელეთი. არ მოსდის თვალში ადამის ძე ზღვას, რახან უფრორე დედამიწას შეთვისებია იგი...

მოიწევდა ალიონი. კიდევ ერთ ღამეს ვარდებოდა ჯანი, დგებოდა ახალი დღე. ცისპირტეხის მორუხო ბინდში თანდათან ილანდებოდა, ისე, ვით გაილანდება ირმის დრუნჩი სუნთქვისაგან ავარდნილ ლეგლურჯა ოხშივრის წიაღ, ნაპირთან ზღვის შეხლის ზოლი. ქშენდა ზღვა. და იმ აქაფებული წყლის არშიის გაყოლებაზე მქროლავი ნამცვრევი ცივ ორთქლად მიიბოლქვე-

ბოდა მაღლა. ზვირთცემის გაბმული გუგუნი იდგა მთელი სანა-პიროს გასწვრივ.

გაჯიქებულიყვნენ ტალღები: ძალუმად უტევდნენ ნაპირს, ზედიზედ აიჭრებოდნენ ალმა, აირბენდნენ ხეშეშ, მოსილულსა და მოლიპულ რიყეზე, თავს გადაევლებოდნენ მურა, სლიპინა ქვების შვავს, მიისწრაფოდნენ სულ ზევით და ზევით, ვიდრემდის ძალა და სულთქმა ეყოფოდათ; იქ კი, ბოლო მიჯნაზე, მიიშრიტებოდნენ და მიილეოდნენ, ისე ვით ამოსუნთქვა მიილევა ხოლმე. მყისიერ ქაფს დაიჩნევდა ის ალაგი და დაიკრავდა ნაჯანჯღარევ-ნაწოწიალები, შემპალი წყალმცენარეების სუნს.

ჟამ-ჟამად ზვირთცემა ნაპირზე გამოტყორცნიდა ყინულის ხორგის ნატეხებს; ღმერთმა უწყის, საიდან მოეტანა ის ხორგები გაზაფხულის ხანის კვალობაზე ამოძრავებულ ოკეანეს. ცეტი ყინულის ნალეწები, რა რომ მოსილულ ნაპირზე გამოიყრებოდნენ, ერთბაშადვე იქცეოდნენ უცნაურ და უმწეო ნაპობებად მოყი-ნული ზღვისა. მოიჭრებოდა ფიცხლად ტალღა და უკანვე გაიტაცებდა მათ, თვისსავ წიაღისკენ გააქანებდა.

ბინდი გაიფანტა. უფრო და უფრო მატულობდა დღის ლიცლიცი. თანდათან დაჩნდა არე-მიდამო: ზღვაზე გამოდარებას აპირებდა.

ღამეული ქარისაგან აღძრული ტალღები, თეთრად წამოქოჩრილნი, წყება-წყებად მოიზვირთებოდნენ და ჯერ ისევ ბობოქრობდნენ ნაპირ-ნაპირ, მაგრამ შუაგულისკენ, შორეთს და შორეთს უკვე წყნარდებოდა, შოშმინდებოდა ზღვა, ძლიერი ჭავლი მოსდებოდა იმ მხარეს და ლეგად ციგლიგებდა.

იწეწებოდა ზღვის თავს დაჯარული ღრუბლები, ზღვისპირა ბორცვებისაკენ მიზოზინობდა.

იმ ალაგს, ახლორე ჭრელი ძაღლის უბისა, ზღვაში ირიბად

შეჭრილ ბექობიან ნახევარკუნძულზე, აღმართულიყო ყველაზე უფრო თვალში საცემი კლდე-ბექი, შორიდან მართლაც რომ მოგაგონებდა ვეებერთელა ჭრელ ძაღლს, რომელიც ზღვის კიდე-კიდე მირბოდა თავის საქმეზე. ფერდებს მეჩხერი ჩირგვნარ-წვრილიანი უფარავდა, თხემს ზაფხულის მცხუნვარე დღეებამდე შერჩებოდა ხოლმე თოვლის თეთრი ლაქა, რაიც დიდ პარტყუნა ყურად აჩნდა, მეორე თეთრი ლაქა კი ფენთხზე — დაჩრდილულ ღრმულში მიჰკვროდა; ამგვარი შესახედაობის მქონე ჭრელი ძაღლის ბექობი მუდამ შორით შორს მოჩანდა ირგვლივ — ზღვი-დან გამოჰხედავდი თუ ტყიდან.

აქედან, ჭრელი ძაღლის უბიდან, დილაადრიან, როცა მზემ ორი ალვის სიმაღლეზე აიწია, ზღვაში ნივხური კარჭაპი შეცურ-და. ნავში იჯდა საშოვარზე მიმავალი სამი მთხევარი, თან ბიჭი ახლდათ. ორი მამაკაცი, უფრო ჯეელები და ჯანიანნი რომ იყვ-ნენ, ოთხი ნიჩბით უსვამდა. ბოლოში, კიჩოზე, იჯდა უხუცესი მათ შორის; იგი საჭეს მართავდა, თან ნება-ნება სუტავდა ხის ჩიბუხს. ხმელ-ხმელი ბერიკაცი იყო, ყავისფერი პირისახე ჰქონ-და, ყელზე ხვანჩი გამობურცვოდა; სახე მთლად დაღარვოდა — მეტადრე კისერი დასერვოდა ღრმა-ღრმა ნაოჭებით, ხელებიც იერის შესაფერისი ჰქონდა — დიდრონი, სახსრებში გამსხვილე-ბული, დახეთქილ-დაკორძებული. ჭაღარა იყო უკვე. თითქმის მხცით მოსილი. ყავისფერ სახეზე მკაფიოდ ეტყობოდა ყაჟირა წარბები. ბერიკაცს წაწითლებული თვალები ეცრემლებოდა და ჩვეულებისამებრ ჭუტავდა მათ: აკი თავისი დღე და მოსწრება მზის სხივებზე მოლაპლაპე ამ წყლის ზედაპირის ცქერა უხდე-ბოდა. მისი შემხედვარე აგრე იტყოდი, ანდეზე მართავსო ნავს ყურეში გეზის გამკვლევი. კარჭაპის თავში კი, ზედ ჭვინტზე, ლაინივით დასკუპულიყო თერთმეტი-თორმეტი წლის შავთვა-

ლება ბიჭი. ძლივს იკავებდა თავს, წამდაუწუმ არ ეცქმუტა და ეწრიალა, მალიმალ გააპარებდა მზერას უფროსებისკენ, ნახავდა, წყრომა ხომ არ ემჩნეოდა პირქუშ უხუცესს.

მღელვარებას მოეცვა ბიჭი. აღგზნებისაგან ნესტოები ებერებოდა, პირისახეზე ფარული ჭორფლი აჩნდებოდა. ეს დედისაგან გამოჰყვა — იმან იცის ასე, თუ რამე ძალიან გაუხარებს გულს, ამგვარი ფარული ჭორფლი გამოასხდება ხოლმე სახეზე. იღელვებდა ბიჭი, აბა, რა იქნებოდა. აკი მისი გულისთვის, მისდა საწვრთნელად გადიოდნენ ზღვაში, უნდა მონადირეობისთვის ეზიარებინათ. მიტომაც აქეთ-იქით ლაინივით ატრიალებდა თავს კირისკი, გაუნელებელი ცნობისწადილითა და მოუთმენლობით ატანილი იცქირებოდა გარშემო. თავის სიცოცხლეშიც პირველად მიემართელოდა გაშლილ ზღვაში ნამდვილ მონადირეებთან ერთად, ნამდვილ, დიდ ნადირზე სანადიროდ, მიემართებოდა ზორბა საგვარეულო კარჭაპით. ბიჭს ძლიერ ეწადა, ზეზე წამომდგარიყო, მენიჩბენი დაეჩქარებინა, ძლიერ უნდოდა, თავადვე მისჯდომოდა ნიჩბებს, მთელი ძალ-ღონით მოესვა, რათა მალევე მიცურებულიყვნენ კუნძულებამდე, სადაც ელოდათ დიდი ნადირობა ზღვის ცხოველებზე. მაგრამ ჭკუადამჯდარ უფროსებს ვაითუ სასაცილოდ მოსჩვენებოდათ ეს ბალღური სურვილი. ჰოდა, რაც გაეწყობოდა, ლამობდა, არა შეეჩნევინებინა რა მათთვის. ოღონდ მთლად ვერ ახერხებდა ამას. უჭირდა დაეფარა, რა ბედნიერებას განიცდიდა — მკვრივი შავტუხა ლოყები წითლად აჰღუებოდა. თავიდათავი კი თვალები გახლდათ, გაბრწყინებული, ალალი, აფოფინებით მომზირალი თვალები, ბიჭუნას პირობაზე უნებურ რომ ამხელდნენ სიხარულსა და სიამაყეს, იმას, რითაც გული ილხენდა. წინ ზღვა გაშლილიყო, წინ ელოდა დიდი ნადირობა!!!

მოხუც ორგანს ესმოდა, რაც ხდებოდა ბიჭის გულში. თვალ-
მოკიჟული რომ გაიცქირებოდა და ისე მიადევნებდა თვალყურს
ნავის გეზს, თან ბიჭის განწყობასაც ინიშნებდა, ამჩნევდა, რარიგ
ცქმუტავდა იგი მოუთმენლობით შეპყრობილი. ბერიკაცს სილბო
ჩაუდგებოდა თვალებში — ჰაი, გიდი, ბავშვობავო — ოღონდ
ჩავარდნილი პირის კიდეებში დაჩნეულ ღიმილს ხელადვე მოი-
შორებდა — ადგებოდა და მონდომებით მოქაჩავდა ნახევრად ჩამ-
ქრალ ჩიბუხს. ვერ დაანახვებდა ბიჭს ღიმილს. განა გასართობად
წამოიყვანეს. ზღვის მონადირის ცხოვრება უნდა დაეწყო. მიჰყოფ-
და ამ საქმეს ხელს და ოდესმე ზღვაზევე დალევდა სულს,—ამგვარი
გახლდათ წილხვედრი მთხევარის, მაშოვარისა, რამეთუ არა არის
რა ქვეყნად იმაზე უფრო ძნელი და სახიფათო, ვიდრე ზღვაში
ნადირობა. შეჩვევით კი პატარა ბიჭობიდანვე უნდა შეეჩვიო.
განა ტყუილად იტყოდა ძველი ხალხი: „ჭკუა ზეცით გენიჭება,
სიმარჯვე კი ბავშვობითვე შეიძინებაო“. ამის თქმაც იცოდნენ:
„ბედოვლათი მაშოვარი გვარის მეტი ბარგიაო“. აგრეა, მაშ:
მარჩენალი რომ იყოს, საამისოდ მამაკაცი პატარაობითვე უნდა
ეუფლებოდეს თავის ხელობას. უწია ჯერმა კირისკსაც, დაუდ-
გა გაწაფვის, ზღვასთან შეთვისების ჟამი.

ყველამ იცოდა ეს ამბავი, ჭრელი ძაღლის ბექობთან მოსახ-
ლე ქალთევზას მთელმა კლანმა უწყოდა, დღეს კირისკის
გულისთვის გადიან სანაოსნოდ, ამ მომავალი მარჩენლისა და
მაშოვარის გამოსაწაფავადო. წესად დამკვიდრდა: ყოველი, ვინც
მამრად დაბადებულა, ვალდებულია, ზღვას დაეძმობილოს ბავშ-
ვობიდანვე, რათა იცნობდეს ზღვა და თავადაც პატივისცემა
ჰქონდეს ზღვისა. მიტომაც იყო, სანაოსნოდ მიემართებოდნენ
უხუცესი კლანისა მოხუცი ორგანი და ორი უმარჯვესი მონა-
დირე — ბიჭის მამა ემრაინი და მამის ბიძაშვილი მილგუნი;

წინაპართა ნაანდერძევ იმ მოვალეობას ემორჩილებოდნენ, რაიც უფროსებს ედოთ უმცროსების, ამჯერად — კირისკის მიმართ. აკი ბიჭუნას დღეის ამას იქით სამუდამოდ უნდა სცნობოდა ზღვა, ამიერიდან უნდა დაკავშირებოდა მარადჟამს, იღბლიან თუ უიღბლო დღეებში.

რა ვუყოთ, თუ კირისკი ჯერ ისევ ბიჭუკელაა, თუ ჯერაც დედის ხსენი არ შეშრობია ტუჩებზე. ისიც ღმერთმა უწყის, დადგება თუ არა გამოსადეგი კაცი მისგან, ოღონდ ეგეც ვინ იცის, იქნება, როცა თავად უძლურ ბებრებად იქცევიან და საქმეს ჩამოშორდებიან, სწორედ კირისკი შეიქნეს მარჩენალი და გვარის ბურჯი. აგრე უნდა იყოს კიდევაც, აგრე მოჰყვება შთამომავლობას, თაობიდან თაობას. ამასვე ემყარება ცხოვრება.

ოღონდ ხმამაღლა არავინ არას იტყვის ამის თაობაზე. ყოველი მათგანი გულში ფიქრობს ამას, თქმით კი იშვიათად თუ იტყვის რამეს. ჰოდა, არც არავის ქალთევზას მოდგმის ხალხს შორის, აგერ იქ, ჭრელი ძაღლის სანაპიროზე რომ სახლობს, განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიუნიჭებია ამ ამბისთვის— ნათლობა რომ უნდა მიეღო საშოვარზე მიმავალ კირისკს. ის კი არადა, თვისტომნი შეეცადნენ, სულაც არ შეემჩნიათ, როგორ მიდიოდა იგი ზღვაში მოწიფულ მონადირეებთან ერთად. რა დიდი ამბავი ეგ არისო, თითქოს აგრე მიაჩნდათ გუნებაში.

მარტო დედამ გამოაცილა; სიტყვა არ უთქვამს, სად მიდიოდა შვილი. უბემდე არ მიჰყოლია, ისე გამოემშვიდობა. „აბა, გასწი ტყისკენ“! — განზრახ მკაფიოდ უთხრა, თან ზღვას კი არა, ტყის მხარეს გაჰყურებდა: „აბა, შენ იცი, შეშა ხმელი იყოს, იქ კიდე, ტყეში, გზა არ აგერიოს!“ აგრე იმიტომ ეუბნებოდა, გზაკვალი აებნია კინრებისათვის; იმათგან, იმ ავი სულებისაგან დაეცვა ვაჟიშვილი. არც მამაზე დასცდენია სიტყვა დედამისს.

თითქოს ემრაინი არც ყოფილიყოს მამა, თითქოს მამასთან კი არა, ვიღაც შემთხვევით ხალხთან ერთად მიდიოდა ზღვაში კირისკი. ამასაც მალავდა — არ შეიტყონ კინრებმა, ემრაინი და კირისკი რომ მამა-შვილი არიანო. სძულთ ავსულებს მამები და ვაჟიშვილები, როცა ისინი ერთად არიან სანადიროდ. ძალუძთ, დაღუპონ ერთი მათგანი, რათა ძალა და ნებისყოფა წაართვან მეორეს და დარდით გულმოკლულს დააფიცებინონ, აღარ გავეკარები ზღვას, აღარც ტყეში შევდგამ ფეხსო. ამგვარნი არიან ის მზაკვარი კინრები, სულ გითვალთვალებენ, სულ იმას ელიან, დრო გიხელთონ და ზიანი გიყონ კაცს.

თავად კირისკს როდი ეშინია იმ ბოროტი კინრებისა, განა პატარაღაა. დედას კი შიში აქვს, მეტადრე მის გამო შიშობს. ჯერ ჭყლინტი ხარო, ეუბნება. შენს გაბრიყვებას, დაღუპვას რა უნდაო. ისე, მართალი კია! ოჰ, ეს ბოროტი სულები, რა ჭირს არ შეგყრიან პატარაობისას — სენს მოგივლენენ ანდა ზიანს რასმე მოგცემენ, გაგახეიბრებენ ბალღს, მონადირე არ დადგესო შენგან. ვის რაღად უნდიხარ მერმე ხეიბარი! ჰოდა, კი ნუ ეხუმრები მაგ ავსულებს, უნდა უფრთხილდე, მეტადრე პატარაობისას, ვიდრე წამოზრდილხარ. ხოლო როდესაც მკვიდრად დადგები კაცი ფეხზე, როცა დადუღდები და დავაჟკაცდები, რაღა საშიშნი არიან ის შენი კინრები. ველარას დაგაკლებენ მაშინ, ეშინიათ ძლიერი ადამიანისა.

ასე გამოემშვიდობა დედა-შვილი ერთიმეორეს. ერთხანს კიდევ იდგა დედა, მდუმარედ იდგა, იმ დუმილში დაეუნჯებინა შიშიც, ვედრებაცა და სასოებაც. მერმე ნელ-ნელა გაბრუნდა უკან. ერთხელაც არ მიუხედავს ზღვის მხარეს, სიტყვა არ წამოს. ცდენია მამაზე, ვითომცდა ბაიბურში არ ყოფილიყოს, სად მიდიოდნენ მისი ქმარი და ვაჟიშვილი, არადა წინადღეს ხომ თავად-

ვე ამზადებდა იმათ სამგზავროდ, საგზალი მოუმარაგა სამი დღის სამყოფი, ახლა კი, აგერ, მთლად მიამიტად მოჰქონდა თავი, შვილის გამო შიშობდა აგრე და იმიტომ. ისერიგად შიშობდა, არრით გაუმჟღავნებია მღელვარება — არ შემატყონ ავსულებმა, გულში რა ზაფრა ჩამდგომიაო.

უბემდე არ მიჰყოლია, ისე გაბრუნდა დედა, ბიჭი კიდევ გზას ხლართავდა ბუჩქნარ-ბუჩქნარ, კვალს ურევდა იმ უჩინარ კინრებს — აკი აგრე დაარიგა დედამ. ჰოდა, არ უნდოდა, გული ეტკენინებინა დღევანდელ დღეს; ასე მირბოდა იგი, უნდა დასწეოდა კარგა დიდ მანძილზე დაწინაურებულ უფროსებს.

მალევე წამოეწია იმათ. აუჩქარებლად მიდიოდნენ ტვირთაკიდებულნი, მხარზე თოფი მოეგდოთ, საჭირო იარაღი მიჰქონდათ. სულ წინ უხუცესი ორგანი მიაბიჯებდა, მერმე მიჰყვებოდა მხარბეჭიანი, წვეროსანი ემრაინი, ტანადობით რომ გამოირჩეოდა; კვალდაკვალ ჯმუხი, ჯირკუტანა მილგუნი მიბაჯბაჯებდა. ტანთ დაძველებული ტალავარი ეცვათ, ზღვაზე სახმარი, გამოქნილი ტყავებისაგან შეკერილი, სითბო რომ შეენარჩუნებინა და სისველეს არ გაეჟღინთა. კირისკი კი მორთულ-მოკაზმული გამოიყურებოდა იმათთან შედარებით. დედას ეზრუნა საამისოდ, დიდი ხანია უმზადებდა საზღვაო ტანსაცმელს. რბილი ირმის ტყავის წაღებიცა და ზედა საცმელიც ნაპირებმოქარგული ჰქონდა. ზღვაზე, აბა, რისი მაქნისია ეს ყოველივე. მაგრამ დედის გულის ამბავი ვის არ მოეხსენება.

— დახე ერთი, ჩვენ კი გვეგონა, თუ დარჩიო; ხელი თუ ჩაგკიდეს და შინისაკენ წაგაცუნცულესო! — დამცინავად გაიკვირვა მილგუნმა, როცა კირისკი წამოეწია.

— ვითომ რათაო? კი, აბა! განა ეგეთი ვარ! — ისე ძალიან ეწყინა კირისკს, ლამის სული შეუგუბდა.

— აბა, აბა, ხუმრობას ვერა ხვდები, — შეგონების კილოთი უთხრა მილგუნმა, — ნუ იბერები. ერთმანეთს თუ არ გავეხუმრეთ, არ გავექილიკეთ, აბა ისე როგორ გინდა, როცა ზღვაზე ხარ. აჰა, ეს შენ, გადაიკიდე! — თავისი ვინჩესტერი გაუწოდა. მოუმადლიერდა გული ბიჭს, მხნედ მიჰყვა გვერდით.

მერმე ის იყო, ნავში ჩასხდნენ, ჩაალაგეს ბარგი და ნაპირს მოსცილდნენ.

აი, ასე გავიდნენ ზღვაში, შეუმჩნევლად, უზარზეიმოდ. სამაგიეროდ, დაბრუნებისას, უკეთუ ბედმა გაუღიმათ და ნანადირევი მოიყოლეს, დიდი ამბით შეხვდებიან. მაშინ კი ჯეროვან პატივს მიაგებენ ბიჭს. გაიმართება დღესასწაული ყმაწვილი მონადირის დახვედრისა, სიმღერებს იმღერებენ ზღვის სიუხვეზე, ზღვისა, რომლის თვალჩაუწვდენელ სიღრმეში მრავლობს თევზი და ნადირი, წილხვედრნი რომ არიან ძალმოსილ, გულად მთხევართა. იმ სიმღერებში ქებას შეასხამენ ქალთევზას, წინაპარ ქალს, ვისგანაც მომდინარეობს ამათი მოდგმა. ატყდება მაშინ ბაგუნი დაფდაფებზე ნეკერჩხლის ჯოხების ცემისაგან, და მროკავთა შორის ჩამდგარი შამანი — ყველაზე ჭკვიანი კაცი — წყალსა და დედამიწას შეეძრახება. შეეძრახება კირისკზე, ახალმოვლენილ მონადირეზე. მაშ, სწორედ მის გამო შეესიტყვება წყალსა და დედამიწას, შეულოცავს და შეევედრება, მარად გულმოწყალენი იყვნენ წყალი და დედამიწა მის მიმართ, დადგეს მისგან დიდი მთხევარი, მუდამ სწყალობდეს ბედი წყალზეც და დედამიწაზეც, მუდამ ახერხებდეს, სამართლიანად უნაწილებდეს ნანადირევს დიდსა თუ პატარას. კვალად შეულოცავს და შესთხოვს იგი, ყოვლად ბრძენი შამანი, ბევრი შვილი გასჩენოდეს კირიკს და სუყველა დაზრდოდეს, რათა მრავლდებოდეს მოდგმა დიდი ქალთევზასი, ნაგრამს ნაგრამი ემატებოდეს:

სად, სად დაცურავ, დიდო ქალთევზავ?
შენი ცხელი საშო დერიტაა სიცოცხლის,
შენმა ცხელმა საშომ გვშობა ჩვენ ზღვის პირას,
შენი ცხელი საშოს სადარი ალაგი ქვეყნად სად არის.
სად, სად დაცურავ, დიდო ქალთევზავ?
შენი თეთრი ძუძუნი — ვითა თავნი სელაპისანი,
შენმა თეთრმა ძუძუებმა რძე გვაწოვეს ჩვენ ზღვის პირას.
სად, სად დაცურავ, დიდო ქალთევზავ?
ყველაზე ძალოვანი მამრი შენკენ გამოსწევს ცურვით,
რომე ყვავილობდეს საშო ეგე შენი,
რომე მრავლდებოდეს ქვეყნად ნაგრამი შენი...

ამგვარ სიმღერებს იმღერებენ იმ დღესასწაულზე, ცეკვას რა გააჩაღებენ და ჟრიამული შეუდგებათ. იმავ დღესასწაულზე ერთი სახიობაც შესრულდება კირისკისთვის საგულხმიერო. მონადირულ ყისმათს მისას ცაზე მბრწყინავ ერთ-ერთ ვარსკვლავს მიანდობს შმაგად მროკავი შამანი. ყოველ მონადირეს ხომ თავისი მფარველი ბედის ვარსკვლავი ჰყავს. ოღონდ რომელ ვარსკვლავს მიენდობა კირისკის ბედი, ვერავინ ვერასოდეს შეიტყობს. თავად შამანს და იმ ვარსკვლავს, იმ უხილავ მფარველს ეცოდინებათ მხოლოდ ეს ამბავი. მეტს არავის. ცაზე კი მრავალი ვარსკვლავია...

რაღა თქმა უნდა, დედა და დაია ყველაზე მეტად გაიხარებენ, ყველაზე ხმამაღლა შემოსძახებენ სიმღერას და მთელი მონდომებით გააჩაღებენ ცეკვას. მამას, ემრაინს, საჯაროდ მოიხსენიებენ მამად; მასაც სიხარულით, სიამაყით აევსება გული. მანამდე კი იგი არ ითქმის მამად. ზღვაზე არც მამები არიან, არც ვაჟიშვილნი, ზღვაზე ყველანი თანასწორნი არიან და ემორჩილებიან ერთ უფროსს. რასაც ის უფროსი იტყვის, უნდა შესრულ-

დეს. მამა არაფერში ჩაერევა. შვილი კი არას შესჩივლებს მამას. ასე დანერგილა წესად.

ჰო, კიდევ, ალბათ, მუზლუქი გაიხარებს ძლიერ, გოგონა, ვისთან ერთადაც ბავშვობისას თამაშობდა ხოლმე. ბოლო ხანს უკლო მასთან თამაშს. ამიერიდან კი სულაც უნდა აიღოს ხელი: მონადირეს, აბა, სადა სცალია სათამაშოდ...

ლაღად მიცურავდა ნავი, ზოგჯერ ოდნავ წაყვინთავდა ხოლმე ტალღაზე. უკვე რა ხანია უკან მოიტოვეს ჭრელი ძაღლის უბე, გასცდნენ გრძლად წოდებულ კონცხს და ყურედან ზღვაში რა გავიდნენ, ნახეს, გაშლილ ზღვაში იმაზე ძლიერი არ იყო ღელვა, ვიდრე ყურეში. თანაბარზომიერად ტლაშუნობდა ტალღა, და ეს თანაბარი ნჩქრევა შესაძლოს ხდიდა, ნავს მსუბუქად ევლო.

მისრიალებდა ვეება ალვის ხისაგან ამოთლილი ნავი. საიმედოდ იჯდა წყალზე, გინდ პირდაპირი ტალღა შემოხლოდა, გინდაც გვერდული ტალღა შესჯახებოდა, იოლად ემორჩილებოდა საჭეს.

ისევ ისე სუტავდა უკვე ჩამქრალ ჩიბუხს მოხუცი ორგანი. სიამეს ჰგვრიდა ნავის საიმედო სვლა. იმგვარი გრძნობა ჰქონდა. გულში, თავადვე ყოფილიყოს თითქოს ნავი, გათოშილ ზღვაში რომ მიიწევდა ნახევარი ქიმის სიღრმეზე წყალში ჩამჯდარი; იმგვარი გრძნობა ჰქონდა, თავად მიცურავსო თითქოს გაშლილ ზღვაში, ნავის პალოთა თანაბარ ჭრიალსა და ნიჩბების მწყობრ აქნევას მიყოლილი; თავადვე მიისწრაფისო თითქოს, მიისწრაფის და კალით ისე, ვით საკუთარი მკერდით მიაპობსო წინიდან მოდენილ ზვირთებს, წყლის ნჩქრევისაგან ოდნავ მოტორტმანე. ეს შეგრძნობა ნავის სწრაფვასთან სრული შერწყმისა უცნაურ ფიქრს აღუძ-

რავდა. კმაყოფილი იყო ნავის, მეტად კმაყოფილიც, აკი თავისივე ხელით გაერანდა და ამოეთალა; წამოქცევით კი ერთობლივ წამოაქციეს ის ალვის ხე, მარტო მისდგომოდა ან გინდაც ოთხნი ყოფილიყვნენ, რას გახდებოდნენ; ოღონდ მუშაობით მარტო მუშაობდა— სამი ზაფხულის განმავლობაში ახმობდა და ჭრიდა, ჰოდა, მაშინვე დაატყო: რაც კი თავის სიცოცხლეში კარჭაპი გაეკეთებინა, საუკეთესო იქნებოდა იმათ შორის. ოღონდ ეგაა, ამის გამფიქრებელს გული სწყდებოდა უნებურად: ვაითუ ეს ნავი უკანასკნელი გამომდგარიყო მის ბარობაზე. ნეტა კიდევ აცოცხლა ცოტა ხანს. ერთხანს კიდევ ატარა სანადიროდ ზღვაზე, ორიოდე კარჭაპი კიდევ გაარანდვინა, ვიდრე თვალი უჭრის და ალღო არ დაჰკარგვია.

აგრე ფიქრობდა და თან ნავს ესიტყვებოდა გუნებაში. „მიყვარხარ და მჯერა შენი, ჩემო ძმობილო კარჭაპო,—ეუბნებოდა ნავს, — შენ გესმის ზღვის ენა, შენ იცი ტალღის ქცევა და ზნე, ეგ არის შენი ძალა. ღირსეული კარჭაპი ხარ შენ, უმჯობესი იმათ შორის, რაც კი ამ ჩემი ხელით გამირანდავს. კაიხელა კარჭაპი ხარ შენ—ორ ზღვის კურდღელსა[1] და კიდევ სელაპს იტევ. შენი წყალობით გვიღიმის ბედი. პატივსაც მიტომ გცემ. ყველას გვიყვარხარ, როცა გიჭირს ჩვენი ნანადირევის სიმძიმისაგან, როცა გეზი ნაპირისაკენ აგიღია და ძგიდემდე ჩაიყურ-

---

[1] ზუსტი შესატყვისი ღედნისეული „лахтак"-ისა, რასაც დალი დიდი სახეობის სელაპად განმარტავს, ქართულში არ ჩანს. „ლასტაკის" სინონიმად რუსულში ზღვის კურდღელი იხსენიება. ჩვენც ამ სახელს ვხმარობთ. ოღონდ ზღვის ეს ცხოველი (დიდი ჯიშის სელაპი) მკითხველს არ უნდა აერიოს იმ ზღვის კურდღელში, რომელიც, ჩვენში დამკვიდრებული მნიშვნელობის მიხედვით. განეკუთვნება ნიუარიანი მოლუსკების (კეც-ტყაეიანთა) ოჯახს. (მთარგმნ. შენიშვნა).

ყურყუმელავებ ხოლმე, ისე რომ წყალი ზედ გადმოგენჩქრევა კიდეც. მაშინ კი ყველანი გამოიშლებიან ნაპირზე შენდა შესაგებებლად, ჩემო ძმობილო კარჭაპო!

ვინიცობაა გადავბრუნდე და მოვკვდე, დიდხანს გევლოს, შორს გევლოს ნადირით მდიდარ ადგილებში. ვინიცობაა მოვკვდე, ჯეელ და ძალოვან მონადირეებთან ერთად გეცუროს ზღვაზე. ვინიცობაა მოვკვდე, ისევე გემსახუროს იმათთვის, როგორც მე მემსახურები. და დაელოდე, ძმაო კარჭაპო, რომ ეგ ჩვენი ნაშიერიც, ეგერა ჭვინტზე რო წამოსკუპულა და თავს აქეთ-იქით ატრიალებს, გული აღარ უთმენს, — ერთი წყალი კი არა, ხმელეთი იყოს ირგვლივ, უმალ გავქანდებოდი დიდ ნადირზე სანადიროდ, მე თვითონ, მარტო გავართმევდი ამ საქმეს თავსო, აგრე ფიქრობს, — ჰო, დაელოდე-მეთქი, ძმაო კარჭაპო, ეგეც წამოიზარდოს, მაგანაც იცუროს შენთან ერთად შორს იქნება თუ ახლოს იქნება. დღეს კი პირველად წამოვიყვანეთ ზღვაზე. გაიწკრთნას. გამოიწაფოს. თუ მამას, ემრაინს, გამოემგვანება, გზიანი კაცი დადგება. განა ისეთი, ჩიტირეკია ვინმეაო, რო იტყვიან. ემრაინს, მე მგონი, ერთიც ვერა სჯობს ახლანდელ მონადირეებში. ჯანმაგარი ბიჭია, საქმიანი. მეც ეგეთი ვიყავ ოდესღაც, ჯეელობაში. ქალებს ვუყვარდი მაშინ. მე კი მეგონა, წუთისოფელი დაუსრულებელია-მეთქი. გვიანღა ხვდები კაცი, ეგრე რო არ არის. ახალუხლებს კი არც ედარდებათ ეს ამბავი. აგერა, ემრაინსა და მილგუნს უთუოდ არ აწუხებთ ეს ფიქრი ჯერ. არ აწუხებთ და ნუ აწუხებთ. მოესწრებიან მაგ დროსაც. ნავი კი კარგად მიჰყავთ, მარჯვედ უსვამენ ნიჩბებს. მილგუნი სწორედ ემრაინის ჯუფთია. საიმედონი, გამძლენი არიან ორივენი. ნავი, იტყვი, თავისით თუ მიცურავს, თამაშ-თამაშითაო. მაგრამ ასე გეჩვენება მხოლოდ. ზღვაზე ხომ მკლავის ძალა გაჭარებს კაცს.

წინ კი რამოდენა სავალია! დღეს თითქმის დაბინდებამდე უნდა ვიცუროთ, ვიდრე მივაღწევდეთ მესამე კერტამდე, ხვალაც, უკან გამობრუნებულები, მთელი დღე გზაში უნდა ვიყოთ. დილიდან მოყოლებული საღამო ხანამდე. ხან ერთს შევენაცვლები, ხან მეორეს, განა სახუმარო საქმეა — ნიჩბებით გადასერო ეს ამოდენა ზღვა. თუ გაგვიმართლა და ნანადირევით დატვირთული დავბრუნდით, იცოცხლე, დღესასწაულს გავმართავთ.

გეყურება ჩემი, მიგებ, რასაც გეუბნები, ძმაო კარჭაპო? იმ კუნძულებთან მიგვიყვან, სამ კერტთან, დიდი ნადირობის ადგილას. იმიტომაც მივალთ იქითკენ. იქ, ნაპირზე, სელაპების თავშესაყარია. მალე ნაშიერი უნდა მოიგოს სელაპმა, ჰოდა, ჯოგ-ჯოგად იყრის კუნძულებზე თავს.

გესმის ჩემი, ძმაო კარჭაპო? შენ კი გესმის ჩემი გულისთქმა. მე მაშინ დაგიწყე ლაპარაკი, როცა ზღვას არ იცნობდი ჯერ, როცა ჯერ ისევ ყუდრობდი ტყეში მდგარი დიდი ალვის ტანში. გამოგაცალე იმ ხეს, ჰოდა, აგერ ერთად მივცურავთ ახლა.

როცა მე აღარ ვიქნები დუნიაზე, ნუ დამივიწყებ, ძმაო კარჭაპო. მომიგონებდე ზღვაზე ცურვისას...“

ამგვარ ფიქრებს გაჰყოლოდა ორგანი, თან გეზი იმ ხაზისათვის მიემარჯვებინა, რაიც მთავარი სანიშნოდან, სანაპიროზე აღმართული ჭრელი ძაღლის ბექობიდან, სწორეზე კვეთდა ზღვას. ერთი საკვირველი თვისება დანათლოდა იმ კლდე-ბექს, ამას ამბობდა ყველა, ვისაც ზღვაზე ცურვა უწევდა, — უღრუბლო ამინდში ბექობი თითქოსდა იზრდებოდა იმის კვალობაზე, რაც უფრო შორდებოდი ზღვაში შეცურებული. იტყოდი, კუდში მოგვდევსო ჭრელი ძაღლი, არა სურს ჩამოგვრჩესო. გაიხედავდი ნაპირისკენ და თვალწინ აგესვეტებოდა. კარგა დიდხანს მოჩანდა. ის ბექობი შორი მანძილიდანაც, მერმე კი, წყლის დაღმართ-

დაღმართ ჩაქანებულს, ერთბაშად გაგიქრებოდა თვალთაგან. მაშასადამე, შინისაკენ გაბრუნებულიყო ჭრელი ძაღლი, მაშ, უკან შორს დარჩენილიყო დედამიწა...

და მაშინ უნდა დაგეხსომებინა, კარგად დაგეხსომებინა, საით, რომელ მხარეს დარჩა ჭრელი ძაღლი, უნდა დაგეხსომებინა ქარის მიმართულება, მზის დგომა ბექობის მიმართ, უნდა მოგენიშნა ღრუბლები, თუ წყნარი ამინდი იყო და სულ ერთთავად, ვიდრე მიცურავდი, ვიდრე მიატანდი კუნძულებს, უნდა გხსომებოდა ჭრელი ძაღლის ადგილმდებარეობა, ამ გაშლილ ზღვაში გზა რომ არ აგბნეოდა.

თითქმის ერთი დღის სავალზე იდო ის კუნძულები, საითაც მიემართებოდნენ. უკაცრიელი, პაწაწა, კლდოვანი კუნძულები იყო — ხმელეთის სამი ნაგლეჯი, მუქ ძუძუსთავებად რომ შეჭრილიყო თვალუწვდომელ წყლის სივრცეში. მიტომაც ს ა მ კერტს უწოდებდნენ იმ კუნძულაკებს — მ ც ი რ ე ს, შ უ ა თ ა ნ ა ს ა და დ ი დ ს. იმათ იქით კი, უფრო შორს თუ გასცურავდი, გზა ოკეანისკენ იდო. კიდე-განი არ გააჩნდა იმ ოკეანეს, არცთუ იმისი სახელი იცოდნენ ამათ; გაწოლილიყო დ ი ა დ ი, უვალი, უცნობი წ ყ ა ლ ი მარადისობისა, თავისივე თავისაგან რომ წარმოიქმნოდა, ქვეყნიერების გაჩენიდან რომ სუფევდა, ჯერ კიდევ იმ ხნიდან მოყოლებული, როცა იხსვი ლუვრი აქეთ-იქით დაფრინავდა ყივყივით, ეძიებდა ბუდის ასაშენებელ პაწია ალაგს — ხელისგულისოდენა ნაჭერს ხმელეთისას — ეძიებდა და მთელ დუნიაზე ვერსად პოვებდა. სწორედ იქ ეგულებოდათ, იმ კუნძულებზე, ზღვისა და ოკეანის იმ სამანზე, ამ გაზაფხულის დღეებში სელაპის თავშესაყარი ადგილები. მიტომაც მიდიოდნენ იქით, იმ მხარეს მიეშურებოდნენ...

ბიჭს აოცებდა, სულ სხვანაირი რომ გამოდგა ზღვა, ვიდრე

ჭრელი ძაღლის ფერდოებზე თამაშისას წარმოედგინა. ალარც იმგვარი გამოდგა ზღვა, როგორიც მის თვალში ჩანდა ლაგუნაში ნავით სეირნობისას. მეტადრე მძაფრად იგრძნო ეს, როცა ყურე-დან გავიდნენ და ზღვამ უცებ განზე გაიწია, ხილული სივრცე ერთიან დაფარა ცის კიდურამდის. დაფარა და ქვეყნიერების ერთადერთ, განუყოფელ, თვალგადაუწვდენელ რაობად იქცა.

ღია ზღვის ხილვამ გააოგნა კირისკი. ამგვარ სანახავს არ მოელოდა. ირგვლივ სულ წყალი იყო — ოდნავ მღელვარე, მძიმედ გაწოლილი; გარშემო ხედავდი მხოლოდ ზვირთებს, მალიმალ რომ ჩნდებოდნენ და ისევე მსწრაფლ ქრებოდნენ, ხედავდი მხოლოდ სიღრმეს — მრუმე, შეშფოთების მომგვრელ სიღრმეს, და ოდენ ცას, ალაგ-ალაგ მჩინარს მსუბუქ, მიუწვდომელ, მოხეტიალე თეთრ ღრუბელთ შორის. და მთელი არსებული ქვეყნიერებაც ეგ იყო—ეგ და მეტი არაფერი, სრულებით არარა, გარდა თვით ზღვისა, — არც ზამთარი სუფევდა, არც ზაფხული, არც ბორცვი იყო სადმე, არც ხევი.

კიდით კიდემდე წყალს მოეცვა ქვეყნიერება.

ნავი კი კვლავინდებურად მიცურავდა, ისევ ისე წაყვინთავდა ხოლმე ტალღაზე. წინანდებურადვე გაცეცებულიყო და ხარობდა ბიჭი, ნავით მივდივარ, დიდი ნადირობა მელისო. ოღონდ ეს კი იყო: რასაც ხედავდა და ამჩნევდა ირგვლივ — წყალში იქნებოდა თუ წყალს ზევით — ნაუცბათევად აღიქვამდა ამჯერად ყოველივეს, სანახევროდ თუ ატანდა გულისყურს საზეიმო განწყობილების კვალობაზე; მოუთმენლობით ატანილს, სულ სხვაგვარ შთაბეჭდილებათა მოლოდინი სტაცებდა გულისყურს. სხვა დროს უთუოდ მიიზიდავდა სხივთა დაუსრულებელი ციგლიგი წყალზე, ათასფერი ლივლივი, სახეს მთლად რომ უცვლიდა ზღვას; იმ ლივლივში შეირწყმოდა ნაირ-ნაირი ელფერი,

მოყოლებული ნაზი იისფრით ვიდრე მუქ მწვანემდე და სულაც მრუმე ფერამდე, რასაც დაიკრავდა წყალი ქიმისაგან წაფენილ ჩრდილში; ძლიერ გაიხარებდა ბიჭი იმ უცნაური, სასეირო თევზების მაცქერალიც, უცაბედად რომ აღმოჩნდებოდნენ ხოლმე ნავის სიახლოვეს; გაიცინებდა კუზა თევზების შემყურე. მკვრივად შეკრულ ჯგროდ შემოაწყდნენ ის კუზა თევზები ნავს, და განა აქეთ-იქით გაიფანტნენ, უფრო მჭიდროდ შეიკვრნენ დაფეთებულები, სათითაოდ ხტებოდნენ წყლიდან, ჰაერში დაეკიდებოდნენ და მერმე სასაცილოდ ეცემოდნენ ზურგზე.

ეს ყოველივე განსაკუთრებული ყურადღების ღირსად არ მიუჩნევია — მე შენ გეტყვი, დიდ რამედაც ღირდა. ერთი რამ სწყუროდა მხოლოდ — ჩქარა მიეღწია კუნძულებამდე! ჩქარა გამოეცადა თავი!

მაგრამ მალე რაღაც უცნაურად, თავისთავად ეცვალა გუნება, თუმცა შემჩნევით არავისთვის შეუმჩნევინებია რამე. იმისდა კვალობაზე, რაც უფრო შორდებოდნენ მიწას, მეტადრე მას შემდეგ, რაც ჭრელი ძაღლი ანაზდად გაუჩინარდა მრუმედ აქედილ წყლის მიღმა, კირისკს გულში გაუჩნდა რაღაცნაირი ბუნდოვანი საშიშროების გრძნობა, რასაც ზღვა ჰგვრიდა კაცს; საცნაურყო, რაოდენ დამოკიდებული ყოფილიყო თავად ზღვისაგან — განუზომლად პატარა და განუზომლად უმწეო მოეჩვენა თავის თავი დიადი სტიქიონის პირისპირ.

იუცნაურა ეს ამბავი. მაშინღა მიხვდა, რარიგ ძვირფასი იყო მისთვის ჭრელი ძაღლი; წინათ კი არც არასოდეს გახსენებია იგი, არადა ლაღად, უდარდელად თამაშობდა მის ფერდოებზე, შიში არრისა ჰქონდა, ბექობის წვერიდან მოხიბლული გადასცქეროდა ხოლმე ზღვას, რომელიც არ უქადდა რაიმე ხიფათს. ახლა მიხვდა, რა მძლავრი და კეთილი იყო ჭრე-

ლი ძაღლი, ურყევი და ყოვლადძლიერი იყო თავის ადგილზე მდგარი.

აწ ისიც საცნაურყო, რა განასხვავებდა ზღვასა და ხმელეთს ერთიმეორისაგან. როცა მიწაზე ხარ კაცი, მიწის შესახებ არ ფიქრობ, მაგრამ ზღვაში თუ იმყოფები, გუნებაში სულ ერთთავად ზღვა გიტრიალებს, გინდაც გულისყური სხვა რამისაკენ გქონდეს მიპყრობილი. ამას რომ მიხვდა, მისდაუნებურად ყურადღება დაძაბა ბიჭმა. რაღაც იდუმალს, დაჟინებითსა და მბრძანებლურს მალავდა ზღვა, რაკი საშველს არ გაძლევდა და გაიძულებდა, გამუდმებით მასზე გეფიქრა...

თუმცაღა უფროსები არხეინად გამოიყურებოდნენ. ემრაინი და მილგუნი კვლავინდებურად მიაცურებდნენ ნავს; შეთანაწყობილად, ერთდროულად აიქნევდნენ ხოლმე ნიჩბებს, მერმე ის ოთხივე ნიჩაბი ასევე ერთდროულად ეშვებოდა წყალზე, ნავიც ლაღად და მსუბუქად, თანაბარი სისწრაფით მისრიალებდა. ოღონდ ეს ლაღი სვლა გამუდმებული ძალისხმევის ფასად უჯდებოდათ მენიჩბეებს. კირისკი ვერ ჭვრეტდა იმათ პირისახეს, ზურგშექცევით ესხდნენ: სამაგიეროდ, ხედავდა, როგორ აებურცებოდათ და გაეშლებოდათ ხოლმე ბეჭები. ერთურთს იშვიათად თუ გაელაპარაკებოდნენ. ეს კია, მამა ზოგჯერ მოასწრებდა და ვაჟიშვილისკენ მიიხედავდა, მიიხედავდა და წვერების სიხშოდან გაუღიმებდა: ჰა, რასა იქმო?..

ჰოდა, მიცურავდნენ ასე. უფროსები მშვიდნი, თავდაჯერებულნი იყვნენ. მოხუც ორგანს ხომ მთლად აღუშფოთველი იერი ედო. წინანდებურადვე სუტავდა იმ თავის ჩიბუხს. იჯდა ჩვეულ ალაგს და საჭეს მართავდა. მიცურავდნენ ასე, ყოველი მათგანი თავისი საქმით გართულიყო. ოღონდ კირისკი ერთიორჯერ შეეცადა, უფროსებს შეშველებოდა ნიჩბის მოსმაში — ხან მილ-

ვუნს შეუწყვილდა, ხან — მამას. ისინიც ხალისით უთმობდნენ ცალ ნიჩაბს. არა უჭირს რა, ცოტა გაისარჯოსო. და თუმცა კირისკი ორივე ხელით იქნევდა იმ ცალ ხოფს, დიდხანს მაინც არ ჰყოფნიდა ძალა: მეტად მძიმე იყო ნავი მის პირობაზე, ხოფიც დიდი ზომისა გახლდათ სამისოდ. ოღონდ ძრახვით არავინ ძრახავდა და არცთუ იბრალებდა ამის გამო. ჩუმად ირჯებოდნენ მენიჩბენი, სულ უფრო იშვიათად თუ გადაულაპარაკებდნენ რამეს ერთმანეთს.

მაგრამ როცა ჭრელი ძაღლი ანაზდად მიეფარა თვალთაგან, რატომღაც ყველანი ერთბაშად გამოცოცხლდნენ.

— ჭრელი ძაღლი შინ გაბრუნდა! — განაცხადა მამამ.

— გაბრუნდა, მაშ! — კვერი დაუკრა მილვუნმა.

— ნუთუ? წასულა, უყურე შენ, — გაჰხედა იმ მხარეს მოხუცმა ორგანმაც. — რახან ეგრეა, მაშ, საქმე კარგად მიდის. ჰეი, კირისკ, — ეშმაკური გამომეტყველებით მიაჩერდა ბიჭს, — მიდი, დაუძახე ერთი ჭრელ ძაღლს, იქნება მობრუნდეს, ჰა?

ყველას გაეცინა, გაიცინა კირისკმაც. მერმე დაფიქრდა და ხმამაღლა თქვა:

— მაშინ ავდგეთ და უკან გავტრიალდეთ — ჰოდა, დაგვიბრუნდება და ის იქნება.

— უყურე შენ, რა სულსწრაფი ყოფილხარ! — შესძახა ორგანმა და ჩაიცინა. — მოდი, ის აჯობებს, საქმეს მივხედოთ მე და შენ. გადმოძვერი ჩემთან. გეყოფა თვალების ჭყეტა. რამდენიც უნდა აშტერდე ზღვას, თვალს ვერ მიაწვდ-მოაწვდენ.

ჭვინტიდან ჩამოცოცდა კირისკი, კიჩოსკენ მიიწევდა, ხან ერთ ნივთს გადაალაჯებდა, ხან მეორეს, რომლებიც ნავის ფსკერზე ეწყო: გადაბიჯა ირმის ტყავებში შეხვეულ წყვილ ვინჩესტერს, ჭვილთს, თოკის ვორგალს, წყლით სავსე ლადუკს, ხო-

რაგით გამოტენილ ხალთაგუდას, კიდევ რაღაც-რაღაცა ფუთებსა და ჩასაცმელს. ქიმს მიჰყვებოდა, კიდე-კიდე, და ნიჩბებზე გადაბიჯებისას მეხოფეთა გვერდიგვერდ რომ აღმოჩნდა, მძაფრი სუნი მოსწვდა თამბაქოსი და მამაკაცის ოფლისა, იმათ სველ ზურგსა და კეფას რომ ასდიოდა. სწორედ ის სუნი ეცნაურა მამისეული ტანსაცმლისა, დედას რომ უყვარს ხოლმე შეიყნოსოს, როცა მამა ზღვაშია გასული, — აიღებს ხელში იმის ძველ ტყავკაბას და პირისახეს მიახუტებს.

მამამ თავი დაუქნია ვაჟიშვილს, ოდნავ გაჰკრა მხარი ფერდში, ოღონდ ნიჩბებისათვის ხელი არ შეუშვია. თუმცა კირისკიც არ გასჩერებია ამ უნებური მამაშვილური მოალერსებისას. გაუჩერდებოდა, როგორ არა! ზღვაში ყველა თანასწორია. ზღვაზე არც მამები არიან, არც ვაჟიშვილები. ზღვაზე ერთი უხუცესია მხოლოდ. მის უნებურად თითსაც ვერ გაანძრევ...

— აგერ დამიჯექი გვერდით, — ადგილი მიუთითა ორგანმა, თან გრძელი კორძიანი ხელი შეახო მხარზე. — გულში ცოტა შიში ხომ არ შეგეპარა, ჰა? ჯერ ვითომ არაფერიო, მერე კი...

კირისკი შეცბუნდა: ყველაფერს მიმხვდარაო მოხუცი ორგანი. მაინც გულფიცხად შეეკამათა:

— სრულებითაც არა, ათკიჩხ!* რისა უნდა შემშინებოდა?

— როგორ თუ რისა, პირველხელ ხარ ზღვაში.

— მერე რა ვუყოთ, თუ პირველადა ვარ?! — იხტიბარს არ იტეხდა კირისკი. — არაფრისაც არ მეშინია.

— კარგი ძალიანი. მე კი, როცა პირველხელ გაველ, კაი დიდი ხნის ამბავია ეს, გულახდილად უნდა ვთქვა, შიში ვჭამე.

---

* ა თ კ ი ჩ ხ ი — პაპა (ნივსურად). აქაც და ქვემოთაც შენიშვნები ავტორისა ერთვის.

გავიხედე და, სადღაა შენი ნაპირი, ჭრელი ძაღლიც სადღაც გამქრალა. გარშემო კიდევ სულ ტალღებია. გულმა შინისაკენ გამიწია. ან არადა, აგერა ჰკითხე ერთი ამათ — ემრაინსა და მილგუნს, რა დღე დაადგათ ამათაც?

იმათ შემოჰღიმეს, თავი დაუკანტურეს — მართალს ამბობო, თან ღონივრად მოუსვეს ნიჩბებს.

— მე კიდე არა! — ფარ-ხმალს არ ჰყრიდა კირისკი.

— აფერუმ, რახან ეგრეა! — დაამშვიდა ბერიკაცმა. — ახლა ერთი ეს მითხარი, რომელ მხარეს დავტოვეთ ჭრელი ძაღლი?

კირისკი მოულოდნელმა კითხვამ ჩააფიქრა, მერმე ხელი გაიშვირა:

— აგე, იქით!

— დარწმუნებული ხარ? რაღაც ხელი გიძაგძაგებს.

ბიჭმა ხელის კანკალი შეიკავა და ოდნავ მხარმარჯვნივ მიათითა.

— აგე, იქით!

— ახლა კი სწორად უჩვენე! — დაეთანხმა ორგანი. — თუ კარჭაპი ცხვირით აქეთ მოტრიალდება, მაშინ სად იქნება ჭრელი ძაღლი?

— აგე, იქ!

— თუ ქარმა იქით შეგვაბრუნა?

— აგე, იქ!

— თუ მხარმარცხნივ გავცურავთ?

— აგე, იქ!

— ეგრე; ახლა კი ერთი ეს მითხარი, როგორ ახერხებ გამოცნობას, გარშემო თვალი ხომ ვერაფერს ხედავს, გარდა წყლისა? — არ ეშვებოდა ორგანი. — იქნება ამიხსნა?

— მე კიდევა მაქს თვალები, — მიუგო კირისკმა.

— რა თვალები გაქვს?

— არ ვიცი, რა თვალებია. აგერ მუცელში უნდა მქონდეს, ვგონია. ჰოდა, უმზერლად ხედავენ.

— მუცელშიო? — ყველას სიცილი წასკდა.

— მართალი ხარ შენ, — გაეპასუხა ორგანი. — არის ეგეთი თვალები, ოღონდ მუცელში კი არა, თავშია.

— მე კიდე მუცელში მაქვს, — თავისას იმეორებდა კირისკი, თუმცა ზედვე ემჩნეოდა, მომტყდარიყო უკვე, ეჯერებოდა, ამგვარი ხედვა მართლაცდა გონებას თუ ექნებაო.

ცოტა ხნის შემდეგ ბერიკაცმა კვლავ გამოცდა დაუწყო კირისკს. დარწმუნდა, ბიჭს ემარჯვება ზღვის მხარეების დამახსოვრებაო, და კმაყოფილი დარჩა.

— რას ერჩი, აბა, მაგ შენს თვალებს, მუცელში რო გქონია, — ჩაიდუდუნა მან.

ამ შექებით ნაამები კირისკი თავადვე უსვამდა კითხვას საკუთარ თავს და ეძიებდა პასუხს. ჯერხანად, ვიდრე ზღვა წყნარი იყო შედარებით, მაინცდამაინც არ უჭირდა პასუხის პოვნა. ერთგული და დიადი ჭრელი ძაღლი დაუცადებლად გამოეხმაურებოდა ხოლმე — მეხსიერების მცირედი დაძაბვითაც აღუჩნდებოდა გონების თვალწინ, სწორედ იქ, იმ მხარეს, სადაც დაეტოვებინათ, ცხადად გამოიკვეთებოდა, თითქოს წამოიმართებოდა ვეება, ფერდობებზე აქოჩრილ ტყეებიანად, თოვლის თეთრი ლაქებითურთ „თხემსა“ და „ფენთხზე“, კბოდეს ძირას მოგუგუნე მარადიულ ზვირთცემასთან ერთად. ჭრელ ძაღლს რომ წარმოიდგენდა, ბიჭს წარმოუდგებოდა იმის გარშემო აღმართული ბორცვებიც და ძალაუნებურად აჰყვებოდა ფიქრს სახლზე, შინაურებზე. თვალწინ დაუდგებოდა ზღვისპირა ბორცვებს შორის მოქცეული ველი, იმ ველზე კიდევ, ტყის გამონაპირას, ჭდინარის კიდეზე ამათი დასახლება იყო — მოჩანდა ძელური

ჭოხები, საალაფხანოები, ძაღლები, ქათმები, თევზის სახმობი კადონები, იბოლქვებოდა კვამლი, ისმოდა ადამიანთა ხმები და იქვე დედამიწიცა და დაიკოც ტრიალებდნენ. ცოცხლად წარმოიდგინა ორივენი, ისიც წარმოიდგინა, რას აკეთებდნენ, რას საქმიანობდნენ იმჟამად. დედა, ცხადია, ჩუმად ფიქრობს მასზე, მამაზე, ზღვაში გასულ ყველა ამათგანზე. აბა რა, უეჭველად ფიქრობს ახლა ამათზე. ოღონდ გულში კი ძალიან შიშობს, იმ ავმა სულებმა არ გამოიცნონ ეს ჩემი ფიქრები, არ შეიტყონ ამ ჩემი შიშის ამბავიო. კიდევ, ალბათ, მუზლუქი ფიქრობს მასზე. ვინ იცის, მუზლუქს უკვე მიერბინოს მათსას, ვითომ ფსულქთან სათამაშოდ. არადა, დედა ვაითუ გაუჯავრდეს გოგონას, ვინიცობაა წამოსცდეს ანდა ჰკითხოს რამე ზღვაში გასულ კირისკზე. ადგება დედა და დატუქსავს: „ნეტა რასა როშავ, განა არ იცი, ტყეში წავიდა შეშის მოსატანადო“. გოგონა გონს მოვა უცებ, დაირცხვენს და გაისუსება. ეს რომ წარმოიღგინა კირისკმა, გულში შეებრალა კიდეც მუზლუქი. სურდა, აბა რა, მუზლუქს მასზე ეფიქრა, ოღონდ არამც და არამც არ უნდოდა, მისი მიზეზით დაემუნათებინათ.

ნავი კი კვლავინდებურადვე მიცურავდა, ოდნავ წაყვინთავდა ხოლმე ტალღაზე. ირგვლივაც იგივ მოციალე აქაფებული ტალღები ჩანდა. ნივხები აგრე ვარაუდობდნენ, ნაშუადღევს თუ არა, დღის ბოლოს მაინც მივატანთო პირველ კუნძულს (იმ სამთაგან ყველაზე ახლომდებარე მცირე კერტი იყო), ჰოდა, თუ ბედი გაგვიღიმებს, ბარემ იქვე დავიწყებთ ნადირობასო. მერმე დღისულვე უნდა მოესწროთ მეორე — შუათანა კერტამდე მისვლა, ღამე იქ უნდა გაეთიათ. იქ ეგულებოდათ ნავის მისაყენებელი მარჯვე, ყუჩი ალაგი. დილაადრიან კი კვლავ ზღვაში უნდა გასულიყვნენ. თუ საღამოსვე გაუმართლებდათ, თუ ერთ-

ბაშადვე მოინადირებდნენ სამ სელაპს, დილას დაუხანებლივ გამოსწევდნენ უკანვე. ასე იქნებოდა თუ ისე, გამობრუნებით დღის პირველ ნახევარში უნდა გამობრუნებულიყვნენ, მანამდე, ვიდრე მზე ორი ალვის სიმაღლეს ასცილდებოდა. ვინ არ იცის, რაც უფრო ადრე დაადგები ზღვაზე სავალ გზას, მით უკეთესია.

ეს ყოველივე გათვალისწინებული ჰქონდა მოხუც ორგანს, ყველაფერი წინასწარვე გაეანგარიშებინა. შემწენიც იმისი — ემრაინი და მილგუნი—განა პირველად მიემართებოდნენ სამი კერტისაკენ. თავადაც კარგად იცოდნენ, როდის რის გაკეთება მართებდათ. მთავარი ის არის, რომ ტაროსი იდგეს და ნადირის სამყოფელისთვისაც დროით მიაგნებინათ. თავიდათავი ეს არის, სხვა ყოველსავე როგორმე თავს გაართმევს კაცი, თითოეული თავის საქმეს მიხედავს.

მოხუცი ორგანი მარტოოდენ საჭიროების გამო კი არ დადიოდა სანაოსნოდ, რაღა თქმა უნდა, საჭიროებაც თავისას ითხოვდა — თუ არ ზღვა, ისე რითი ირჩენდი კაცი თავს; ოღონდ ეგეც იყო: გულიც მიუწევდა ზღვისაკენ. ზღვის სივრცე სანუკვარი ოცნებისთვის განაწყობდა ბერიკაცს. იდუმალი ფიქრები ჰქონდა. ზღვაზე ხელს არაფერი უშლიდა, იმ ფიქრებს მისცემოდა, რამეთუ ყოველივე იმას, რაზედაც ვერ ეოცნება ხმელეთზე ყოფნისას, დღიური საზრუნავით გართულს, აქ, წყლის ამ სამეუფოში დაუდგებოდა შესაფერისი ჟამი — აქ არა უფანტავდა რა ორგანს მისთა დიად ფიქრთ. აქ თავს გრძნობდა თანაზიარად ზ ღ ვ ი ს ა ც და ზ ე ც ი ს ა ც.

ესმოდა, ნავს მყოფი კაცი არარაა უსასრულო სივრცის პირისპირო. გარნა კაცი აზროვნებს და მით სწვდება ზ ღ ვ ი ს ა და ზ ე ც ი ს სიდიადეს, მით ამკვიდრებს თავის თავს მარადიულ სტიქიონთა წინაშე, მითვე შეეწონება სიღრმესა თუ სიმაღლეს

სამყაროისას. ამიტომ, ვიდრე ცოცხალია კაცი, სულით ძლიერია იგი, ვითარცა ზღვა, და დაუსაბამოა, ვითარცა ზეცა, რამეთუ დაუსაზღვრავია აზრი მისი. და როს მოკვდება იგი, სხვა ვინმე გააგრძელებს აზრს მისას, მისგან გააგრძელებს და უფრო შორს გასწევს, ხოლო შემდგომი კიდევ უფრო შორს წარემართება და ასე დაუსრულებლივ... ამის შემცნობ ბერიკაცს ტკბილ-მწარე გრძნობა აღეძვროდა მოურიგებელი რამის მორიგებისა.

ესმოდა, სიკვდილი გარდაუვალიაო, ჩემი დღეც იწურებაო, ასეა, ყველაფრის ბოლო ეგ არისო. ოღონდ თან ეიმედებოდა რატომღაც: ყველაზე უფრო იდუმალი და სანუკვარი, რასაც გულში იფარავდა — დიადი სიზმრები მისი, ქ ა ლ თ ე ვ ზ ა ზ ე ნასიზმრევი, სიკვდილის შემდგომაც მასთანვე იქნებოდა, არ განშორდებოდა. ვერ შეძლებდა, ის სიზმრები სხვა ვინმესთვის გაეზიარებინა — ზმანების გადმოცემა არ ხერხდება. მიტომაც, აგრე ეგონა, უკვალოდ არ განქარდებიანო... არ უნდა განქარდნენო. უკვდავია დიადი ქალთევზა, ჰოდა, სიზმრებიც მასზე ნასიზმრევი წარუვალი უნდა იყოსო.

ეს ფიქრი საშველს არ აძლევდა ხოლმე ზღვაში გასულს. დიდხანს იჯდა ხოლმე მდუმარედ თავისსავე თავში დანთქმული, არავის შეეძრახებოდა თანამგზავრთაგან. ზღვას გასცქეროდა ერთთავად და, კაცმა არ იცის, ვის შესთხოვდა, ოღონდ ერთ რამეს კი შესთხოვდა იმ ვიღაცას: მისთვისვე დაეტოვებინათ ის სიზმრები დიად ქალთევზაზე ზმანებული. ნუთუ შეუძლებელია, სიზმრებიც თან მიჰყვებოდეს ადამიანს იმ ქვეყნად, თან მიჰყვებოდეს და ეზმანებოდეს მარადის, უკუნითი უკუნისამდე? უჭირდა პასუხის პოვნა, თავს იტეხდა ფიქრით, ლამობდა ერწმუნებინა, სხვანაირად არც იქნება, ის ჩემი სიზმრები არ გამეყრებაო.

...ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ, უხსოვარ დროს, ჭრელი ძაღლის ბექობის მახლობლად სანაპიროზე სამი ძმა ცხოვრობდა. უფროსი ფეხმარდი იყო, დაუზარელი, ყველაფერს ასწრებდა: ცოლად შეირთო მეირმის ასული, ირმის ჯოგების პატრონი შეიქნა, ტუნდრისკენ გაუტია, წავიდა და აქეთ აღარც უქნია პირი. უმრწემესი მეკვლე და მარჯვე მსროლელი იყო. იმანაც ცოლი მოიყვანა, ტყის მკვიდრთა შორის ამოირჩია საცოლე, ტაიგაში წავიდა, მონადირეობას მიჰყო იქ ხელი. საშუალო ძმა კი კოჭლი იყო დაბადებითვე, ქუდბედი არ დაჰყოლია, ადრე დგებოდა და გვიან წვებოდა, მაგრამ რა ხეირი ექნებოდა— ირმების დევნა არ შეეძლო და ტყეში ნადირის კვალის მიგნება. არავინ ქალი არ მიათხოვა იმ არემარეზე, ძმებმა მიატოვეს. დარჩა მარტო ლურჯი ზღვის ნაპირას. თევზს იჭერდა სამჭედურით, იმით გაჰქონდა თავი, მაგრამ, აბა, რამდენი თევზი უნდა დაიჭიროს მესამჭედურემ...

ზის ერთხელაც ეს ბედშავი კოჭლი ძმა თავის ნავში, მკედი ზღვაში უსროლია, ჰოდა, გრძნობს უცებ, რა მძლავრად გაუტოკდა სამჭედურის ჯოხი ხელში. გაუხარდა — ვნახოთ, რამოდენა თევზი ამოჰყვესო! ნელ-ნელა ეწეოდა იმ რაღაცა უბედურება თევზს, უფრო და უფრო უახლოებდა ნავს.

ხედავს, მაგრამ რას ხედავს! ქალის სახე ჰქონია იმ თევზს! ბათქუნობს წყალში, იკლაკნება, თავს უნდა უშველოს. იმისთანა ლამაზია, კაცის თვალს რომ არ უნახავს — გლუ ტანი ვერცხლისფრად უელავს, როგორც რიყის ქვა მთვარის შუქზე მოქათქათე, თეთრ-თეთრი ძუძუები აქვს მუქ კერტებწაცქვეტილი, ნაძვის პატარა გირჩები გეგონება ის კერტები, მწვანე თვალებიდან ნაპერწკლებს აკვესებს. ამოიყვანა წყლიდან ის ქალთევზა, აიტაცა ხელში, იმანაც მკლავები შემოხვია, მიწვნენ ნავში.

რეტი დაესხა ამისთანა ბედნიერებისაგან კოჭლ ძმას. არ ახსოვს, რა იყო მის თავს, ეს კი ეგონა — ზეციისკენ თუ აქანდაო ნავი. ატორტმანდა ზღვა, დაყირავდა ცარგვალი. მერმე კი უცებ გაყუჩდა ყოველივე, ქარიშხლის შემდგომ რომ იცის, ისე. ისკუპა ამ დროს ნავიდან ქალთევზამ, ტალღებს შეერია. მიეტანა კოჭლი ძმა, უხმობდა, ემუდარებოდა, დამიბრუნდიო, მაგრამ ის არ გამოხმიანებია, ზღვის სიღრმეში გაუჩინარდა.

აი, ამისთანა რამ შეემთხვა იმ შუათანა კოჭლ ძმას, ყველას რომ მიეტოვებინა და მარტოხელა ცხოვრობდა ზღვის ნაპირას. წავიდა ქალთევზა, აღარ გამოჩენილა. მოიწყინა იმ დღიდან მოყოლებული კოჭლმა ძმამ. ნაღველმა მაგრად დარია ხელი. მას აქეთ ნაპირ-ნაპირ დაიარებოდა ყოველდღე და ყოველღამ, დაიარებოდა და გოდებდა, ერთთავად ქალთევზას უხმობდა, აფიცებდა, ემუდარებოდა, შორიდან მაინც დამენახვეო.

მიდიოდა მოქცევის ჟამს და შეჰღაღადებდა:

სად, სად დაცურავ, დიდო ქალთევზავ?

მიდიოდა მიქცევის ჟამს და შეჰღაღადებდა:

სად, სად დაცურავ, დიდო ქალთევზავ?

მიდიოდა მთვარიან ღამეს და შეჰღაღადებდა:

ეს ზღვა დარდია ჩემი,
ეს წყალი — ცრემლი ჩემი,
მიწა კი — საბრალო თავი ჩემი!

მიდიოდა კუნაპეტ ღამეს და შეჰღაღადებდა:

სად, სად დაცურავ, დიდო ქალთევზავ?

მიდიოდა მოქცევის ჟამს და შეჰღაღადებდა, მიდიოდა მიქ-ცევის ჟამს და შეჰღაღადებდა...

ამასობაში ზამთარი გავიდა, მერმე გაზაფხულიც მიჰყვა. ჰოდა, ერთხელ, ზაფხულის ხანს, ზვირთცემისას ნაპირ-ნაპირ ეხეტებოდა ბედშავი კოჭლი ძმა, მუხლამდე მომდგარ წყალში მიტოპავდა, თან სულ ზღვისკენ იცქირებოდა — იქნება უეცრივ ქალთევზა გამოჩნდესო, ერთთავად უხმობდა—ევების მოულოდ-ნელად გამომეხმაუროსო; უცებ ბავშვის ტირილის მაგვარი ხმა შეესმა მარჩხობიდან. თითქოსდა ბალღი ტირილით იჭაჭებაო. გაიქცა იქით, რასა ხედავს — ტიტლიკანა ჩვილი ყრმა ჩამჯდა-რა მეჩეჩზე, ზედ წყლის პირას, ტალღა ხან გადაუვლის, ხან უკუიქცევა, ის კიდევ ტირის და ტირის, თან გაუწყნარებლად იძახის: „ვინაა მამაჩემი? სადაა მამაჩემი?“ გაშტერდა მთლად კოჭლი ძმა, აღარ იცოდა საბრალომ, როგორ მოქცეულიყო. მოატანა თვალი ბალღმა და ეუბნება: „შენა ხარ მამაჩემი! წამი-ყვანე შენთან, შვილი ვარ შენი!“

აი, რა უჩვეულო ამბავი შეემთხვა! აიქვა კაცმა ძე თვისი, წაიყვანა შინ.

ჩქარა წამოიზარდა ბიჭი. უკვე ზღვაში გადიოდა სანადი-როდ. გულადი, მკლავმაგარი მთხევარის სახელი გაუვარდა. ქუდბედი დაჰყვა: ბადეს ისროდა — თევზი სავსე ამოჰყვებოდა, ისარს სტყორცნიდა — ზღვიერს გამჭოლ განწონიდა. შორს, მთებს და ტყეებს იქითაც განითქვა მისი სახელი. მაშინ ადგ-ნენ და დიდის პატივით მიათხოვეს ტყის მკვიდრთა ტომის ასუ-ლი. შვილები გაუჩნდა, ჰოდა, იქიდან მოკიდებული მრავლდე-ბოდა ქალთევზას მოდგმა.

იმ დროსვე დაიბადა ის სიმღერა, დღესასწაულებზე რომ იმღერიან:

სად, სად დაცურავ, დიდო ქალთევზავ?
შენი ცსელი საშო დვრიტაა სიცოცხლის,
შენმა ცსელმა საშომ გვშობა ჩვენ ზღვის პირას,
შენი ცსელი საშოს სადარი ალაგი ქვეყნად სად არის.
სად, სად დაცურავ, დიდო ქალთევზავ?
შენი თეთრი ძუძუნი — ვითა თავნი სელაპისანი,
შენმა თეთრმა ძუძუებმა რძე გვაწოვეს ჩვენ ზღვის პირას.
სად, სად დაცურავ, დიდო ქალთევზავ?
ყველაზე ძალოვანი მამრი შენკენ გამოსწევს ცურვით,
რომე ყვავილობდეს საშო ეგე შენი,
რომე მრავლდებოდეს ქვეყნად ნაგრამი შენი...

თანისთან მოეახლებოდა ხოლმე ბერიკაცს ეს ზმანება, ისე როგორც ოკეანის სიღრმიდან დაძრულმა შეუჩერებელმა მოქცევამ იცის, როცა მიწა, ბალახი, დიუნები წყლით იფარება დროებით და იმ წყალქვეშა ბუნდში მოჯადოებულ, სიზმარცხადისებურ სანახაობად გამოკრთის.

ეს ზმანება მუდამ ჟამს გამაოგნებლად მოქმედებდა ორგანზე, და ის შეგრძნება დიდხანს გაჰყვებოდა ხოლმე. იმდენად სჯეროდა ამ ზმანებისა, რომ არავის, ქვეყნად ძეხორციელს არ უყვებოდა ქალთევზასთან თავისი პაემნის ამბავს, ისევე როგორც ჩვეულ ცხოვრებაში კაცს არ მოუყვებოდა მსგავს რამეს.

ჰო, თანამდევი სიზმარი იყო ის სიზმარი, ხშირად ეწვეოდა ხოლმე ბერიკაცს; სიხარულსაც ჰგვრიდა და ჭმუნვასაც, არაამქვეყნიურ სალმობას განაცდევინებდა სულს მისას. ერთი საკვირველი რამ ჰქონდა ამ სიზმარს: ნიადაგ გააოცებდა ხოლმე ორგანს თავისი არსის უშრეტელობითა და იმ ქარაგმათა მრავალნიშნადობით, რასაც შეიცავდნენ სიზმარში მომხდარი დაუჯერებელი სახეცვლილებანი და უცნაურობანი. ამაზე რომ ფიქრობდა ბერიკაცი და ცდილობდა ძირისძირობამდე ჩასწვდენო-

და საიდუმლოს — ცოცხალ ცხოვრებასთან სიზმრის იმ მარად მოუხელთებელ, მიწყივ ცვალებად კავშირს, რომლის იდუმალება და ფარული წინასწარი ნიშნები მუდამ აწვალებს ადამიანს, დიახ, როცა ამაზე ფიქრობდა, გულისხმას ყოფდა, რომ, თუმცა სული ერთიანად უფორიაქდებოდა, მაინც ყოველთვის სწყუროდა, კვალად ეხილა ის სიზმარი, ნაღველგაუქარვებელს მუდამ ეწადა, შეჰყროდა მას, დიად ქალთევზას.

ზღვაში შეეყრებოდა ხოლმე. ნაპირს მიადგებოდა იმის გამოჩენის მომლოდინე და დიდხანს მიაბიჯებდა ზღვისპირა უკაცრიელ ქვიშნარზე, რომელზედაც ნაფეხური სწრაფადვე ქრებოდა, მაგრამ აჩნდა შავი, უძრავი ჩრდილები, უკვე ჩაწურული მზის ჩამქრალ სხივთაგან გაჩენილი. თალხი თოვლის დარად ეფინა ის ჩრდილები; და ეს დამწვარ-დადაგული, კაეშანშემონთებული მიაბიჯებდა ზედ. სიყვარულისა, სურვილისა და იმედისაგან ეწურებოდა გული, ზღვა კი კვლავინდებურად უდაბური და უსულგულო ჩანდა. არც ქარი, არც რაიმე ხმა, არც რამ ჩქამი მარტოობის ამ დაძაბულ, მდუმარე სამეუფოში. ეს კი უცდიდა, თვალს არ აშორებდა ზღვას, სასწაულს ელოდა, ელოდა იმის გამოჩენას.

გული უმძიმდებოდა, რაკი უხმაუროდ მოისწრაფოდნენ ტალღები მისი გზის გაყოლებაზე. უხმაუროდვე ჩნდებოდა ზვირთცემისაგან თეთრი ქაფი. ასევე უხმოდ დაჰფარფატებდნენ თავს ხმაჩამწყდარი თოლიები, უშველებელ მორიალე თოვლის ფანტელებს რომ მიაგავდნენ. ადგილს ვერ პოულობდა ამ დაყრუებულსა და დამუნჯებულ სივრცეში, გრძნობდა, ლამის გული შეჰღონებოდა, ისე მძაფრად და სულ უფრო მტანჯველად იპყრობდა მოლოდინისდა კვალობაზე მდაგველი, გამოუნელებელი დარდი ქალთევზას ხილვისა. ზმანებაში გადასულიც კი ხვდე-

ბოდა, არა მესაშველება რა, მარტოობის სიცარიელე გამგუდავს, თუ იმას ვერ ვნახავ, თუ ის არ გამოჩნდებაო. მაშინ ადგებოდა და ყიოდა, ეძახდა იმას. მაგრამ თვისი ყივილი არ შეესმოდა, დახშობოდა ხმა, ისევე, როგორც ყოველგვარი ხმა დახშულიყო ამ უცნაურ სიზმარეთში. ზღვაც კვლავინდებურად დუმდა. ამას აბეზარივით თან სდევდა თავისივე მძიმე, საოცრად ხმიერი და წყვეტილ-წყვეტილი ქშენა, საკუთარი გულის ბაგაბუგი, რისგანაც საფეთქლები საშინლად უცემდა. და ეს კიდევ უფრო აცეცხლებდა. არ იცოდა, სად ჯანდაბაში წასულიყო, როგორ გარიდებოდა თავისსავე თავს. ისე გამწარებით და გაგიჟებით ელოდებოდა ქალთევზას, როგორც წყალწაღებული ელის ხოლმე გადარჩენის უკანასკნელ იმედს. იცოდა, მარტოოდენ მას, ქალთევზას, ძალუძს, ბედნიერება მომანიჭოსო; იცოდა და გულგადალეული ელოდა კიდეც.

როცა, ბოლოს და ბოლოს, იგი მკვირცხლად ამოიყურყუმელავებდა და ამისკენ გამოცურავდა, ამისკენვე მზერამოპყრობილი, ზვირთებს შუა ბუნდოვნად სახეგამომჩინარი, ის მდუმარება ქვეყნიერებისა ზვავივით მოირღვეოდა. ეს მყვირალი და მოზეიმე ეგებებოდა ხმათა აღდგენას: კვლავ გაისმოდა ზვირთცემის ბუბუნი, ქარის ქშუტუნი და მაღლა მორიალე თოლიების ჟრიამული. მყვირალი და მოზეიმე, ეს ზღვაში გადაეშვებოდა და იმისკენ მიცურავდა, ვეშაპივით სწრაფმცურავ არსებად გადაიქცეოდა.

ის კიდევ, ქალთევზა, ამას მიელოდა, მშფოთვარედ უვლიდა წრეებს, ზეამოსხლტებოდა წამიერად, გრძელ კამარას შეჰკრავდა ერთიანად მოფართქალე, და იმ წამს ცხადად გამოინაკვთებოდა მისი ხორციელი ტანი, იტყოდი, ერთი ნამდვილზე ნამდვილი ქალია, უცაბედად წყალში რომ ამოუყვია თავიო.

მიცურდებოდა იმასთან და გასწევდნენ ოკეანისკენ.

ერთად მიცურავდნენ, გვერდიგვერდ, სულ უფრო სწრაფად მიიწევდნენ და ამ სწრაფვისას მსუბუქად შეეხებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. კიდეც ეს გახლდათ ის, რისი გულისთვისაც ეწამებოდა დადარდიანებული და სიმარტოვისაგან დაყრუებულ-დამუნჯებული ორგანი.

აწ ერთად იყვნენ ორივენი. წარმოუდგენელი ძალითა და სისწრაფით მიექანებოდნენ ღამეული ოკეანის მოციმციმე შორეთში, ოკეანისა, რომლის გულიდან აღმომდინარი საოცარი შუქის ჭევლი აციალებდა თვალსაწიერის მერყევ მიჯნას; იქით, იმ მოუხელებელ დასალიერისკენ მიისწრაფოდნენ, ტანით კვეთდნენ ერთიერთმანეთს მოყოლებულ, ქეჩოზე ქაფმოგდებულ ზვირთებს, ხან აღმა აიჭრებოდნენ აგორებულ ტალღაზე, ხან თავქვე დაექანებოდნენ ამ ზეაღმტაცი ქროლით გულაღგზნებულნი — ხან ზევით მიქროდნენ, ხან ქვევით, ტალღიდან ტალღისკენ, ჩქერიდან ჩქერისაკენ. გვერდით კიდევ თანამავალივით განუყრელად მოსდევდათ, სარკის ათინათივით მოსრიალებდა ტალღა-ტალღა მოსკუპსკუპე, სრბოლისაგან წაგრძელებული ყვითელი მთვარე. მხოლოდ მთვარე და ეს ორნი — ესა და ქალთევზა, მარტოოდენ ისინი მეუფებდნენ ამ უკიდეგანოდ გაშლილ ოკეანის სივრცეში, მარტო ისინი და ოკეანე! მაშინ იყო, უმაღლეს ბედნიერებას ეზიარნენ, მაშინ იყო, თავისუფლების ნეტარება იგემეს, მაშინ დადგა ზეიმი იმათი შეყრისა...

მძლედ და შეუჩერებლივ მიექანებოდნენ, დაუოკებელი გულისთქმა დაუფლებოდათ, რაც შეიძლება ჩქარა მიეღწიათ ქვეყნად შეგულებულ ერთ ალაგამდე, იმათ წილხვდომილ ალაგამდე; ენებით შეპყრობილნი იქ შეერწყმოდნენ, ბოლოს და

ბოლოს, ერთმანეთს, რათა ერთ ელვისუმალეს წამს გამოეცადათ მთელი სიტკბო და მთელი სიმწარე სიცოცხლის დასაბამისა და დასასრულისა...

ასე მიცურავდნენ გამალებით, ავარდნილები, იმის მოიმედენი, მალე მივაღწევთო სანუკვარ მიზნამდე.

და რაც უფრო მალიად მიცურავდნენ, მით უფრო უსაშველოდ ეძალებოდა ამას გაავებული ხორციელი წადილი. დაუღალავად მიაპობდა ტალღებს, თავდაუზოგავად მიიწევდა წინ, ისე როგორც ორაგული მიილტვის ქვირითის დასაყრელ ადგილისაკენ თავგამეტებით, თვისი სასიცოცხლო ძალის უკანასკნელი მისხლის, უკანასკნელი პინწკალის დაუშურველად. მიცურავდა და ლამის გათავებულიყო სიყვარულისაგან. გამოუცნობი ქალთევზა კი უფრო და უფრო შორს, შუაგულ ოკეანისკენ მიიყოლიებდა, ტალღიდან ტალღისკენ მიქროდა წინანდებურად, შხეფების ბუქსა და მოელვარე ცისარტყელაში გახვეული, აღტაცებას ჰგვრიდა ორგანს მისი ტანის მარგალიტისებრი სილბო, მისი სიმარჯვე და მოქნილობა. სუნთქვა ეკვროდა, როცა მზერას აპყრობდა იმის უზადო სილამაზეს, იმის თვალმიმტაც ნაკვთებს, მჩქეფარე ნაკადის ლაჟვარდსა და სპეტაკ ფერებში მოლივლივეს.

არას უბნობდნენ, მხოლოდ თვალჩაციებით უმზერდნენ ერთიმეორეს, სურდათ კარგად დაენახათ წყლის ჩქერებსა და გაბნეულ შხეფებში ბუნდოვნად გალანდული ერთურთის სახე, თან შეუსვენებლივ მიისწრაფოდნენ ოკეანეში, ერთი სული ჰქონდათ, როდის უწევდნენ იმ ადგილს, როდის დაუდგებოდათ ის ჟამი, რაიც ბედისაგან ჰქონდათ წილხვდომილი...

ოღონდ ვეროდეს უწევდნენ იმ ალაგს, აროდეს უდგებოდათ ის ჟამი...

ამ სიზმრებს მეტწილად ფუჭი ბოლო მოსდევდა, — ყოველი-ვე ანაზდად შეწყდებოდა ხოლმე, კვამლივით განქანდებოდა. ეს კი გაცბუნებული რჩებოდა. მართლა სწყდებოდა გული და კიდევ დიდ-ხანს ნაღვლიანობდა, ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის, დაუმთავ-რებლობის გრძნობას განიცდიდა. ზოგჯერ კარგა ხნის შემდგომაც ყველაფერს სულ თავიდან გაიხსენებდა, საგულდაგულოდ ჩაუ-ფიქრდებოდა — ნეტა რას უნდა ნიშნავდეს ეს ამბავი, რად დამე-ბედაო; აკი გულში სჯეროდა: ის, რაც მეზმანა, სიზმარზე მე-ტიაო. ჩვეულებრივი სიზმარი ხომ, გინდაც გაიხსენო, მალევე სულ მთლად გავიწყდება კაცს. ამისთანა ფუჭი რამ როდი აგი-ტკივებს თავს, განა რა არ მოელანდება სიზმრად ადამიანს. ქალთევზას კი ორგანი ვეროდეს ივიწყებდა, ისე ფიქრობდა მისთვის, როგორც ნამდვილად არსებულისთვის. მიტომაც, კაც-მა რომ თქვას, მუდამ ჟამს ალალად წუხდა ბერიკაცი, ისე განი-ცდიდა ქალთევზასთან შეხვედრას და მასთან ანაზდეულ განშო-რებას, თითქოსდა სინამდვილეში მომხდარიყოს ეს ამბავი.

ყველაზე მეტად მაშინ ეწეწებოდა სული, როცა სიზმარს სამძიმო ბოლო ჰქონდა. მძაფრი უნუგეშობა და მჭმუნვარება მოიცავდა ამ დროს, ვერ აეხსნა ამ სიზმრის უცნაური დასას-რული.

ეზმანებოდა, საცაა მივატანთო იმ სანუკვარ ალაგს, უკვე ჩანდა კიდეც შორით რაღაც ნაპირი. სიყვარულის ნაპირი იყო ის ნაპირი — იქით მიემართებოდნენ, მიეშურებოდნენ ძალღო-ნის დაუზოგავად, შმაგი სურვილი დაუფლებოდათ, მალე მიელ-წიათ იმ ნაპირამდე და ერთურთს დანებებოდნენ. აჰა, სულ ცო-ტაღა რჩებოდა ნაპირამდე, მაგრამ უეცრივ თავთხელში შეიჭ-რებოდნენ ხოლმე გაქანებულნი; აქ ფსკერი სილიანი იყო, წყა-ლი მუხლამდეც ვერ სწვდებოდა კაცს; მორჩა, დამთავრებულიყო

ცურვა. მყისვე გონს მოეგებოდა ორგანი, მიმოიხედავდა: ქალთევზა გამწარებული აწყდებოდა აქეთ-იქით, ამაოდ ლამობდა, როგორმე თავი დაეღწია ვერაგი მარჩხობის ტყვეობისაგან. ორგანს ცივი ოფლი დაასხამდა, საშველად გაიწევდა. ოღონდ მთელი საუკუნე გამოხდებოდა, ვიდრე ფორთხვა-ფორთხვით მიცოდვილობდა, ფსკერს ჭაობისნაირი ლიამწოვი მოსდებოდა და შიგ ეფლობოდა, ძლივს მიათრევდა გაურჩებულ, მოთონთლოებულ, ნასხვისარ ფეხებს. ქალთევზა გვერდითვე იყო, სულ ახლოს, ჰა და ჰა, ხელით მისწვდებოდა. ოღონდ ესაა, რის ვაივაგლახით იძვროდა, სულშეგუბებული ღრმად ჩაჯდებოდა ხოლმე ლამში, წყალი გადასცდებოდა, გაიბლანდებოდა ტმასნია წყალმცენარეებში. მაგრამ უფრო გულსაკლავი სანახაობა ის იყო, როგორ ფართხალებდა, წვალობდა მეჩეჩზე გარჩენილი მისი მშვენიერი ქალთევზა. როცა, ბოლოს და ბოლოს, მიაღწევდა იქამდე, ხელში აიყვანდა და ნაპირისკენ მიბანდალებდა ბრუდასხმული, ცხადად ესმოდა, მკერდზე მიხუტებულ ქალთევზას რა საშინლად უცემდა, ლამის გასკდომოდა გული, თითქოს დაჭრილ ჩიტს დასდევნებიან და შეუპყრიათო. მიჰყავდა ასე, ხელში აყვანილი, მაგრად იკრავდა მკერდზე, თითქოსდა უმწეო ბალღი გადაუწვენიაო მკლავებზე, მიჰყავდა და მტკივნეულად, მთელი არსებით იმსჭვალებოდა სინაზითა და სიბრალულით, ყელში მობჯენილი ცრემლი ახრჩობდა. გრძნობამორეულს ქალთევზასი ერცხვინებოდა, თავს იოკებდა, არ ავტირდეო. გულის თრთოლით მიჰყავდა, ფრთხილად მირონინებდა, მთელი გულისყური იმისკენ მიეპყრო. ის კი, ქალთევზა, თვალცრემლიანი ემუდარებოდა, უკანვე წამიყვანე, ზღვაში გამიშვიო. სული ეხუთებოდა, ლამის სიცოცხლე მოსწრაფებოდა. თუ დიდ ზღვაში არ იგულებდა თავს, ისე არ შეეძლო ამის სიყვარული. ცრემლი

სდიოდა და უჩუმრად შემოსცქეროდა ისეთი მავედრებელი, გულში ჩამწვდომი მზერით, რომ ეს ვეღარ უძლებდა. უკანვე გატრიალდებოდა, თავთხელში მიტოპავდა ზღვისკენ დაძრული, სულ უფრო ღრმად შედიოდა წყალში, მერმე ფრთხილად შეუშვებდა ხელს.

ქალთევზა ზღვაში შეცურდებოდა, ეს კი იდგა გალენჩებულივით, ეულად. თვალს მიაყოლებდა იმას, გამოეღვიძებოდა ცხარედ ატირებულს...

> სად, სად დაცურავ, დიდო ქალთევზავ?
> ეს ზღვა დარდია ჩემი,
> ეს წყალი — ცრემლი ჩემი.
> მიწა კი — საბრალო თავი ჩემი.
> სად, სად დაცურავ, დიდო ქალთევზავ?

ისეთი სამძიმო, ისეთი გაუსაძლისი იყო ამის მოგონება, თითქოსდა მართლა სჭეროდეს ხელში ის ქალთევზა და თავადვე გაეშვას ზღვაში. რატომ ხდებოდა აგრე? ნუთუ შეუძლებელია, კაცს რაგინდარა ნატვრა აგიხდეს სიზმრად? ვის ნებაზე ჰკიდია ეს? ვინ იმალება და რა იმალება ამ ამბის მიღმა, რა არის ამის არსი, რა ქარაგმა იგულისხმება აქ და რატომ? ვერაფერი გაეგო და ცდილობდა, თავიდან მოეშორებინა ეს ფიქრები; ლამობდა, დაევიწყებინა ქალთევზა, აღარ ეფიქრა მასზე.

მაგრამ სათხევლად წასული თავისდა შეუმჩნევლადვე შეცურავდა ოცნების მორევში. ზღვაზე ყოფნისას თითქოს ხელახლა განიცდიდა იმ საოცარ სიზმრისეულ თავგადასავალს, ხოლო საღად რომ განსჯიდა, თავადვე უკვირდა ეს ამბავი. გუნებაში იტყოდა: რად ვფიქრობ ამაზე, განა შემფერის ამ ხნის ბერიკაცს, არარსებული ქალთევზას გამო ვდარდობდე? ასე

უსაყვედურებდა თავს და იმავ დროს თავის თავსვე გამოუტყ-
დებოდა: ის რომ არ იყოს, ჩემივე თავი მომბეზრდებოდა აქამ-
დე — დავჩაჩანაკდი უკვე, აღარც ძალ-ღონე მომდევს ძველებუ-
რად, აღარც თვალი მიჭრის ძველებურად, ის შნო და ლაზათი
წავიდა, კბილებიც დამაკლდა. რითაც თავი მომწონდა, ის ყოვე-
ლივე მიდის, ქრება, სიკვდილი კარზეა მომდგარი, და მხოლოდ
გული ძგერს ძველებური ეშხით, ათასნაირი სურვილი ღვივის
ამ მკერდქვეშ წინანდებურად, როგორც ჯეელობაში იცოდა; რა
გინდა ქნა — ეს ტიალი სულ არ ბერდება. მიტომაცაა, ამნაირი
ფიქრები მჩვევია, ამნაირ სიზმრებსა ვხედავ — აგრეა, მხოლოდ
ფიქრსა და სიზმარში ჰგონია თავის თავი კაცს ლაღი და უკვ-
დავი. ოცნებით სწვდება მაღლა ზეცასაც და ძირს ზღვათა სიღ-
რმესაც. დიადიც მითვე არის, რახან სამარის კარამდე ფიქრით
დასტრიალებს ყველაფერს, რაც ამსოფლად არსებობს. ოღონდ
სიკვდილი არად აგდებს ამ ამბავს, რაში ენაღვლება, თუ იყო
ამქვეყნად კაცი, ან თუ რა სიდიადეს მიაღწია იმ კაცმა ფიქრებ-
ში, რა სიზმრებსა ხედავდა, როგორი იყო თავად, რა ჭკუა-გო-
ნების პატრონი — ეს ყოველივე სულაც არ ედარდება. მერედა,
რატომ არის აგრე? ვინ გაარიგა აგრე? დაე, სიზმარი იყოს ქალ-
თევზა, ოღონდ ეს სიზმარი სამარადისოდ გაჰყვებოდეს იქ,
იმქვეყნად...

ვით ქალთევზასი სჯეროდა ორგანს, ისე სჯეროდა იმისიც,
ზღვა ჩემს გულისთქმას შეისმენსო. ზღვაზე მყოფს სუნთქვაც
და ფიქრიც ლაღი ჰქონდა. აქ გაეხსნებოდა ხოლმე გული. იმ
თავის ფიქრებს მინებებული, ზოგჯერ კიდევაც იტყოდა გუნე-
ბაში: „აქ ხომ არ მივცურავდით ერთად?“

ამას გაივლებდა გუნებაში და ხელახლა დატენიდა ხოლმე
ჩიბუხს. ნეტარებას ჰგვრიდა თამბაქოს კვამლი: „ნეტა სად იზრ-

ლება ეს ამისთანა ბალახი — თითქოს მავნე არისო, გულს კი შვებას აპოვნინებს და... მანჯურიაში ხარობსო, ვაჭრები ამბობენ. იქიდან შემოაქვთ. შორს არის ეგ შენი მანჯურია, უჰ, ძალიან შორსაა, ჩვენებური მისდღემჩი არავინ ყოფილა მაგ მხარეში... ნუთუ ეგ თამბაქო მართლა ისე იზრდება იქ, როგორც ბალახი ტყეში? აი, საკვირველება თუ გინდა, ესაა; მაინც რა საოცრება არ ხდება დუნიაზე...“

ამასობაში მზე საშუადღეოს გადასცდენოდა. რამდენჯერმე მიეფარა ღრუბლებს ამ ხნის მანძილზე; ის ღრუბლები ანაზდად ჰოჯარდებოდნენ სადღაც ცისკიდურზე წამოშლილნი, თითქოს იქ იმათი ფარული საბუდარი ყოფილიყოს. მოჯარდებოდნენ და მყისვე ჩრდილი დაეცემოდა ზღვას, იერი გაუმკრთალდებოდა, ჩამომდგარ ბინდში ყოველივე მოიწყენდა ირგვლივ. მერმე კი კვლავ გამოანათებდა მზე, გაზაფხულის შესაფერისად გამოკაშკაშდებოდა ღრუბლებს შორის. ზღვაც უთვალავ ცინცხალ ათინათად ალივლივდებოდა; ის ლივლივი თვალსა ჭრიდა კაცს. გულშიც ისევ ხალისი ჩადგებოდა.

კირისკმა თუმცა თვალი შეაჩვია უკვე ზღვას და ცოტათი მოეწყინა კიდეც, გულში მაინც კვლავინდებურად უკვირდა ეს სიდიადე, თვალუწვდენლობა ზღვის სივრცისა. აგერ ამდენი ხანია მოცურავენ და არსად კიდე-განი არა ჩანს. დედამიწაზე, რაგინდ ვრცელი უნდა ყოფილიყო არე-მიდამო, არასდროს ეს უკიდეგანობა ისე არ აკვირვებდა, როგორც ზღვაზე მყოფს. უფროსებს კი ოდნავაც არა აოცებდათ რა. ყველაფერი ჩვეული იყო მათთვის. ემრაინი და მილგუნი კვლავინდებურად მწყობრად უსვამდნენ ნიჩბებს, ფართოდ არ მოიქნევდნენ, ისე მოკლედვე წამოსდებდნენ წყლის ზედაპირს. მკლავმოუღლელად ირჯებოდნენ, ორგანსაც კი არ დაანებეს, ამათ შენაცვლებოდა,

რა არის ცოტათი შეესვენათ; აგრე უთხრეს — სჯობს იქითობას შეგვეშველო, როცა ტვირთიანად ვიქნებით, ჯერჯერობით კი ივჯექი შენთვის, საჭე მართეო. მოხუცი ორგანიც, ხვანჩწამოზრდილი და გრძელკისერა, კიჩოზე ეყუნტა, მხრებში მოხრილი, როგორც ყურბმა იცის, როცა საკბილოს უთვალთვალებს. დუმდა მეტწილ, თავის ფიქრებს მინებებოდა.

ნავი კი კვლავინდებურად მისრიალებდა, ისევ ისე ოდნავ წაწვებოდა ხოლმე ტალღაზე. ღელვაც წინანდებურად ზომიერი იყო. ქროდა თანაბარი ძალის ქვენა ქარი.

ჰოდა, მიცურავდნენ ასე...

— ათკიჩხ, ათკიჩხ! აგე, იქ კუნძული ჩანს! მცირე კერტი! — სიხარულით შესძახა უცებ კირისკმა და ორგანს სახელო დაქაჩა.

— სად ხედავ კუნძულს? — არ დაიჯერა ორგანმა, თან თვალზე ხელისგული მოიჩრდილა. მენიჩბენიც გაკვირვებულნი იცქირებოდნენ იქით, საითაც ბიჭი უჩვენებდათ.

— მანდ კუნძულს რა უნდა, — წაიბუტბუტა ბერიკაცმა. ბიჭი სულ სხვა მხარეს უთითებდათ, რომ არ მოელოდნენ, იმ მხარეს.

ოღონდ ბიჭს თვალი როდი ატყუებდა. შორს, ძლიერ შორს, ზღვაზე მართლაც მოჩანდა ქუფრად რაღაც უძრავი, მღვრიე მურა ელფერის მქონე უსწორმასწორო ზოლი. გეგონებოდა, წყალში ხმელეთის გამონაშვერი შეჭრილაო. ორგანი დიდხანს აშტერდებოდა.

— არა, კუნძული არ არის, — დაბეჯითებით თქვა ბოლოს.— კუნძულ კერტამდე ერთხანს კიდევ უნდა ვიცუროთ სწორეზე, დასავლისკენ, ისე, როგორც მივცურავთ. ეგ კი მთლად განზე ჩანს, რაღაცაა. კუნძული არაა, — დააყოლა. — ჩემი შეტყობით, კუნძული არ უნდა იყოს.

— ამისთანა კუნძული რიდის ყოფილა ამ წყლებში, არასოდეს თვალი არ მოგვიკრავს,—თქვა მილგუნმა,—მცირე კერტი მხარმარცხნივ უნდა გამოჩნდეს, ეგ კი სწორედ არ ვიცი, რა უნდა იყოს.

— ნისლი ხომ არაა, ანდა იქნება რაღაც ღრუბელია? — წარმოთქვა ემრაინმა. — ან იქნებ ფურთუნია, მაგრამ რომ არ იძვრის.

— ეგა სთქვი და!.. ნისლია თუ ღრუბელი, ეშმაკმა იცის. იმსიშორეზე რას გაარჩევ. მაგრამ კუნძული არაა, — ბჭობდა ორგანი. — თუ ნისლია მაგნაირი, ვერაფერი შვილი ამბავია.

— ოღონდ ქარი არ შეიცვლიდეს მიმართულებას და ჯანდაბას მაგისი თავი,—თქვა ემრაინმა, თან ძალუმად უსვამდა ნიჩბებს. — ერთ ადგილზე დგას, არ იძვრის. ჩვენ კი მაგ მხარეს რა გვესაქმება; ჰოდა, რაც ნებავს, ის იყოს...

კირისკმა, ერთი პირობა, იმედგაცრუება იწვნია — გაურკვეველი რამ გამოდგა ის რაღაცა, მე რომ შევნიშნეო. მაგრამ ეს ამბავი ჩქარა გადაავიწყდა.

მონადირენი კი არ შემცდარან: მალე ამოჩნდა წყლიდან, მათგან ხელმარცხნივ, კუნძული მცირე კერტი. ამჯერად საეჭვო არაფერი გახლდათ. ხმელეთის პატარა გამონაშვერი გამოდგა, ერთიანად ქვიანი და ბორცვებით დაფარული. მართლაც ძუძუსთავს მოგაგონებდა.

კუნძულს რომ თვალი ჰკიდეს, ყველანი გამოცოცხლდნენ, მეტადრე კირისკი, — მაშასადამე, უსასრულო როდი ყოფილა ზღვაო.

სწორედ ახლა დგებოდა ყველაზე ამაღელვებელი, წარმტაცი ჟამი.

— ხომ ხედავ, — ორგანმა ხელი მოუთათუნა ბიჭს ბაშლაყი-

ან თავზე, — ჭრელმა ძაღლმა მოგვიყვანა ამ კუნძულამდე, თუმცა თვითონ შინ დარჩა. უკან რომ გამოგვდევნებოდა, ჩაიძირებოდა თუ არა?

— აბა, რა!—დაუდასტურა კირისკმა, ქარაგმული კილო ენიშნა მოხუცის ნათქვამში.

— ჭრელი ძაღლი სწორედ იმისთვის გვინდა, შინ გვეგულებოდეს და სახლს დარაჯობდეს. ჩვენ კი უნდა გვახსოვდეს იგი და ამის წყალობით ისე მივაღწიოთ სანადირო ადგილს, გზა არ აგვერიოს. როგორა გგონია, კიდევ დაგვჭირდება თუ არა ჭრელი ძაღლი?

— არა, აღარ დაგვჭირდება, — კვლავ თავდაჯერებით მიუგო კირისკმა. — ახლა თვითონვე ვხედავთ, საით უნდა გავცუროთ.

— აბა, დაფიქრდი ერთი, — უსაყვედურა ორგანმა, — შენ ხომ ისეთი მკვირცხლი ხარ, ჰოდა, დაფიქრდი, აბა.

კირისკი ვერ მიმხვდარიყო, რაღად დაგვჭირდება ჭრელი ძაღლი, რაკი ამ შორეულ კუნძულს აგერ უკვე მოვატანეთო.

— რაღად გვინდა აქ ჭრელი ძაღლი?

— რაღად გვინდაო? შინისაკენ როგორღა გაბრუნდები? საით გაცურავ, რომელ მხარეს? აბა, დაფიქრდი. მიხვდი? დაიხსომე, რა მხრიდან მივადგებით კუნძულს, რა მხრით იყურება თვით კუნძული ჭრელი ძაღლისკენ — მაშინ გეცოდინება, როგორ უნდა მოვიმხროთ გზა უკან დასაბრუნებლად.

კირისკი უსიტყვოდ დაეთანხმა, თუმცა თავმოყვარეობის შელახვა კი იგრძნო; იქნებ მიტომაც შეეკითხა, ცოტა არ იყოს, გულფიცხად:

— თუ ბნელაში მოგვიწევს ცურვა, მაშინ? თუ ღამე გვისწრებს ზღვაზე და თვალით ვერაფერს დაინახავს კაცი, მაშინ? რაღას ვიზამთ მაშინ?! ჰა! როგორღა შევიტყობთ, სად, რომელ მხარესაა ჭრელი ძაღლი? ჰა!

— მაშინაც შეიძლება შეტყობა,—მშვიდად მიუგო ორგანმა.— მიტომაა ვარსკვლავები ცაზე. ვარსკვლავები არ მოგატყუებს, მუდამ სწორად გაგაგნებინებს გზას. ოღონდ უნდა იცოდე, სად რა ვარსკვლავია. ცოტა ხანში მაგასაც ისწავლი. იხვ ლუვრის თანავარსკვლავედი თუ იცი?

— მგონი, ვიცი, — გაუბედავად მიუგო კირისკმა, თან მამამისს გადახედა. ემრაინი მიხვდა, რა გასაჭირშიც ჩავარდნილა ვაჟიშვილი.

— ცოტათი იცის, ერთხელ ვუჩვენე. მაგრამ ეს არ კმარა. უნდა გავარჯიშდეს კიდევ...

ასე მიცურავდნენ, თანდათან უახლოვდებოდნენ კუნძულს. როცა სანაპირო კლდეებსა და რიყეზე მიმოფანტულ ქვებსაც უკვე თვალით გაარჩევდა კაცი, ადგნენ და კუნძულის გარშემოვლა იწყეს, თან საგულდაგულოდ აკვირდებოდნენ რიყის ყოველ კუთხე-კუნჭულს, სელაპის თავშესაყარი სადმე მანდ უნდა იყოსო. კირისკი მთლად გაფაციცებული იცქირებოდა, იქნება პირველმა დავკრა თვალიო. უფროსებმა გააფრთხილეს, ნადირს თუ შენიშნავ, ხმაური არ ატეხოო. ორგანმა ასე თქვა, სელაპები სადღაც იმ რიყის ქვებს შორის წვანან, წყლის პირასო — ხმელეთზე იმისთვის გამოფორთხდებიან ხოლმე, მზეს შეეფიცხონო. უნდა მოვინიშნოთ ის ალაგი, სადაც იწვებიან, მერმე უჩუმრად გადავსხდეთ ნაპირზე და შეუმჩნევლად მივეპაროთ, რომ არ დავაფრთხოთო. მაგრამ კირისკმა ვერაფერიც ვერ დალანდა. ერთი უდაბური, უსიცოცხლო ნაპირი ჩანდა. ხამი ქვების ერთიანი წყება მისდევდა ნაპირს, დრო-ჟამისაგან ალაგ-ალაგ დაშლილი, უფორმო, ლოდისებრი ქვების. კუნძულის გარშემო თეთრ ქაფად შემოსალტული ზვირთცემის გრიალი ისმოდა, გაშმაგებული ზვირთები ლამის გადასცდენოდნენ

გაყინულ ქვათა შვავებს. ვერა, ვერაფერს დაჰკრა თვალი კირისკმა ამ პატარა კუნძულზე. მხოლოდ ქვები შეხირხლულიყო ქვებზე. არსად სულიერი არ ჭაჭანებდა.

მილგუნმა პირველმა შენიშნა სელაპთა სამყოფელი. ოღონდ, ვიდრე კირისკი თავს აქეთ-იქით ატრიალებდა, ერთი ჩემი თვალით დავინახო, სად შეფარებულა ნადირიო, ამასობაში ნავი განერიდა კიდეც იმ ალაგს; ფრთხილობდნენ მონადირენი, ზღვიერმა არ შეგვამჩნიოსო.

მოხუცი ორგანი მიხვდა, კირისკმა ვერაფერი ვერ დაინახაო.

— რა ჰქენი, მოჰკარი თვალი? — ჰკითხა.

ბიჭმა ვერ გაუბედა ტყუილის თქმა.

— ვერა, ვერ მოვკარი, — გულწრფელად გამოუტყდა.

— კიდევ მივადგეთ იმ ადგილს, — ბრძანა ორგანმა, — უნდა შეძლო, ქვებს შორის გაარჩიო. ისე ვერ გახდები მონადირე.

მენიჩბენი უხუცესის განკარგულებას დაემორჩილნენ, წინანდელ ადგილას მიაცურეს ნავი, თუმცა ეს საფრთხილო გახლდათ. თუნდაც ერთ სელაპს განგაში რომ აეტეხა, მორჩა, მიელი ჯოგი უმალვე ზღვას მიაშურებდა. იღბლად, ზღვიერებს ვერ შეენიშნათ მონადირენი. ქვის წყების მიღმა იწვნენ, უწესრიგოდ მიმოყრილ, უსწორმასწორო ლოდებს შორის, თითქმის ზედ წყლის პირს.

— ეგერა ხედავ წვეტიან ქვას, გატეხილ ეშვს რო წააგავს, ცოტა იქით კი მოწითალო, ყინულმოდებული პატარა ბორცვი ჩანს — იმათ შუა გახედე, — უთხრა კირისკს მილგუნმა.

კირისკი გულმოდგინედ აკვირდებოდა. მილგუნი და ემრაინი ამ დროს ნიჩბებს ისე უსვამდნენ, ნავი ერთ ადგილზე ყოფილიყო გაჩერებული. უცებ კირისკმა თვალი მოატანა ზღვის ნადირთა ზურგს; უძრავად გამოჩნდა დიდკუდა, ვეებერთელა

ცხოველთა მორუხო, ფორეჯებიანი, ლაპლაპა ზურგი. შორიდან მაცქერალი ხამი კაცის თვალი ვერც რამეს გაარჩევდა იმ ქვებს შორის.

ბიჭი მღელვარებამ მოიცვა ამ წუთიდან. იწყება: აჰა, ნამდვილი ზღვის ნადირი! აჰა, ამას ჰქვია დიდი ნადირობა!

როცა ნაპირზე გადასხდნენ, ბიჭი აღგზნებული იყო, შემართებისა და აღტაცების გრძნობა დაუფლებოდა. შემართებისა, რაკი თავი დავაჟკაცებულად შეეგრძნო ამჟამად. აღტაცებისა კი იმიტომ, რომ ხედავდა, რა მარჯვედ და შეთანხმებულად მოქმედებდნენ მონადირენი: როგორ მიაცურეს ნავი ნაპირთან, როგორ აჩერებდნენ ნიჩბებით ნავს ემრაინი და მოხუცი ორგანი ზვირთცემის ხაზთან, მილგუნმა კი ისერიგად იყოჩაღა, იშვირა ფეხი და რიყის კიდეზე გადახტა. ამათ რომ საბელი გადაუგდეს, იმის წვერს დასწვდა, საბელი მხარზე გადაიჭირა და გაქაჩა, ნავი წასწია; მამამ მაშინ ვინჩესტერებს დაავლო ხელი და ნაპირზე ისკუპა; მერმე თავადაც გადახტა. ეს კია, მოხუცი ორგანი წაეშველა. მაინც ფეხები დაუსველდა ნაპირს შეხლილ ტალღაში. მამამ ამის გამო ხმადაბლა უსაყვედურა.

ნავში ახლა ორგანი იჯდა მხოლოდ, წყალზე აჩერებდა ნავს, ნაპირის სიახლოვეს; ის სამნი კი — ემრაინი, მილგუნი და კირისკი — სელაპთა სამყოფელისაკენ გაეშურნენ. ნაპირ-ნაპირ მიდიოდნენ, ინსტინქტურად წაიკუზებოდნენ ხოლმე, სწრაფად გადაირბენდნენ ერთი საფარიდან მეორემდე. კირისკი ცდილობდა, ერთი ნაბიჯითაც არ ჩამორჩენოდა უფროსებს, მიჰყვებოდა იმათ გვერდით და გრძნობდა, რა გამალებით უცემდა გული, ხამუშ-ხამუშ რეტი ესხმოდა აღმაფრენისაგან, რასაც სიამაყის გრძნობა და მღელვარება განაცდევინებდა.

ნეტა ერთი ქალთევზას გვარტომის ხალხს დაანახვა ახლა

მისი თავი, დიდ მონადირეებთან ერთად რომ მიეშურება ზღვის ნადირის მოსაკლავად! ნეტა დედამისს წამით თვალი შეავლებინა მისთვის, რარიგ იამაყებდა დედა, მარჯვე მთხევარი, გვარის მარჩენალი შვილი მეზრდებაო, გულში იტყოდა. ერთი მისი თავი დაანახვა ახლა მუზლუქს, ვისთან ერთადაც აგრე ხშირად უთამაშია, აწ კი ხელი უნდა აიღოს მასთან თამაშზე, აკი ამიერიდან მონადირე ჰქვია; ნეტა ხედავდეს ახლა გოგონა, როგორ მიიკვლევს გზას აგერ ამსიშორეზე მშობლიური ჭრელი ძაღლიდან, უცნობ, მობობოქრე ნაპირზე, ხამ კლდეებსა და ქვებს შორის, სელაპთა სამყოფელისაკენ ისწრაფვის. რა ვუყოთ მერმე, თუ ვინჩესტერები მილგუნსა და ემრაინს უჭირავთ ხელში: მამა შეჰპირდა, სროლის დრო რომ დადგება, თოფს შენ მოგცემო.

ასე მიდიოდნენ, ჩუმად ეპარებოდნენ ნადირის თავშესაფარს, მერმე კი გახოხდნენ მიწაზე, კირისკიც გაცოცდა. ჭირდა სიპ ქვებსა და დაჩვრეტილ ყინულზე ფოფხვა, მოუხერხებელი იყო, მაგრამ კირისკს ესმოდა, სხვა გზა არ არისო.

მიხოხავდნენ მძიმე-მძიმედ მსუნთქველნი, ოფლი წურწურით სდიოდათ, ხან საფარს იფარებდნენ, ხან თავს გამოყოფდნენ, აქეთ-იქით გაიხედავდნენ; მთლად გაილურსნენ და გაიძაგრნენ, როცა საკროლადღა უნდა მომზადებულიყვნენ.

სამუდამოდ დაამახსოვრდა კირისკს ეს ჟამი, გაზაფხულის ეს დღე, ეს ცივი, კლდოვანი პაწია კუნძული, უსასრულოდ გაღაჭიმულ ზღვაში ჩაკარგული და იმ კუნძულზე — ეს მუქი ჟღალი, ხამი ქვები, შლეგურ რამ ძალას რომ ამოეტრიალებინა და აქეთ-იქით მიმოეფანტა, ეს ტიტველა დამზრალი მიწა, რომელზედაც პირქვე განრთხმულიყო თავად, მიწა მაგარი და უსიცოცხლო, ყინული ჯერაც რომ არ შემოსდნობოდა; გვერდით კი მამა და

მილგუნი იყვნენ, სასროლად ემზადებოდნენ. წინ, ზედ ზღვის-პირა ღარტაფში, ბორიოსა და ქარიშხლისაგან დაშლილ, ხავს-მოკიდებულ კლდის ნატეხებს შორის, იწვა სელაპების პატარა ჯოგი; ჯერ არაფერს შეეშფოთებინათ, არხეინად გრძნობდნენ თავს. ხოლო მათ ზემოთ, მაღლა, კუნძულის თავზე გარინდ-ულიყო ოდნავ მოქუფრული ცა, დაძაბული რომ ელოდა პირველ გასროლას. სწორედ აგრე მოეჩვენა მაშინ კირისკს.

„ნეტა მოვახვედრებდე!" — ნატრობდა გულში და მამის მი-წოდებულ ვინჩესტერს მხარზე იბჯენდა.

ამ დიდი ხნის ნანატრ წუთს, როცა სიამაყით აღსავსე'ს თავი უკვე ესახებოდა განთქმულ, გულად მონადირედ, უეცრივ იმ აზრმა განაცვიფრა, ემაგ მსუქან, ლოხ ცხოველთა ეგ ცოცხალი ზურგი, ეგ ცოცხალი ფერდები რარიგ დაუცველი, რა ადვილმო-წყვლადიაო. მაგრამ ამან წამიერადღა შეაფერხა. მყის გაახსენ-და, მონადირე ვარ და ხალხი ჩემგან ნანადირევს ელისო, სელა-პის ხორცი და ქონი თუ არ გვექნა, ისე ღარიბულია ჩვენი ცხოვ-რება, თავის გატანა ჭირსო; თან იმ აზრმა გაუელვა, პირველმა მე უნდა ვესროლო და თავი გამოვიჩინოო. სულით გაკაჟდა, მტკიცე ხელით იღებდა ნიშანში დიდ, ფორეჯებიან სელაპს; მამა რომ არიგებდა, ისე უმიზნებდა—ფარფლის ქვეშ, ოდნავ ზემოთ და ოდნავ მარჯვნივ, შიგ გულში. თითქოს საფრთხე რამ იგრ-ძნოო, გაიძაგრა მიზანში ამოღებული ნადირი, თუმცა ვერც თვალით ხედავდა მონადირეებს და ვერცთუ სუნს იკრავდა — ქარი ზღვის მხრიდან უბერავდა. ცოტათი განზე უნდა გაჩოჩ-ბულიყო კირისკი, რათა უკეთ დაემიზნებინა, წინ რაღაც უშლიდა ხელს, რაღაც ჩრდილი. ის იყო გაიწია კიდეც და ამ დროს ქვა აისხლიტა იდაყვმა, ჩხრიალით დაგორდა დამრეცზე ის ქვა, გზადაგზა სხვა ქვებიც გაიყოლია. იმ ზორბა, ფორეჯე-

ბიანმა სელაპმა მყისიერი, ყეფასავით ხმა გამოსცა — ჯოგი ერთ-ბაშად შეტორტმანდა, ღრიალ-ღრიალით სწრაფად გაფორთხდა, ფაცხაფუცხით დაქანდა წყლისკენ. იმავ წამს, ვიდრე ზღვაში ჩაასწრებდნენ, თოფმა იქუხა, ჯოგს განაპირებული დიდი სელა-პი ადგილს დააკვდა. მილგუნს ემარჯვა, ვითარების გამოსწო-რებას ცდილიყო. კირისკი კი დაიბნა.

— ესროლე! — უბრძანა ემრაინმა.

კონდახმა კინაღამ მხარი ჩამოუღო, ჭექის ხმამ ყურები გა-უბჟუა, სულ გააყრუა იქაურობა. საშინლად შერცხვა კირისკს, ავაცდინეო, ჩემი გამოისობით ნადირობაში ხელი გვეცარებაო. მამა ამასობაში ხელში ვაზნას სჩრიდა.

— მიდი, დატენე სწრაფად და ესროლე!

რა ძნელი რამ ეგ იყო — ვაზნა ჩაედო და გაესროლა (როცა სროლას სწავლობდა, რამდენჯერ სულ იოლად მოუხერხებია ეს), მაგრამ ახლა ვერ ახერხებდა: ვინჩესტერის საკეტი ხელში ვაუჯახირდა. მილგუნმა ამასობაში, ცალ მუხლზე წამოჩოქილ-მა, კიდევ მიაყოლა, ორი ტყვია დაადევნა ზღვისკენ დაძრულ სელაპებს. ერთი დაჭრა კიდეც, ის დაჭრილი ზედ რიყის კიდე-ზე დატრიალდა. მონადირენი იქით გაქანდნენ. ჯოგი უკვე ზღვას აფარებდა თავს, ის დაჭრილი კი, ნაპირზე დარჩენილი, გამწა-რებული ცდილობდა, როგორმე წყალში ჩაფორთხებულიყო. ამათ რომ მიირბინეს, იმას უკვე მოეხერხებინა და მიეღწია კიდეც წყლამდე, შეცურდა და სისხლიანი ლაქების მოქანავე ნაკვალევი გაიყოლა, თათ-ფარფლების ქნევით ნელ-ნელა მიი-წევდა ზღვის გამჭვირვალე სიღრმისაკენ. მკაფიოდ მოუჩანდა შიშისაგან დაჭყეტილი თვალები და ხერხემალზე დაყოლებული იასამნისფერი ზოლი, კემხადან კუდის წვერამდე რომ გასდევდა. მილგუნმა ვინჩესტერი მოიგდო, მაგრამ დაუშვა — ტყვიანაკრა-ვი სელაპის მოკვლა აღარ ღირდა.

— დაეხსენ, სულ ერთია ჩაიძირება, — წარმოთქვა ემრაინმა ქოშინავარდნილი კირისკი ყურებჩამოყრილი იდგა, თავის თავს ემდურებოდა. განა ამას ელოდა. ესეც შენი მარჯვე მონადირე!

ხმას აღარ იღებდა ბიჭი, ძლივს იკავებდა თავს, უცაბედად ცრემლი არ წამსკდესო. ისე მწარედ დასწყდა გული.

— ნუ გაიტეხ გულს, შენც გაგიღიმებს ბედი, — დაამშვიდა მილგუნმა ცოტა ხნის შემდეგ, როცა მოკლულ სელაპს ფატრავდნენ. — აგერ შუათანა კერტისკენ გავწევთ, იქ უფრო ბევრი ნადირი იცის.

— ერთი არ ავჩქარებულიყავ, — ენა ამოიდგა კირისკმა, მაგრამ მამამისმა უმალ გააწყვეტინა:

— თავს ნუ იმართლებ. ვინ გინახავს, ერთი გასროლითვე რომ მონადირე გამხდარიყოს. მოგეცა ლხენა, სროლა იცი, ნადირი ვერსად წაგივა.

კირისკს ხმა არ ამოუღია, გულში კი ემადლიერებოდა უფროსებს, არ დამამუნათეს, ერთი საყვედურის სიტყვა არ დასცდენიათო. თავის თავს დაუთქვა — აღარ აჩქარებულიყო ნადირობისას, არც სხვა რამეზე ეფიქრა იმ დროს, აუცდენლად ესროლა, როცა თვალი და სუნთქვა — ასე ასწავლა მამამ — „სამიზნეს შეერწყმოდნენ“. აი, მაშინ უნდა გაეგზავნა ტყვია!

დიდი, მძიმე გამოდგა სელაპი, ჯერ ისევ მთლად თბილი იყო, თითქოს ცოცხალი ყოფილიყოს. გამოშიგვნით გართული მილგუნი კმაყოფილი იფშვნეტდა ხელებს: „ნახე ერთი. ოთხი თითის სისქე ქონი ადევს. კარგი რამაა!“ კირისკს აღარ ახსოვდა გულის დაწყვეტა, გატაცებით ეხმარებოდა მილგუნს. ემრაინი ამასობაში მოხუც ორგანისკენ გაემართა, უნდა ეთქვა, სადმე ახლოს მოეყენებინა ნავი.

მალე დაბრუნდა, შეწუხებული და აფაცურებული ჩანდა.

— დრო ცოტაღა გვაქვს, დაუჩქარეთ! — მერმე ცას აჰხედა და ისე, რომ არავისთვის მიუმართავს, დააყოლა: — არ მომწონს რაღაც ამინდი...

სახელდახელოდ გამოფაშვეს ნანადირევი, შიგნეულიდან მარტო ,ულ-ღვიძლი დაიტოვეს, გამოშიგნული სელაპი შეკრულ ლატნებზე დაუდეს და ნავისკენ წაათრიეს. კირისკი უკან მიჰყვებოდათ, თოფები მიჰქონდა, ის ორივე ვინჩესტერი.

ნაპირზე, ნავთან, ორგანი ელოდებოდათ. გაიხარა ბერიკაცმა ამათი დანახვისას.

— გაიგონოს კურნგმა*, რა კმაყოფილნი ვართ! სიფთეზე ესეც კარგია! — თან ლაპარაკობდა, თან სანადირო დანას იმარჯვებდა იჯრის მოსამზადებლად. ნადირობის შემდეგ ეს იყო მთავარი — ადგილზევე უნდა შეეჭამათ სელაპის უმი ღვიძლი. ორგანი ნანადირევს მიუცუცქდა, ღვიძლი ნაწილ-ნაწილ დაჭრა. აიღებდნენ მონადირენი ღვიძლის ნაზ ნაჭერს, ცოტაოდენ მარილს მოაყრიდნენ და პირისკენ გააქანებდნენ, თან სიამოვნებისაგან ტუჩებს აწკლაპუნებდნენ. მეტად გემრიელი საჭმელი იყო — ნაზი, თბილი, მაწიერი. პირში გადნებოდა, ენაზე ცხიმოვანი წვენი დაგედინებოდა. აუსრულდა კირისკს ნატვრა — ვით ნამდვილ მამაკაცს შეეფერებოდა, უმ ღვიძლს მიირთმევდა ნადირობისას!

— სანსლე, სანსლე! — ურჩევდა ორგანი. — ცივი ღამე იქნება, გაითოშები. მაგ ღვიძლზე უკეთესად ვერაფერი გაგათბობს. რაგინდარა სნეულების უებარი წამალიც ეგ არის.

---

* კ ურ ნ გ ი — უმაღლესი ღვთაება.

რა სჯობდა ამ სერობას. მიირთვეს გემოზე და ხელად მოს-წყურდათ. წყალი კი ნავში ჰქონდათ, ლადუკში ედგათ.

— ახლა არ ღირს აქნა, — თქვა ემრაინმა, როცა დანაყრდნენ; კვლავ შეშფოთებით გახედა ცას.

— მოესწრება, — კვერი დაუკრა ორგანმა. — შუათანა კერტზე რომ მოვეწყობით, ჩაის გავიცხელებთ საღამოდ, — დაუმატა.— ჯერ კი იოლად გავიდეთ. ბარემ დავტვირთოთ ნავი.

ვიდრე ნაპირს მოსცილდებოდნენ, მონადირეებს არ დავი-წყებიათ, მიწა დაეპურებინათ. წვრილ-წვრილად დაჭრილი სელაპის გული მიმოაბნიეს, თან კუნძულის უფალს შესთხოვეს, შემდგომაც ხელი მოგვიმართეო. მერმე კვლავ ზღვაში შეაცუ-რეს ნავი.

მცირე კერტი უკან მოიტოვეს. პაწია ეული კუნძული, პირ-ქუშ წყლის სივრცეში ობლად მზირალი, სიბრალულისა და მიუსაფრობის გრძნობას აღუძრავდა კაცს. გეზი შუათანა კუნ-ძულისკენ ჰქონდათ აღებული. უკვე საღამო ხანი ახლოვდებო-და. მენიჩბენი მთელი ძალით უსვამდნენ ნიჩბებს, ჩქარობდნენ, დღისულვე მიეტანებინათ შუათანა კერტისთვის; იქ ყუჩ ალაგს მიაყენებდნენ ნავს და ღამესაც იქვე გაითევდნენ. მცირე კერტი მალე თვალს მიეფარა, თითქოს ზღვაში ჩაეშვაო, შუათანა კი ჯერ არ ჩანდა. გარს ისევ წყალი ეკრათ.

ვიდრე სელაპის თხევლით იყვნენ გართულნი, ზღვას შესამ-ჩნევად ეცვალა სახე. ტალღა შესქელდა. შემკვრივდა. წყლის მასა ჯერ ისევ წინანდელი მიმართულებით მიგორავდა, ქარი კი უკვე სხვა მხრიდან უბერავდა. ნავს ახლა კარგა მაგრად არ-ყევდა და ატორტმანებდა. მაგრამ მონადირეებს ცა მეტ შეშფო-თებას ჰგვრიდათ. რას უქადდათ ნეტა? რაღაცას უპირებდათ ისეთს, აუხსნელი და მოულოდნელი რომ იყო წელიწადის ამ

დროს! ვინ იცის, საიდან მოექანებოდა ჯანღი რამ და ცას ეკვროდა მოთეთრო დენად საფარველად, თითქოს ბურია, რომელსაც ზენა ქარი მოერეკება შორეული ხანძრებისაგან, სადღაც უსიერ ტყეებში რომ მძვინვარებსო. და ის თხელი ნისლი თუმცა მაღლა-მაღლა იფინებოდა, დაშავებით არავის არას უშავებდა, მონადირეებს მაინც სახე ექუშებოდათ.

— სად ჯანდაბიდან მოეხეტება? — ბურტყუნებდა ორგანი და მზერას უკმაყოფილოდ ავლებდა აქეთ-იქით.

დაძაბულობით შეპყრობილნი მიცურავდნენ. წამდაუწუმ ელოდნენ, აი, ახლა გამოჩნდებაო მიწა, — შუათანა კერტი, ყველაზე მოხერხებული და საიმედო იმ სამ კუნძულს შორის.

ამასობაში ცა მოიწმიდა, ასე გასინჯეთ, მზემაც ისევ გამოაჭყიტა ზღვის კიდიდან, ან, იქნებ, სულაც ქვეყნიერების დასალიერიდან — ისე შორი და დაუჯერებელი გეჩვენებოდა ეს ამბავი. მზეს ახლა იოლად გაუსწორებდი თვალს. მკაფიოდ გამოსახული და მუქწითლად აღუებული, იგი ცხრებოდა უკვე, ინავლებოდა იმ შორეულ მეწამულ-ნისლოვან მხარეს. გაიხსნა თუ არა პირი ცამ, ქვეყნად კვლავ დაისადგურა სინათლემ და სიმშვიდემ. დაისადგურა და მაშინვე გაქრა ის დაძაბულობა. მთხევარნი უკვე ნეტარებდნენ გულში, სულ მალე მივატანთ კუნძულს, იქ კი დავივანებთ და დავისვენებთო.

— ცოტაც მოითმინე და შუათანა კერტი ამოჩნდება წყლიდან, — უთხრა ორგანმა გვერდით მჯდომ კირისკს და გასამხნევებლად ზურგზე ხელი მოუთათუნა.

ბიჭს დიდი ხანია მოსწყურებოდა, ოღონდ ჯერჯერობით ითმენდა, ბავშვური მიამიტობის გამო ბეჯითად ასრულებდა მამის მითითებას. მამამ ჯერ კიდევ წინა დღეს უთხრა, ზღვაზე მუდამ ძლივს ჰყოფნით ხოლმე სასმელი წყალი, ისე კი ვერ

დალევ, შინ რომ იცი, როცა მოგეპრიანებაო! კუნძულებზე მტკნარი წყალი არ არის, იმ სამთაგან ვერც ერთზე წვეთსაც ვერსად ნახავს კაცი. ნავით კიდევ ჭარბ ტვირთს ვერ წაიღებო. წყალი მაშინ შეგიძლია დალიო, როდესაც ნახავ, ყველანი სვამენო.

იმ ნათელი შუალედისას, როცა ანაზდად მოკარიანებულ ტატნობზე მზემ გამოაჭყიტა, ბიჭმა იგრძნო, მოხუცი ალერსიან გუნებაზე დადგაო.

— ათკიჩხ! მომწყურდა ძალიან! — უთხრა ორგანს, თან გაბედულად გაიღიმა და მამამისს გადახედა.

— ხო-ო! მესმის შენი, — ჩაეღიმა ორგანს, — იმ ღვიძლის მერე რა გასაკვირია! მოგწყურდებოდა, აბა, რა იქნებოდა! ჩვენც აგერ ყველას გვწყურია, ასე არაა?

ემრაინმა და მილგუნმა თავი დაუქნიეს დასტურის ნიშნად. კირისკს გულზე მოეშვა — განა მარტო მე, ყველას სწყურებიაო.

— რახან აგრეა, გავინებივროთ თავი და წყალი დავაყოლოთ, მერე გავაბოლოთ კიდეც! — ამის თქმისას მოხუცმა ორგანმა საჭის ხოფი გაამაგრა, ნავის ფსკერზე ჩადგმული წყლით სავსე ლადუკი ასწია, მოხერხებულად დადგა და პირი შიგნიდან მოკალულ სპილენძის ტარკოშს მიუმარჯვა. ცივი, კამკამა წყალი იყო — სწორედ იმ ბინულისა, ზღვის სანაპირო მხარეს მიქცეულ ჭრელი ძაღლის ფერდზე რომ გამოჩუხჩუხებდა. იმ წყაროს წყალი მუდამ ისეთი ანკარა და გემრიელია, კაცი უკეთესს რას იგემებს. ზაფხულობით კიდევ, როცა გზადაგზა თავზე ევლება ზედ ნაპირზე ამოსულ ბალახს, იმ ბალახისა და ნოტიო მიწის სურნელი ასდის.

კოშს კირისკი თავისივე ხელით უმარჯვებდა წყლის ნაკადს. ერთი სული ჰქონდა, როდის მოიწაფებდა. ნახევრად რომ გაივსო კოში, მოხუცმა ორგანმა ლადუკს პირი დაუცო.

— აბა, დალიე! — უთხრა კირისკს. — მერე სხვებსაც დაალევინე. არ დაგელვაროს, — გააფრთხილა.

კირისკი ჯერ ხარბად დაეწაფა, ბოლოს უფრო ნელ-ნელა იწყო სმა და მაშინ იგრძნო, წყალს უკვე გაჟიანებული ხის სუნი დაკრავსო.

— მოიჯერე გული? — ჰკითხა ორგანმა.

— კი.

— თვალებზე გატყობ, — მთლად ვერ მოგიჯერებია. კარგი, რახან ეგრეა, ცოტას კიდევ დაგისხამ. ღვიძლმა უბედური მოწყურება იცის; მიწაზე რომ ვიყოთ, თუ გინდა ერთი სათლი დაგელიოს, — ასე ლაპარაკობდა მოხუცი, თან ბიჭს წყალს უსხამდა კოშის ძირზე.

ახლა კი იჯერა გული კირისკმა; მართალი ყოფილან უფროსებიო, გაიფიქრა, ამისთანა შემთხვევაში თქმა რომ იციან: უჰ, ვცხონდი კაცი და ეგ არისო!

მერმე მენიჩბეებისთვის მოიცალა ორგანმა, სამ მეოთხედზე გაუვსო სათითაოდ კოში. კირისკი თავისი ხელით აწოდებდა იმათ წყალს. რაკი თავად მოიკლა წყურვილი, საწინააღმდეგო რაღა ჰქონდა, მამამისსაც და მილგუნსაც იმდენ-იმდენი შეესვათ, რამდენიც მოესურვებოდათ. ოღონდ უხუცესმა ორგანმა საჭიროდ მიიჩნია, აეხსნა ბიჭისთვის, რად დაუსხა იმათ კირისკზე მეტ-მეტი.

— შენ ჯერ არ აგიყრია ტანი; აბა, ამათ შეხედე, რა მოსულნი არიან! ჯაფაც დიდი ადგათ. როცა ნიჩბებს უსვამ, ძალუმ გწყურდება კაცს.

ემრაინმა და მილგუნმა მართლაც ხელადვე დაცალეს თავთავისი წილი. რა უნდა ექნა ორგანს, კიდევ დაუსხა. ოღონდ დატუქსვით ცოტათი მაინც დატუქსა ორივენი.

— თქვენ, ჩემო ძმებო, ნამეტანს ნუ კი იზამთ. ხომ არ გგონიათ, მდინარის პირას ვართო!

იმათ მხოლოდღა გაუღიმეს პასუხად. ვითომ, ჩვენც გვესმის ეგ ამბავი, მაგრამ გვწყუროდა და რა გვექნაო.

ის კი არა, თავად ორგანმაც რომ დალია თავისი წილი, ჩაიცინა და თავი გააქნ-გამოაქნია:

— ხო-ო, არ იტყოდი ახლა კაცი უარს, მდინარის პირას დაგსვა. აბა, უმ ღვიძლს ეხუმრები შენ...

მერმე ჩიბუხი დატენა, ცეცხლი მოუკიდა და გააბოლა; ნეტარებას მიეცა. რას იფიქრებდა, მეტად თუ ალარ ეწერა ამგვარი სიამის განცდა...

ყველაზე უწინ კირისკმა შენიშნა ხიფათი!..

არადა, ის იყო, საკვირველი მყუდროების ჟამი დასდგომოდათ. რაკი წყურვილი მოეკლათ, თავი კმაყოფილად, ბედნიერად ეგრძნოთ.

აგერ, პირველი სელაპი მოენადირებინათ, მალე `კუნძულს მიადგებოდნენ და იქ დაისვენებდნენ კიდეც; დილას კი კვლავ დიდი ნადირობა ელოდათ. ნადირობის შემდეგ უმალვე უკან გაბრუნდებოდნენ, არ დაახანებდნენ. ყოველივე რიგზე გახლდათ.

ნავი ისევ ისე მიცურავდა, წინანდებურადვე ოდნავ წაყვინთავდა ხოლმე ტალღაზე. მოხუცი ორგანი კიჩოზე იჯდა, საჭეს მართავდა, თან ჩიბუხს აბოლებდა და, ვინ იცის, იმ თავის ქალთეევზაზე ფიქრობდა. ემრაინი და მილგუნი კვლავინდებურად უსვამდნენ და უსვამდნენ ნიჩბებს, გეგონებოდა, ძალას სულ არ ატანენო, ისე მსუბუქად, შეწყობილად, მოხდენილად იქნევდნენ ხოფებს. კირისკი შეფრფინვით შესცქეროდა იმათ. თითქოს ბავშვური რამ შთაგონება სწვევიაო, სათითაოდ აკვირდებოდა ყოველ მათგანს, ფიქრში ელოლიავებოდა. გაუცნობიერებელი სიყ-

ვარულით ემსჭვალვოდა იმათ, ეამაყებოდა, ამ დროს მათთან ერთად რომ იმყოფებოდა ზღვაზე.

კირისკს სხვაგვარნი ვერც წარმოედგინა ესენი. მოხუცი ორგანი, ალბათ, სულ მუდამ, ათადან-ბაბადან მოყოლებული, ასეთივე მოხუცი ორგანი გახლდათ, აი, ასეთივე ხვანჩგამობურცული, გრძელკისერა, მსხვილი ფესვებივით კორძიანი, გრძელი ხელები რომ აქვს და ყოვლისმიმხვედრი თვალები, რომლებიც ნიადაგ ეცრემლება. ანკი შეიძლებოდა, სხვაგვარად ყოფილიყო? განა წუთისოფელი — წუთისოფელი იქნებოდა, თუ არ არსებულიყო უხუცესი, ეს ყველასაგან პატივცემული ადამიანი?

დედა ეტყვის ხოლმე კირისკს, ძალიან ჰგავხარ მამაშენს, რომ გაიზრდები, ალი-კვალი მამა იქნებიო. თვალებიც მთლად იმისი გაქვს, რკოსავით თაფლისფერი, კბილებიც მაგარი და სწორედ მისნაირი — წინა ორი ოდნავ წამოშვერილიო. წვერიც ისეთივე გექნება, შავი, ხშირი და ხეშეშიო. განა ტყუილად ეძახიან მამამისს წვეროსან ემრაინს. ხოლო როცა კირისკი კიდევ უფრო პატარა იყო, როცა ჯერ ისევ ტიტლიკანა ბანაობდა ნაკადულში, დედამისი გვერდში წაჰკრავდა ხოლმე თავის დას და ეტყოდა: შეხე ერთი, შეხე, მთლად მამამისს ჰგავსო. მერმე ანცად ეჩურჩულებოდნენ ერთიმეორეს, რაღაცის გამო მასხრობდნენ და სიცილით იფხრიწებოდნენ. დედა ამასაც ამბობდა: თუ კირისკს, როცა გაიზრდება, ჩემისთანა ქალი შეხვდება ცოლად, ის ქალი გულნაკლული არ იქნება — ბედს მოემადლიერება, ეგ მე მკითხეთო. უცნაური კია, ფიქრობდა ბიჭი, ვინ და როგორ მოემადლიერება ბედს? ანდა, თუ მამას დავემგვანე, ჩემი ცოლი რატომ უნდა იქნეს ბედის მადლიერიო?

აგერა, წინ უზის მამა, ნიჩბებს უსვამს, შავი წვერი მოსავს,

ქათქათა კბილები აქვს. ტანად კიდევ ზორბაა, მხარბეჭიანი, დინჯი, მუდამ აუმღვრეველი. კირისკს არ ახსოვს, მამას როდისმე დაეყვიროს მისთვის, ანდა შეეცოდებინოს იგი, მოლოლიავებოდეს, როგორც სხვებმა იციან. თვალები კი მართლაც მწიფე რკოს უგავს — კრიალა აქვს, უციალებს.

მამის უკან მეორე წყვილ ხოფებს მისჯდომია იმისი ბიძაშვილი მილგუნი; მამაზე ორი წლით უმცროსია. ტყუილად კი ჰქვია ბიძაშვილი — წვერი თითქმის სულ არა აქვს. რაც აქვს, ისიც ისე აფშეკია, ლომვეშაპის ულვაში რომ გინახავს. თავადაც ლომვეშაპს მიაგავს. უყვარს მუსაიფი, თუ რამე ჭკუაში არ დაუჯდება, გამოგეკამათება კიდეც. წყენას არავის შეარჩენს — ერთხელ ვიღაც გავლით ჩამოსულ ვაჭარს ეჩხუბა. მთელმა გვარმა თავი გამოიდო, ბოდიშს უხდიდნენ იმ ვაჭარს, ცდილობდნენ, როგორმე მოემადლიერებინათ. მილგუნი კიდევ ვითომც არაფერიო: ხომ ერთი ტანდაბალი და ჯირკივით მრგვალი ვინმეა, სულ კი იმისკენ იწევდა, მეო მაგას სიმართლეს დავუმტკიცებო. გამტყვრალი იყო. დალევა, იცოცხლე, უყვარს. ძალიან რომ გააჭირა საქმე, რამდენიმე კაცმა — მათ შორის ემრაინიც იყო — გაქაჩვა დაუპირა. დათვივით ღონიერი გამოდგა. კირისკისთვის იგი აკი-მილგუნია*... ისა და მამა მეგობრები არიან, მუდამ ერთად დადიან სანადიროდ, იმიტომ, რომ ერთიმეორეს არასოდეს უღალატებენ, ორივე ერთნაირად სანდო მონადირეა. მილგუნის ბიჭუნა ჯერ სულ პატარაა — ეს-ეს არის რბენა ისწავლა. ორი გოგონაც ჰყავს. ბიჭზე უფროსები არიან. კირისკი არავის დააჩაგვრინებს იმათ თავს. აბა, ერთი ვინმემ გაბედოს და ვაგლახად რამე აკადროს. კირისკის დედა ხომ ლამის სულში

---

* ა კ ი — იხმარება უფროსი ნათესავის მიმართ.

იძვრენს მილგუნის გოგონებს. ხშირად შემოირბენენ ხოლმე, ფსულქთან მოდიან სათამაშოდ.

ოღონდ მუზლუქისთანა ლამაზი გოგო ერთიც არ არის! აფსუს, სხვაგან უნდა გაათხოვონო, ამბობენ, მეზობლად მოსახლე ხალხში უნდა შეურჩიონ საქმროო. არა, რა იქნება, ადგეს და არ გაატანოს...

იქ, სანაპიროზე ყოფნისას, იშვიათად თუ წამოუვლიდა კირისკს ამისთანა ფიქრები. ახლა კი, მიწიდან ამსიშორეზე წამოსულს, ყოველივე ჩვეული გადაუსხვაფერდა თვალში, გადაუსხვაფერდა და მანამდე უცნობი, ამაღელვებელი რამ აზრი შეიძინა.

უცებ გულმა ძალუმ გაუწია შინისაკენ, იქით, სადაც ჭრელი ძაღლის ბორცვის მიღმა, მდინარის ხეობაში, ტყის განაკიდეს, ძველთაგანვე დაედოთ ბინა ზღვისპირეთის ნივხებს — ქალთევზას შთამომავალთ. გული მოეწურა, ისე ძალიან მოენატრა იმ წუთს დედა. არადა, აგერ, ასე შორს იმყოფებოდნენ მშობლიური სანაპიროდან, მშობლიური ჭრელი ძაღლისაგან, რომელიც მარად თავის საქმეზე მირბოდა ხოლმე მარადისი ზღვის კიდეკიდე. თითქოს სურს დარწმუნდეს, მართლაც აგრეა თუ არაო, კირისკი უნებურად მიტრიალდა კიდეც, თვალი მოავლო იქაურობას და სრულიად მოულოდნელი რამ დაინახა.

ზღვის პირზე ორ ფართო ზოლად მოიწევდა და შეირწყმოდა ხშირი ნისლის რუხი კედელი. დასალიერი თითქმის ნახევრად დაებურა. თვალდათვალ მოიგრაგნებოდა ჯანღი მრუმე წყლის ზედაპირზე, სივრცეს ერთიანად ეუფლებოდა. ისე უახლოვდებოდა ამათ, როგორც ცოცხალი რამ არსება, როგორც ურჩხული, რომელსაც აშკარად განეზრახა, ხელთ ეგდო ესენი, ჩაენთქა ნავიანად, მთელ ხილულ თუ უხილავ სამყაროიანად. ჯან-

ღი სწორედ იმ მხრიდან მოიწევდა, საითაც კირისკმა გაურკვეველი, რაღაც უძრავი ქუფრი ზვინული შენიშნა ადრე. ოღონდ შორიდან კუნძული ეგონა. ახლა ის ზვინული თვალწინ იბერებოდა და იზრდებოდა, ქარი მოერეკებოდა და ამათკენ უხმოდ, შეუჩერებლივ მოემართებოდა.

— გახედეთ! გახედეთ! — შეშინებულმა შესძახა კირისკმა.

ყველანი გაშეშდნენ. წამიერად ხელმიშვებული ნავი ზვირთებმა აათამაშა. იმავ წუთს გაისმა მრისხანე ბუბუნი უზარმაზარი ტალღისა, სქელი ნისლის ფარდიდან რომ გამოგორდა. მოექანებოდა ეს ამთაგორებული ტალღა, მოიწევდა გაფოთებული წყალი ბუბუნ-ბუბუნით, ხან აზვავდებოდა, ხან გაიშლებოდა.

— შეატრიალე! — სასოწარკვეთილი ხმით იყვირა ორგანმა. — ცხვირით შეატრიალე!

ძლივს მოასწრეს მენიჩბეებმა, ნავი ტალღის პირისპირ მიებრუნებინათ, უეცარმა ჯახმა კარჭაპი კინაღამ გადააყირავა. ჩაიქროლა ტალღამ, გაიყოლა შეძრულ-შეშფოთებული წყლის ნაკვალევი, და უმალვე ჯანღი შემოადგათ. როცა იმ ჯანღის კიდე სულ ახლოს მოცოცდა, თვალნათლივ დაინახავდი, რა გოროზად, რარიგ ავბედი ურყევობითა და შეუვალობით მოიწევდა, ბოლქვა-ბოლქვად ეფინებოდა ეს თითქოსდა ცოცხალი წყვდიადი.

— ქარი დაიხსომეთ! ქარი დაიხსომეთ!—ამის წამოძახებაღა მოასწრო ორგანმა. და იმავ წამს მრუმე ბურუსმა მოიცვა ყოველივე. ზვავივით დაატყდათ ბურუსი, უსაშველო უკუნში დაინთქნენ. ერთბაშადვე, თვალის დახამხამების უმალ, ერთი სამყაროდან სხვა სამყაროში ამოყვეს თავი. ყველაფერი განქარდა. აღარც ცა იყო სადმე, აღარც ზღვა, აღარც ნავი. ერთიმეორის სახესაც კი ვერ არჩევდნენ. რაღა მოასვენებდათ ამ წუთი-

დან—აქეთ კიდევ ზღვა აბობოქრდა. ნავს ხან აღმა მიათამაშებდა, ხან დაღმა, ხან ერთბაშად ზეაისროდა, ხან ერთბაშადვე ჩააქანებდა ზვირთებშუა გაჩენილი უფსკრულისაკენ. წყალი ეშხეფებოდათ, ტანსაცმელს უსველებდათ და უმძიმებდათ. ყველაზე დიდი უბედურება მაინც ის იყო, ამ წკვარამში თვალით ვერას არჩევდნენ ირგვლივ, სრულებით ვერაფერს ხედავდნენ და ვერ გაერკვიათ, რა ხდებოდა ზღვაზე, რა უნდა ელონათ. ერთიღა ეს დარჩენოდათ — ბრმად, ალალბედად ებრძოლათ, ოღონდაც ნავი როგორმე ცურვა-ცურვით ეტარებინათ, არ გადაჰბრუნებოდათ. საღღა შეეძლოთ, რაიმე გარკვეული გეზი აეღოთ. თავაწყვეტილი ზვირთები საკუთარი ახირებისამებრ მიაქანებდნენ კარჭაპს, ვინ იცის, საით; ვერც იმას იტყოდი კაცი, როდემდე გაგრძელდებოდა ეს ფათერაკიანი ყოფა.

კირისკს წინათაც სმენოდა, ყოფილა ხოლმე შემთხვევა, მონადირეებს ავდარი წამოსწრებიათ ზღვაზე, ისიც მომხდარა, ზოგი სამუდამოდ დაკარგულაო. მაშინ, საყოველთაო გლოვის ჟამს, დედაკაცები და ბალღები მრავალი დღის მანძილზე კოცონს ანთებდნენ ჭრელი ძაღლის ფერდობზე. უიმედო იმედს ვერ შელეოდნენ; ერთიც ვნახოთ, გამოჩდნენო! მაგრამ მაშინ დაახლოებითაც ვერ წარმოედგინა კირისკს, რა საზარელი, რა შემაძრწუნებელი ყოფილა ღია ზღვაში დაღუპვა. მით უმეტეს, ვერ წარმოედგინა, თუ ეს უვნებელი ნისლი, ზამთრის ხანის ეს უჩუმარი სტუმარი, რომლის გამოჩენა ასერიგად უყვარდა, რადგან მთელი ქვეყანა თეთრად იბურებოდა, იმ რძისფერ სითეთრესთან ერთად ივანებდა საოცარი სიჩუმე, მიწიერი საგნები თითქოსდა აღფრენილიყვნენ და უცნაურად გარინდებულიყვნენ ჰაერში, გული კიდევ აუხსნელი შიშით უკრთოდა და ელეოდა ზღაპრული რამ ჩვენების მოლოდინში, დიახ, მით უფრო

ვერ წარმოედგინა, თუ სწორედ ეს ნისლი ამგვარ მრისხანე, ყოვლისმომცველ მტრულ ძალად გადაიქცეოდა.

კირისკი საჯდომს ჩაჰფრენოდა, დაზაფრული გამწარებით ეკვროდა ფეხზე მოხუც ორგანს.

— მომეჭიდე! მაგრად მომეჭიდე! — ყურში ჩასძახა ორგანმა, მეტის არც რისამე თქმა, არც რისამე ქმნა შეეძლო ბიჭის დასახმარებლად.

ვერცთუ რომელიმე მათგანი უსაშველებდა რამეს, რადგან ყველა ერთნაირ ყოფაში ჩავარდნილიყო გამძვინვარებული სტიქიონის პირისპირ. გინდაც დაეყვირა კირისკს, გინდაც ატირებულიყო და მამისთვის ეხმო, სულ ერთია, ემრაინი მაინც ვერ დაიძვროდა ადგილიდან, რადგან ნავი მისი და მილგუნის მეცადინეობითღა ძლებდა წყალზე, ორივენი გამწარებულნი ბალანსირებდნენ ხოფებით, ალღოთი ხვდებოდნენ, როდის ავარდებოდა და როდის დაასკდებოდა ტალღა.

ზვირთები შეუჩერებლივ მიაქანებდნენ ნავს განუჭვრეტელი ნისლის მრუმეში. ორგანი ჯერ კიდევ ცდილობდა, რამენაირად ემართა საჭე, მტკიცე სვლა შეენარჩუნებინა, ოღონდ ეს იყო, ქარაშოტი სულ უფრო ძლიერდებოდა.

შესაძლოა, უკვე შუაღამე მდგარიყო. ამ ბურუსში აგრე იოლად რას გაარკვევდნენ, დღე-ღამის რა დრო იყო. უკუნი სიბნელე ჩამოწოლილიყო და ამის მიხედვითღა თუ მიხვდებოდნენ, ღამე დამდგარაო. დიდი ხანი გამოხდა უკვე, რაც იმ წკვარამში გაუწყნარებელი, ილაჯის გამწყვეტი, უთანასწორო ბრძოლა ჰქონდათ გამართული, თუმცა საშველი თითქმის არ ჩანდა. და მაინც ნივხები ჯერ ისევ მაგრობდნენ, ჯერ კიდევ მთლად არ გადაეწყვიტათ იმედი, იქნება ქარიშხალი ისევე ანაზდად ჩადგეს, როგორც ამოვარდაო, იქნება ეს ბურუსი გაიფანტოს, და მაშინ რამე გამოსავალსაც მოვიფიქრებდითო. ერთი პირობა, ლამის ახ-

დომოდათ კიდეც იმედი. გამოერია ჟამი, როცა ქარიშხალი ცხრებოდა თითქოს, რყევამაც იკლო, მინელდა ზვირთის ჩქაფუნი და შხეფების ლიწინი. ოღონდ ის წყვდიადი — მრუმე, ასპიდისფერი — ისევ ისე ეკრათ გარს. უწინარეს ორგანი აძრახდა, ზღვის ბუბუნში გაისმა მისი ხმა:

— მე ვარ! კირისკი ჩემთანაა! გესმით ჩემი?

— გვესმის! ჩვენ-ჩვენს ადგილებზე ვართ — ხრინწიანი ხმით ამოიძახა ემრაინმა.

— ვინ დაიხსომეთ ქარი? — შეჰყვირა ორგანმა.

— რად გინდა მერე? — ბრაზით გამოსძახა მილგუნმა.

მოხუცს ხმა აღარ გაუღია. მართლაცდა, ქარის მიმართულება რაღას არგებდათ. განა ადვილი იყო გამოეცნოთ, საით გადმოკარგულიყვნენ, სად იმყოფებოდნენ, შორს იყო თუ ახლოს უნდა ჰგულებოდათ კუნძულები, რომლებიც სანიშნოდ გამოადგებოდათ. შესაძლოა, ღადომ იმ სიშორეზეც გაიტაცოს, ვერც ვერასოდეს მოიმხრონ გზა თავიანთი კერტებისაკენ. ჰოდა, იყუჩა ორგანმა, წყვდიადითა და რწევით გატანჯულმა. დადუმდა უხუცესი, მძიმე ფიქრს მიცემული. ერთი ესღა თუ ითქმოდა ბედის წყალობად, რომ კუნძულებს ისე გამოსცდენოდნენ, ხიფათი არ შემთხვევიათ — სანაპირო კლდეებს არ შენარცხებიან. მაგრამ კუნძულებისა და ვარსკვლავების მოუშველიებლად, ამ ჯანღსა და წკვარამში, გზის გაგნებას ვერა საშუალებით ვერ მოახერხებდა კაცი. ჰოდა, რის თქმაღა შეეძლო ორგანს. და მაინც ცოტა ხნის მერე შესძახა:

— ტლანგი-ლა* უბერავდა, როცა ცხვირით შევბრუნდით!

არავინ გამოპასუხებია. მენიჩბეთ პასუხის გასაცემად როდი

---

* ტ ლ ა ნ გ ი-ლ ა — სამხრეთ-აღმოსავლეთის ცივი და მძაფრი ზღვაური.

სცხელოდათ. და კვლავ იყუჩა უხუცესმა. კირისკი ფეხებთან ეჭუჭკებოდა, ტანი ერთიან უძაგძაგებდა. მაშინ ორგანმა მენიჩ-ბეთა გასაფრთხილებლად შესძახა:

— მე და კირისკი წყალს ამოვხაპავთ, თქვენ მანდ მაგრად იყავით!

ბიჭისკენ წაიხარა, ბნელში ხელი მოუფათურა და, რა დარ-წმუნდა, არაფერი სჭირსო, უთხრა:

— კირისკ, შენ ნურაფრისა გეშინია. აბა, წყალი ამოვხაპოთ, თორემ ხათაბალა არ აგვცდება. ეს ერთი სახაპელა გვაქვს, ეგეც ძლივს ვიპოვე, შენ კი, აჰა, ეგ ტარკოში დაიჭი, ამასაც არა უჭირს... გიკავია ხელში? დაიჭი-მეთქი...

— კი, ათკიხჩ, აგერ ხელში მიჭირავს. კიდევ დიდხანს გაგ-რძელდება ასე? მეშინია.

— შიშით მეც მეშინია, — წარმოთქვა უხუცესმა ორგანმა.— მაგრამ მამაკაცები ვართ, და წესია, გასაჭირი შეგვხვდეს.

— ხომ არ ჩავიძირებით, ათკიჩხ?

— არ ჩავიძირებით. თუ ჩავიძირეთ, ასე ყოფილა საჭირო. აბა, მოდი ახლა, ცალი ხელი ჩამჭიდე, ცალითაც ხაპე, ამოღვარე წყალი.

კიდევ კარგი, დროზე მოისაზრა ორგანმა ეს ამბავი; აგერ, ცოტა ხნით ჩაწყნარებულიყო ქარიშხალი, ჰოდა, დრო იხელ-თეს, ამოღვარეს ნაგუბარი. და სწორედ მაშინ, ხელის ფათურით წყალს რომ ხაპავდნენ, ორგანმა ყურადღება მიაქცევინა ბიჭს ლადუკზე, რომლიდანაც დღისით წყალს სვამდნენ.

— კირისკ, — უთხრა და ხელზე ხელი წაავლო. — აგე, ჩვენი ლადუკი, წყალი აქა გვაქვს. შეავლე ხელი? დაიხსომე, რაგინ-დარა მოხდეს, მაგ ლადუკს გაუფრთხილდი. ჩაეჭიდე, ჩაებღაუ-ჭე, ხელი კი არასდიდებით არ უშვა. თუ რამე მოხდეს, სჯობს

დავიღუპოთ, ვიდრე უმაგისოდ დავრჩეთ. ხომ გამიგე? სხვის იმედად ნუ იქნები... გესმის?

კარგი ქნა, ეს რომ უთხრა, დროზე რომ გააფრთხილა ბიჭი. სულ მალე გამოადგა ბიჭს ეს დარიგება.

მცირე ხნით მიყუჩებული ქარიშხალი უფრო ძლიერად, უფრო მძვინვარედ ამოიჭრა, თითქოსდა მეტად გალაღებულა, რაკი ღამე აქვს საფარად, და აგერ კიდევ უმწეობას შეესწრო ადამიანებისას, ამ ჯანღსა და წყვდიადში თვალით რომ ვერაფერს ხედავენო. ხელახალი გააფთრებით დააცხრნენ ტალღები, გეგონებოდა, იმ ხანმოკლე შეღავათისათვის სამაგიეროს უხდიანო. დაატრიალეს და დააბზრიალეს ორგანისეული კარჭაპი თვალით უჩინარმა ზვირთებმა, ხან აქეთ მიაწყვიტეს, ხან იქით. შხეფებს ლიწინი გაუდიოდა ნავში, ჯდებოდა ნავი, წყალი ზედ ენჩქლეოდა. ჩაჩოქილი ორგანი გამწარებული ტრიალებდა, სახაპელას უსვამდა და უსვამდა, მაგრამ წყალი ბარაქიანად მოასხამდა, ამოხაპვას რას აუვიდოდა. მაშინ მეხოფეებმა ბრაზიანად და განწირულის ხმით იყვირეს:

— გადაყარე ყველაფერი! ვი-იძირებით! გადაყარე!

კირისკი შიშისაგან აქვითინდა, არც არავის გაუგონია მისი ქვითინი, მისთვის ვისღა ეცალა. კიჩოს კუთხეში მიიკუნჭა, ლადუკი ქვეშ მოიქცია, ჩაებღაუჭა მაგრად. ცალი გვერდით დააწვა ზედ, მოკუნტულიყო საცოდავად, მთელი ტანი უთრთოდა ტირილისაგან. ახსოვდა, კარგად ახსოვდა, რაც უნდა მოხდეს, ხელი არ უნდა გავუშვა ამას, ეს არის მთავარი, რისი ქმნაც მავალიაო. ხვდებოდა, ვიძირებითო, მაინც ასრულებდა უხუცეს ორგანის ნათქვამს — უფრთხილდებოდა წყლიან ლადუკს.

ნახევრად ჩაძირულ ნავისათვის სასწრაფოდ უნდა ეშველათ. მილგუნი კელავაც გიჟურად იქნევდა ხოფებს, რაც გაეწყობო-

და, ცდილობდა, წონასწორობა დაეცვა, ნავი არ გადაბრუნებულიყო. ორგანი და ემრაინი ზღვაში ყრიდნენ ყველაფერს, რაც ნავში ელაგა. სხვა გზა არ ჰქონდათ. წყალში გადაუძახეს ორივე ვინჩესტერი, ჭვილთი, თოკის ხვეული, ყველა დანარჩენი ნივთიც, ორგანისეული თუნუქის ჩაიდანიც კი. მოკლულმა სელაპმა გვარიანად გააწვალათ. გალუმპულ, დამძიმებულ, სლიპ ზღვიერს ხელი არსაით მოეკიდებოდა. უნდა აეწიათ ფსკერიდან და ქიმზე გადაეხოხიალებინათ. წყალში უნდა გადაეგდოთ ნანადირევი, ის, რისი გულისთვისაც მიცურავდნენ უკაცრიელი კუნძულებისაკენ. ჯუჯღუნით, გინება-გინებითა და წყევლა-კრულვით, რის ვაი-ვაგლახით მიათრევდნენ იმ სივიწროვეში მოფუსფუსენი მოკლულ სელაპს ქიმისაკენ; როგორც იქნა, გადაუშვეს ზღვაში. და იმ გაწამაწიაში, ზღვასთან გამართულ იმ საშინელ ჭიდილშიც კი იგრძნეს, რარიგ აიმჩატა ტანი ნავმა, რაკი ნანადირევის სიმძიმე მოაკლდა. შესაძლოა, სწორედ ამან უშველა ნავს...

სხვებზე უწინარეს ორგანი გამოფხიზლდა. ამ თეთრი, უსიცოცხლო სიცარიელით გარემოცულმა ერთბაშად აზრი ვერ მოიკრიბა, სადა ვარ ან ეს მღვრიე, უძრავი მრუმე რა უნდა იყოსო.

ბურუსი იყო, დ ი ა დ ი ბურუსი, მდუმარედ, ერთიანად და ურყევად რომ დაუფლებოდა იმჟამად ოკეანის მთელ ხივრცეს. დიდი გარინდების ჟამი ედგა დიად ბურუსს.

ცოტათი თვალი რომ შეაჩვია იმ ნისლს, ორგანმა გაარჩია ჯერ ნავის, მერე კი ადამიანების მოყვანილობაც. ემრაინი და მილგუნი თავ-თავიანთ ადგილებზევე მიყრილიყვნენ, ხოფების გვერდით. ღამეული ტალღისაგან საშინლად განაწამებ-გასავა-

თებულნი უცნაურ პოზაში იწვნენ, გეგონებოდა, ტყვიას თუ მოუცელავთო. მხოლოდღა ხრინწიანი, წყვეტილ-წყვეტილი ხვრინვა მოწმობდა, სული უდგათო. კირისკი მოხუცის ფეხებთან მიკუნტულიყო, ზედ გადამხობოდა ლადუკს. ძილში ჟანტისა და სიცივისაგან გათოშილიყო. შეებრალა ორგანს, მაგრამ, რა დახმარების გაწევა შეეძლო.

ღამით განცდილისაგან გაბრუებული, იგი კიჩოზე ეყუნტა, ჭაღარა თავი ჩაექინდრა. ტანი ერთიანად სტკიოდა და სტეხდა. გრძელი, კორძიანი ხელები მათრახებივით ჩამოჰყროდა. რა ჭირი და განსაცდელი არ ენახა თავის სიცოცხლეში, მაგრამ ამისთანა საზარელ რასმე ჯერაც არ მოსწრებოდა. წარმოდგენა არ ჰქონდა, სად იმყოფებოდნენ, საით გადმოეხვეწათ ქარიშხალს, რამსიშორეზე იყვნენ დედამიწიდან, კვლავ ზღვა-ზღვა დაცურავდნენ თუ ოკეანეში ამოეყოთ თავი. ისიც კი ვერ გაეგო, რა დრო იქნებოდა ახლა. ამ განუჭვრეტელ, უძრავად მდგარ ჯანღში დღეს ღამისაგან რას გაარჩევდი. ისე კი, თუ იმას იგულისხმებდი, ქარიშხალმა გამთენიისას იცისო ჩადგომა, დღე უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, ნაშუადღევი იდგა.

ასე იყო თუ ისე, თუმცა უხაროდა, ეს რა სასწაულებრივ გადავრჩითო, ორგანს საიმისო მიზეზი ჰქონდა, თავი ჩაეკიდებინა. რაც გზაში წამოიღეს, აღარაფერი შერჩათ, თოფებიც კი წყალს გაატანეს, ის თოფები, ასეულობით სიასამურის ბეწვში რომ გადაუცვალეს გავლით ჩამოსულ ვაჭრებს. ორი წყვილი ნიჩბისა და ნაკლული ლადუკის ანაბარაღა დარჩენილიყვნენ. რა ელოდათ?

რაღა თქმა უნდა, ემრაინი და მილგუნი რომ გამოფხიზლდებიან, ერთობლივ მოიფიქრებენ, რა ქნან, რა იღონონ შემდგომ. მაგრამ ვინ ეტყვით, რომელ მხარეს უნდა იცურონ? ჯერ ეს

არის საკითხავი. თუ ღამეს დაელოდებიან და ცა უღრუბლო იქნა, შეეცდებიან, ვარსკვლავების მიხედვით მოიმხრონ გზა. მაგრამ რამდენ ხანს მოუწევთ ცურვა? რაოდენი დრო და ძალისხმევა დასჭირდებათ საამისოდ? ეყოფათ ძალ-ღონე ბოლომდე, გაუძლებენ კი?

ან ეს ბურუსი რა ბურუსია? თითქოს გახევებულაო, ისე ჩამოსწოლია ზღვას. სამუდამო საყუდარი, გეგონება, აქ უპოვიაო. ნუთუ ყველგან აგრეა, ნუთუ მთელი ქვეყნიერება ამგვარმა ბურუსმა ჩანთქა?..

გაბოლება და წყლის დალევა მოუნდა. მოწევით რაღას მოსწევდა — რაც თამბაქო ზედ შერჩენოდა, სულ დაელორთხა და გაუოხრდა. ჩიბუხი კიდევ სადღაც გაუქრა. ახლა საჭმელ-სასმელის ამბავი? ამაზე ფიქრსაც ერიდებოდა. ჯერ კიდევ შეეძლო მოეთმინა, შეეძლო უამური ფიქრი განეშორებინა...

ზღვა ოდნავღა ფრთონავდა, სრული მყუდროება, წყნარი ამინდი ჩამომდგარიყო. ნავი ნელიად ირწეოდა ერთ ალაგს. არ იძვროდა, არსაით მიაქანებდა დინება. წყალში გადაყრილი ხოფები უსიცოცხლოდ დატივტივებდნენ. ვერ გაამტყუნებდი ემრაინსა და მილგუნს — ისე გასწყდომოდათ ქანცი, იმის თავი აღარ ჰქონდათ, ხოფები ამოეკრიფათ: ერთბაშადვე მოსწყდნენ და დაიძილქუშეს.

სრულიად უქარო ამინდი იდგა და ყოველივე გარინდულიყო ამ მრუმე, უძრავ გარემოში. ზღვა მიყუჩებულიყო, ნისლი არ ირხეოდა, ნავი იდგა, ანკი საით უნდა გაშურებულიყვნენ... საით უნდა გაეცურათ...

დაღონებულმა მოხუცმა თავი მიდო და წაეძინა. თვალი მაშინღა გაახილა, როცა კირისკმა გამოაღვიძა.

— ათკიჩხ, ათკიჩხ! — ხელს ჰკრავდა ბიჭი. — გვწყურია.

ორგანი შეტოკდა, გულისხმას მოვიდა — სამივე თავისიანი მისგან ელოდა თადარიგს, აკი ის უხუცესი იყო; იმასაც მიხვდა, აწი იკითხე ჭირი და დარდუბალა — მიდი, წყალი ანაწილეო...

ბურუსი კი ისევ ისე მრუმედ, უძრავად ჩამოწოლილიყო. ზღვაც სულ მთლად მიყუჩებულიყო.

მთელ დანარჩენ დღეს ნელ-ნელა მიცურავდნენ იმ ბურუსში. მიცურავდნენ უმიზნოდ, თავადაც არ იცოდნენ, საით.

მას შემდეგ, რაც აზრი მოიკრიბეს და თავიანთ ყოფას ჩახვდნენ, ერთ ალაგას რაღა გააჩერებდათ.

ჰოდა, მიაცურებდნენ ნავს. ეგების მიწას უახლოვდებოდნენ, ან, იქნებ, პირიქით, სულ უფრო მეტად შორდებოდნენ.

ასე იყო თუ ისე, ვმოძრაობთო, გულს ცოტათი მაინც იკეთებდნენ.

გაიფანტება ეს ბურუსი და, რა მოვიმოქმედოთ, მაშინ უკეთ გავიგებთო, — ესღა ეიმედებოდათ.

ბურუსი თუ გაიფანტებოდა, ღამით ვარსკვლავებს მაინც დაინახავდნენ. უწინარესად, ვარსკვლავები უნდა მოეშველიებინათ.

იმის იმედიც ჰქონდათ, იქნება რაიმე კუნძულს გადავაწყდეთო. მაშინ გაუადვილდებოდათ გზის მომხრობა.

ასე მიცურავდნენ ჯერჯერობით არსაითკენ — ერთთავად იმ ბურუსში მიირწეოდნენ.

ორგანმა ასეთ ყოფაშიც ერთგვარი წესრიგი დაამყარებინათ. ფსკერზე დარჩენილი წყალი პირწმინდად ამოაღვრევინა, ფეხქვეშ ჭყაპაჭყუპი არ გაუდიოდესო. კირისკი გვერდით მოისვა — ასე, ჩემ გვერდით, უფრო თბილად იქნება ბიჭი და უფრო მალე

გაშრებაო. წყალი ყველას ტოლ-ტოლად დაუსხა. პირველხელ სათითაოდ სამ მეოთხედზე გააავსო კოში. იმისთანა ქარიშხლიანი ღამე გადაიტანეს, ამ ერთხელ მაინც უნდა მოეჯერებინათ გული. ოღონდ ორგანმა სამივე გააფრთხილა, ამას იქით მხოლოდ მაშინ დაგალევინებთ წყალს, როცა მე ჩავთვლი საჭიროდ, თან იმდენს უნდა დასჯერდეთ, რამდენსაც გარგუნებთო. ეს რომ თქვა, მეტი დამარწმუნებლობისათვის ლადუკი შეაჯანჯღარა — უკვე სანახევროდ დაცლილიყო.

უცაბედი სიხარულიც გამოცადეს: წყლის დალევას რომ აპირებდნენ, ლადუკის უკან, საჯდომქვეშ, კიჩოს კუთხეში მიკუჭული ხალთა იპოვეს. სელაპის ტყავის ხალთა იყო, რომლითაც გახმობილი თევზი წამოეღოთ. ნუზლით გატენილ დიდ ხალთაგუდას ზღვაში გადაუძახეს სხვა ნივთებთან ერთად, ხოლო ეს მომცრო შულდაკი, მილგუნის ცოლს რომ გაემზადებინა საგზაოდ, საჯდომქვეშ, თავის ადგილზევე დარჩა შემთხვევით. ეგ კია, შულდაკში ზღვის წყალი ჩამდგარიყო, ჰოდა, თევზს პირს ვერ დააკარებდი: ჯერ ისედაც მარილიანი გემო ჰქონდა და მთლად გამწუთხებულიყო. მაგრამ, რაც უნდა იყოს, მაინც საჭმელი ეთქმოდა. ერთი სასმელი წყალი რომ ჰქონოდათ საკმარისად, დაწუნებით იმ თევზსაც არ დაიწუნებდა კაცი.

ჯერ კი არავინ ჰკიდებდა ხელს, წყურვილს რა გაუძლებსო, შიშობდნენ...

როდის გადაიყრება ეს ბურუსიო, მოლოდინითღა სულდგმულობდნენ...

ირგვლივ ჩამომდგარ უძრავი ნისლის მდუმარებაში ისმოდა მხოლოდ ნიჩბის პალოთა ნაღვლიანი ჭრიალი. და ის ჭრია-

ლი, დიად სიჩუმეში გახმიანებული, ჰგავდა გზაკვალარეული ადამიანის მინელებულ ღაღადისს: სადა ვარ, სად? საით წავიდე ახლა, საით წავიდე?

როდის გადაიყრება ეს ბურუსიო, ამ მოლოდინითღა სულდგმულობდნენ...

მაგრამ ნისლი არ გაფანტულა და არც აპირებდა გაფანტვას. უძრავად იდგა. იფიქრებდი, რაღაც წარმოუდგენლად საზარელ, სულ სხვა, არაამქვეყნიურ არსებას, ერთიანად ნესტით გაჟღენთილს, ჟღმურტლიანს, მთელი ქვეყანა ჩაუნთქავს — დედამიწაც, ზეცაც, ზღვაცაო...

კვლავ დაიბუდა სიღამემ ნისლის წიაღში. ამას გამცნობდა ირგვლივ ჩამომდგარი უკუნი სიბნელე. არც ვარსკვლავი ჟიკჟიკებდა სადმე, არცთუ ცარგვალი ჩანდა.

ასე უსაზმნოდ ცურვას რაღა აზრი ჰქონდა: სასოებით ელოდნენ, იქნება ცაზე ვარსკვლავი გამოჩნდესო. ელოდნენ წამისწამ. ელოდნენ, წამოუქროლებს ქარი და ამ წყეულ, ოხერ-ტიალ ბურუსს გადარეკავსო. თვალზე რული არ ეკარებოდათ. ევედრებოდნენ ცის ძალს, გაიხსენი ეგ გული, ვარსკვლავეთი გამოაჩინეო; მუდარით უხმობდნენ ქართა მბრძანებელს — ზღვის იქით მძინარ, ფაფარგაშლილ, ბანჯგვლიან მხეცს, გამოიღვიძეო ერთი.

მაგრამ ამაოდ ირჯებოდნენ. არავის ესმოდა მათი ხვეწნა-მუდარა. ისევ ისე იდგა, არ იფანტებოდა ჯანღი.

კირისკსაც, სხვათა დარად, იმედნეული მზერა მიეპყრო მაღლა. ნეტა დაენახა სადმე ვარსკვლავები, ის ვარსკვლავები, სათამაშოებივით ბრჭყვიალ-ბრჭყვიალი რომ გაუდიოდათ ხოლმე

ცაზე. იმ განსაცდელმა, წუხანდელს აქეთ რომ გამოიარეს, ელდა დასცა, დიდი შიში აჭამა ბიჭს. ჯერ ისევ უმწიფარი ბალღი იყო და, რა გასაკვირი იქნებოდა, გული გასტეხოდა, სამუდამოდ წახდენოდა ნირი, დაცემულიყო სულით. მაგრამ ის ამბავი, რომ მასთან ერთად ნავში მყოფმა სამივე უფროსმა სასტიკი საფრთხის ჟამს გამძლეობა გამოიჩინა, გაუმკლავდა გავეშებულ სტიქიონს, გულში იმედს უსახავდა, თავის გადარჩენას მოვახერხებთო. ერთი ვარსკვლავები გამოჩნდებოდეს ცაზე და ჩვენს ტანჯვა-წამებასაც ბოლო მოეღებაო, აგრე სჯეროდა.

ოღონდაც მალე მოხდებოდეს ეს, მალე გაეშურებოდნენ უკან, მიწისაკენ, იქით, ჭრელი ძაღლისკენ, რაც შეიძლება ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა, იმიტომ, რომ ძალიან მოსწყურდა და მოშივდა. ცალკე წყურვილი აბრჩობს, ცალკე შიმშილით კვდება, და, რაც დრო გადის, უარესად ეწვის კუჭი, უარესად უშრება ხახა. ნეტა შინ ამოაყოფინა თავი, დედის, თავისიანების სიახლოვეს, იქ, სადაც მათი ეზო-ყურეა, სადაც კვამლი ადის ცაში, ნაკადული მორაკრაკებს, ბალახი ხარობს...

მთელ ღამეს ლოდინით გული გადაელიათ განსაცდელში ჩავარდნილებს, მაგრამ სასიკეთო პირი არსაით ჩანდა — ჯანღი არ დაძრულა, ცაზე ვარსკვლავები არ ანთებულა. ზღვა ისევ ისე ბნელში ჩანთქმულიყო.

მთელ ღამეს წყურვილი კლავდათ, ნესტი და სიცივე აწუხებდათ, მაგრამ წყურვილი მაინც საშველს არ აძლევდათ. კირისკს ეგონა, ამისთანა გაუძლის წყურვილს მარტო მე თუ ვგრძნობო, მაგრამ არც სხვები ყოფილან უკეთეს დღეში. იტანჯებოდა ბიჭი, სხვებზე მეტად რად მწყურიაო.

მაინც შეეხვეწა მოხუც ორგანს, ცოტა დამალევინეო.

— არა, — მტკიცედ უთხრა უხუცესმა, — ახლა არ იქნება. მოითმინე.

ნეტა სცოდნოდა მოხუც ორგანს, როგორ მოსწყურებოდა ბიჭს იმ მწუთხე თევზის მერე. რა ექნათ, აბა: დღის ბოლოს, კუჭი ძალიან რომ აუწანწალდათ, იმ თევზს დაუწყო ლოღნა სამივემ — თვითონ, მამამისმა და მილგუნმა. წყალი კი დააყოლეს, მაგრამ ყოფნით რას ეყოფოდათ. გავიდა ცოტა ხანი და უარესად მოსწყურდათ. მოხუც ორგანს პირი არ მიუკარებია თევზისთვის, დაითმინა, არც წყალი დაულევია, დაზოგა, ერთი ყლუპი არ გამოუმეტებია თავისთვის. იმ დღეს ორჯერ შესვეს წყალი — დილას და საღამოს, ოღონდ ორგანი არც ერთხელ არ შეზიარებიათ. საღამოს სულ ცოტა მოსვეს. ძლივს ფარავდა კოშის ძირს. წყალი სულ უფრო მეტად იკლებდა ლადუკში.

სწყუროდათ, უსაშველოდ სწყუროდათ, იმის მოლოდინი კი, როდის მოხდება რამე ცვლილებაო, ამ წამებას უორკეცებდათ.

ასე იყვნენ მთელი ღამის განმავლობაში... და მთელ ღამეს უძრავად იწვა ცივი ბურუსი. ზღვაც კვლავინდებურად გარინდულიყო.

არც დილას მოჰყოლია რაიმე ცვლილება, მხოლოდ ეგ იყო, ცოტათი შენათდა, ოდნავ შეხალვათდა ყომრალი ნისლის სიხშო. ახლა ერთმანეთის პირისახისა და თვალების გარჩევა შეეძლოთ. ნავის გარშემო კი, რამდენიმე ალაბის მანძილზე, მქრქალ ვერცხლისფრად ლივლივებდა უძრავი, სინდიყივით მძიმე წყლის ზედაპირი. ასე უძრავი წყალი კირისკს ჯერ არ ენახა.

არც ოდნავი ნიავი, არც რაიმე ცვლილება. იმ დილას ბიჭი

უფროსთა სახეებმა გააოცა. ლოყები ჩასცვივნოდათ, ხეშეში ჯაგარი წამოზრდოდათ, თვალები დაბინდვოდათ და ამოღამებოდათ, იფიქრებდი, მომაკვდინებელი რამ სენი შეჰყრიათო. მამა ხომ ისეთი მხნე და ჯანმაგარი ჰყავდა, ისიც კი ძლიერ შეცვლილიყო. ერთი წვერიღა შერჩენოდა წინანდებური. ტუჩები გაშავებოდა, ისე დაეჭამა. შემბრალედ გამოჰყურებდა კირისკს, თუმცაღა დუმდა, თქმით არას ეუბნებოდა. მეტადრე მოხუცი ორგანი გატყდა. მოიკუზა ბერიკაცი, სულ მთლად გათეთრდა, ხვანჩიანი კისერი წაუგრძელდა, თვალებიც ადრინდელზე მეტად ეცრემლებოდა. მხოლოდ გამოხედვა ამხელდა ჯერ კიდევ, რომ ის ორგანი იყო. ბრძნული, მკაცრი მზერა უხუცესისა კვლავინდებურად იმალავდა რაღაც საგულისყუროს, იმას, რაიც მხოლოდ მისთვის იყო საცნაური და მისაწვდომი.

დღის დადგომისას ყველაზე საძნელო რამ მოაგვარეს — რამდენიმე ყლუპი წყალი გაინაწილეს. ორგანი საკუთარი ხელით უსხამდათ. ლადუკი იღლიის ქვეშ ამოიჩარა და კოშის ძირს ისე მოუმარჯვა, წყალი წანწკარით წამოსულიყო. ხელები შესამჩნევად უცახცახებდა. პირველად კირისკს დაალევინა. კირისკს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა. სასმისის ლინგვზე კბილები აუკაწკაწდა, ერთ ყლუპად შესვა მაცოცხლებელი ნაჟური და მხოლოდ წამიერად იგრძნო, როგორ გაულხვა, გაუნელდა გულგვამში შემონთებული სიმხურვალე, როგორ დაუწყო ბჟუილი თავმა მღელვარებისგან. მაგრამ ვერ მოასწრო კოშის დაბრუნება, ის სიმხურვალე კვლავინდებურად შემოენთო, ის კი არა, უფრო მეტადაც, თითქოსდა შიგ გულგვამში ჩასახლებული მხეცი გაუხელებიათო. შემდეგ მილგუნმა დალია. მერე ემრაინმა. გზარავდა, როცა უყურებდი, როგორ სვამდნენ. აკანკალებული ხელებით ჩაბღუჯავდნენ ტარკოშს, უკან რომ დაუბრუნებდნენ, ორგანს

ეზერას აარიდებდნენ, თითქოსდა, იმისი ბრალია, ასე ცოტა რომ ერგოთო. თავად ორგანმა, როცა ჯერმა უწია, წვეთი არ დაისხა თავისთვის. უხმოდ დაუცო საცობი. კირისკს დაუჯერებლად ეჩვენა ეს ამბავი. ერთი ხელში მისცა ის ლადუკი, ადგებოდა და გაიპიპინებდა კოშს, შესვამდა და კიდევ გაიპიპინებდა, კიდევ და კიდევ დალევდა, დალევდა და დალევდა, ვიდრე არ წაიქცეოდა. მერმე რა მოხდებოდა, არ დაეძებდა. ოღონდაც ერთხელ მოეჯერებინა გული. მოხუცი ორგანი კი აგერ თავის წილზედაც უარს ამბობდა.

— ეგრე რათაო, ათკიჩხ. დაისხი ისე, როგორც ყველას გვისხამ!—ვერ მოითმინა ბოლოს ემრაინმა. ხრინწიანად, ძალისძალად ამოთქვა სათქმელი. — არც გუშინ დაგილევია. თუ დაღუპვა გვიწერია, ბარემ ერთად დავიღუპოთ!

— მე არა მიჭირს რა! — უშფოთველად მიუგო ორგანმა.

— არა, ეგრე არ იქნება!—ხმას აუმაღლა ემრაინმა და გაღიზიანებულმა დაუმატა: — რახან ეგრეა, აღარც მე დავლევ!

— დასალევი აქ ბევრი აღარაფერია. ან ეგ რა სალაპარაკოა! — ორგანმა ჩაიცინა, ვითომ, რა უგუნურნი ხართო, თავი წყნარად გადააქნია, კვლავ ამოაძრო საცობი, წყალი სასმისის ძირზე დაასხა და თქვა: — ჩემ მაგივრად კირისკმა დალიოს.

ბიჭი გაშტერდა, სხვებს ხმა არ გაუღიათ. ორგანმა კოში გაუწოდა:

— აჰა, კირისკ, შესვი. ჯავრი ნურაფრისა გექნება.

კირისკი დუმდა.

— დალიე, — უთხრა მილგუნმა.

— დალიე, — უთხრა ემრაინმა.

— დალიე, — უთხრა მოხუცმა ორგანმა.

ბიჭი ყოყმანობდა. წყურვილი ახრჩობდა, უნდოდა ერთბა-

შად გადაეყლურჯა ეს ორიოდე ყლუპი წყალი, მაგრამ ვერ გაებადა.

— არა, — თქვა, და შმაგი წადილი დაძლია, — არა, ათკიჩხ, თვითონ დალიე, — ეს უთხრა და იგრძნო, თავბრუ როგორ დაესხა.

ორგანს ხელი შეუტოკდა ამ სიტყვების გაგონებისას, ამოიხვნეშა ბერიკაცმა. მადლიერებაგარეული ალერსიანი მზერა შეავლო ბიჭს.

— მე ჩემს სიცოცხლეში, უჰ, რა ბევრი წყალი დამილევია, რო იცოდე. შენ კი კიდევ დიდხანს უნდა იცოცხლო, იმიტომ, რომ...—აღარ დაამთავრა სათქმელი.—ხომ გაიგე, კირისკ? შესვი, ასეა საჭირო, უნდა დალიო, ჩემი დარდი კი ნუ გექნება. აჰა!

და ისევ, ერთ ყლუპად რომ გადაუძახა წყალს, ბიჭმა მხოლოდ წამიერად იგრძნო, როგორ გაულხვა, დაუვარდა ეულგვამში შემონთებული სიმხურვალე. სული მოითქვა თუ არა, ხელადვე ისევ მოსწყურდა. ამჯერად იგრძნო, წყალს, ცოტა არ იყოს, აშმორებულის გემო დაჰკრავდა უკვე. თუმცა ამას რას დაეძებდა. ოღონდ კი წყალი სთქმოდა, სასმელი წყალი და, რანაირიც გინდოდა, ისეთი ყოფილიყო. არადა, ელეოდათ წყალი, ცოტაღა რჩებოდათ...

— რა ვქნათ, რა გავაკეთოთ? — თავისიანებს მიუბრუნდა ორგანი. — გავცუროთ?

ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. ყველამ გარშემო მიმოიხედა.

— საით გავცუროთ? — ამოიოხრა ემრაინმა.

— როგორ თუ საითო? — უცებ სიფიცხე მოერია რატომღაც მილგუნს. — ვიცუროთ, ისევ ისა სჯობს, ვიდრე ამ ერთ ადგილზე დგომით გაგვძვრეს სული!

— ვიცურებთ თუ არ ვიცურებთ, რა განსხვავებაა? — შენიშნა ემრაინმა. — ამისთანა ბურუსში საით გინდა გაცურო, რა აზრი აქვს?

— ფეხებზე მკიდია ეგ ბურუსი, — კიდევ უფრო გაცხარდა მილგუნი. — ფეხებზე მკიდია-მეთქი ეგ შენი ბურუსი. გაიგე? ვიცუროთ, ან არადა ყირამალა გადავატრიალებ ამ ოხერ კარჭაპს, ჰოდა, თევზების კერძი შევიქნეთ ბარემ! გესმის, წვეროსანო ემრაინ, ვიცუროთ! გესმის, თუ არა?..

კირისკი გაოგნდა. აკი-მილგუნის მაგიერ შერცხვა. ისე არ იქცეოდა აკი-მილგუნი, როგორც მართებდა, რაც უნდა იყოს, მამამისზე უმცროსი იყო. მაშ, რაღაც ძრულიყო, რაღაც დარღვეულიყო მის არსებაში ან თუ იმაში, რასაც ახლა ესენი წარმოადგენდნენ, ეს ოთხი ნივხი წარმოადგენდა ერთ ნავში თავმოყრილი. ყველანი დუმდნენ, ისხდნენ დაღონებულნი, შეურვებულნი. მილგუნიც გაჩუმდა, დადუმდა ქშენა-ქშენით. ემრაინს თავი ჩაეღუნა. მოხუცი ორგანი სადღაც განზე იცქირებოდა, სახეზე ვერაფერს შეატყობდი, თვალშეუვალი იყო, იმ ბურუსივით, გარს რომ სქელ საბურველად შემოხვეოდათ.

— დაწყნარდი, მილგუნ, — წარმოთქვა ბოლოს ემრაინმა. — ისე გითხარი, სიტყვამ მოიტანა. ერთ ადგილზე დგომას ცურვა გვიჯობს, აბა რა! მართალი ხარ შენ. მიდი, გავცუროთ.

ჰოდა, დაიძრნენ. კვლავ აჭრიალდა ნიჩბის პალოები, კვლავ ისმოდა ჩქაფუნი ხოფების აქნევ-დაქნევისას, უხმოდ განიპობოდა წყალი, და უმალვე შეიკვროდა, მსწრაფლ ქრებოდა ნავის უკან დაჩნეული წყნარი ნაკვალევი. ოღონდ იმგვარი შთაბეჭდილება იქმნებოდა, განა იძვრიან, ერთ ალაგს დგანანო. რამდენიც უნდა ეცურათ, ირგვლივ სულ ჩამობურუსებული იყო ყველა-

ფერი, იტყოდი, ჯადოწრეში თუ მოქცეულანო. ამის გამო თუ იყო, მილგუნს ისევ რომ გაუწყდა მოთმინება.

— ფეხებზე მკიდია ეგ შენი ბურუსი, გესმის თუ არა, წვეროსანო ემრაინ! — კვლავ გაცხარებით ალაპარაკდა. — ჰოდა, უფრო სწრაფად მინდა მივცურავდეთ! გაინძერი, წვერებავ, მოუსვი ნიჩბებს, ნუ გძინავს, გესმის თუ არა! ფეხებზე მკიდია-მეთქი ეგ შენი ბურუსი!

ესა თქვა და მთელი ძალით დააწვა ნიჩბებს.

— მიდი, მოუსვი მაგრად! მოუსვი-მეთქი! — თან მოითხოვდა, თან აქეზებდა მეწყვილეს.

ემრაინმა აღარაფერი უთხრა, არ გავაგულისოო, ოღონდ გაქეზებით კი გაქეზდა, თავადაც ჩაება ამ გიჟურ შეჯიბრში.

ნავი სულ უფრო უმატებდა სისწრაფეს. გამალებით მიექანებოდა ამ ბურუსში, კაცმა არ იცოდა, საით ან რისთვის. მილგუნი და ემრაინი, ერთიმეორეს არ ჩამოვრჩეთო, თავდაუზოგავად აწვებოდნენ ნიჩბებს, აწვებოდნენ რაღაც საშინელი გაშმაგებით, შლეგური გააფთრებით, თითქოსდა შეუძლიათ გაასწრონ ამ ჯანღს, გააღწიონ იმის უსასრულო საზღვრებსო.

გაკრთებოდა ნიჩბის ფრთები, მიმოფანტავდა ცერად წამოსულ შხეფებს, ტლაშუნობდა წყალი ქიმის მიღმა, წახრიდნენ და ააღერდნენ გახვითქულ, კბილებდაღრჭენილ სახეს მეხოფენი, წახრიდნენ და ააღერდნენ, ხან წინ წაიზნიქებოდნენ და აიქნევდნენ ხოფებს, ხან ძალმიტანებით გადაიზნიქებოდნენ უკან და იმ ხოფებს მაგრად წამოსდებდნენ წყალს...

ჩაისუნთქავდნენ და ამოისუნთქავდნენ, ჩაისუნთქავდნენ და ამოისუნთქავდნენ... ჩასუნთქვა, ამოსუნთქვა, ჩასუნთქვა, ამოსუნთქვა...

წინ კი ბურუსი იყო, უკანაც — ბურუსი, გარს სულ ბურუსი იდგა.

— ხანა, ხანა!* — თითქოს ნახველი ამოაქვსო, ისე ამოიხრიალებდა, ავი წაქეზებით ამოიძახებდა მილგუნი.

ერთი პირობა, კირისკი გამოცოცხლდა კიდეც, მოძრაობის ცდუნებას აჰყვა, მერმე კი მიხვდა, რარიგ ამაო და სასოწარკვეთის მომგვრელი იყო ეს სრბოლა. ბიჭი შემკრთალი შეჰყურებდა უხუცეს ორგანს, ელოდა, შეაწყვეტინებს ამათ ამ უაზრო შეჯიბრხო. მაგრამ უხუცესი თითქოს განშორებოდა აქაურობას — ფიქრიანი მზერა სადღაც სხვა მხარეს მიეპყრო, სახეზე განდგომილის გამომეტყველება აღბეჭდოდა. ტიროდა ბერიკაცი თუ თვალები ეცრემლებოდა ჩვეულებისამებრ და იმისი ბრალი იყო, ეგ კია, სახე სველი ჰქონდა. გაუნძრევლად იჯდა კიჩოზე, იფიქრებდი, აქაურობის ბაიბურში არ არისო.

ნავი კი ისევ გამალებით მიექანებოდა იმ ჩამობურულში, კაცმა არ იცოდა, საით ან რისთვის...

— ხანა, ხანა! — გაისმოდა განწირული ყვირილი ბურუსში. — ხანა, ხანა!

ასე გრძელდებოდა კარგა დიდხანს. მაგრამ თანდათან არაქათი გამოელიათ მეხოფეებს, სისწრაფეს უკლეს, მალე სულ დააყენეს ხოფები. ქშენა ავარდნოდათ, სულს ძლივსღა ითქვამდნენ. მილგუნს თავი არ აუწევია.

მწარე იყო ეს გამოფხიზლება. ბურუსს ვერ გაასწრეს, მის საზღვრებს იქით ვერ გააღწიეს, ყველაფერი წინანდებურად დარჩა: წყალი უძრავად იდგა, კვლავაც სრულიად გაურკვეველ ყოფაში იყვნენ, ირგვლივ ისევ ისე ჩამობურულიყო და ჩამოგ-

---

* ხ ა ნ ა — მიდი, პე!

მანულიყო. მხოლოდ გაქანებული ნავი ერთხანს კიდევ მიცურავდა თავისით და ხან აქეთ შეტრიალდებოდა, ხან იქით...

რას მოიკლეს ტყუილუბრალოდ თავი? რა საჭირო იყო? თუმცა, ან ის რითი აჯობებდა, ერთ ადგილას მდგარიყვნენ? არც რითი აჯობებდა.

ყოველი მათგანი, ეტყობა, ამ ამბავზე ფიქრობდა. მაშინ ორგანმა ასე თქვა:

— ყური დამიგდეთ. — აუჩქარებლად გამოთქვამდა სიტყვებს, შესაძლოა, ძალას იზოგავდა ამით, აკი ეს მეორე დღეა, მშიერ-მწყურვალი იყო: — იქნება ეგ ბურუსი კიდევ მრავალი დღის განმავლობაში არ გაიჭრას. ამისთანა წელიწადიც გამოერევა ხოლმე. ხდება ამისთანა შემთხვევა. თქვენც ხომ იცით ეს ამბავი. შვიდი, რვა, ზოგჯერ ათი დღის განმავლობაშიც ბურუსი აწევს ხოლმე ზღვას, ისე როგორც ჭირმა, როგორც სახადმა იცის, რომელიმე კუთხეს რომ დაერევა და სანამ ყავლი არ გაუვა, არ გადაივლის. ამისი ყავლი კიდევ, კაცმა არ იცის, რა არის. ეგ თუ საიმისო ბურუსია, მაშინ მძიმე დღეში ვყოფილვართ. ის თევზი სულ ცოტაღა დაგვრჩა, ან კი რას გვარგია, რაკი წყალი არა გვაქვს. წყალი კიდევ, აი, ესღაა! — ლადუკი წამოსწია და შეაჭანჭყარა. წყალი სადღაც ძირზე აყანყალდა. იმ ძირს ასე ერთი ნების-ნებნახევრის დადებაზე თუ იქნებოდა აცილებული.

ყველანი დუმდნენ. ბერიკაციც დადუმდა. მიხვდნენ, რისი თქმაც ეწადა: დღეში მხოლოდ ერთხელ უნდა დაელიათ, კოშის ძირზე დასხმული უნდა ეკმარათ; ასე უფრო დიდხანს გაძლებდნენ, ვინიცობაა მოახერხებდნენ და ამ ხიფათს თავს დააღწევდნენ, ამ ჯანღის გაჭრას მოესწრებოდნენ. თუ ზღვა ჯანღს გადაიყრის, გამოჩნდება ვარსკვლავები და მზე — მაშინ მოისაზრე-

ბენ კიდეც, რა იღონონ. ვინ იცის, ბედმა გაუმართლოთ და დედამიწამდე მიაღწიონ!

ჰო, თავგზიანად მსჯელობდა ბერიკაცი. სხვა გამოსავალი არ მოიძებნებოდა! ოღონდ თქმა ადვილია — დაითმინე, მოიჭირეთ; ხშირად ხდება: რასაც გონება ცნობს, იმას ხორციელი მხარე ეურჩება. ამ გაწამებულ ხალხს წყალი ეწადა, სურდა ახლავე დასწაფებოდა, განა ძირზე საცოდავად დასხმული დაელია, ბევრი, ბევრი ესვა.

ხვდებოდა ორგანი, გამოუვალ ყოფაში ვართო. ყველაზე მეტად თავად განიცდიდა ამ ამბავს. თვალწინ ილეოდა. ნაოჭებით დაღარული, მუქი ყავისფერი პირისახე მთლად ჩაშავებოდა და გამკაცრებოდა ღრმად ჩაბუდებული ტკივილისაგან. თვალებში, ნიადაგ რომ ეცრემლებოდა, დაძაბულობის, აგზნებულობის ელფერი შეჰხიზნოდა. განა აგრე ეიოლებოდა ბერიკაცს ამ ვაი-ვაგლახის გაძლება. ოღონდ ჯერჯერობით მაინც ინარჩუნებდა მხნეობას, მაგრობდა, როგორც მაგრობს ზეზეურად მომაკვდავი ხე. მაგრამ განა რამდენ ხანს უნდა გაეძლოთ ამგვარ ყოფაში. ჰოდა, ყველაფერი უკლისად უნდა ეთქვა, რასაც სულ მცირედი მნიშვნელობა მაინც ექნებოდა მათი გადარჩენისათვის.

— ამასაც ვფიქრობ, — განაგრძობდა იგი, — გამუდმებით მითვალთვალებული და მიყურადებული უნდა ვიყოთ აქეთ-იქით— იქნება უცებ აგუკუკმა გადაიფრინოს. აგუკუკი ერთადერთი ფრინველია, ამისთანა დროს ზღვაზე რო დაფრინავს. თუ ჩვენ რომელიმე კუნძულსა და დედამიწას შორის ვიმყოფებით, აგუკუკის გაფრენა გზას გვიჩვენებდა. რა ფრინველიც გინდა იყოს, ღია ზღვაში სულ სწორეზე მიფრინავს. არც აქეთ გაუხვევს,

---

* აგუკუკი — პოლარული ბუ.

არც იქით, პირდაპირი გზით მიდის. აგუკუკმაც ეგრე იცის.

— კარგი და, თუ არა ვართ კუნძულსა და დედამიწას შორის? — პირქუშად შეეკითხა მილგუნი, თავი კვლავ არ აუწევია.

— ვერ დავინახავთ და ის იქნება,—ისევ ისე წყნარად მიუგო ორგანმა.

კირისკს სურდა გამოეძიებინა, რა უნდა ზღვაზე აგუკუკს, რატომ დაფრინავსო, მაგრამ მილგუნმა დაასწრო სიტყვა:

— კარგი და, თუ არ მოეპრიანა აგუკუკს, თავზე გადაგვიფრინოს, ჰა, ათკიჩხ, — გულჯავრიანად დასცინოდა მილგუნი, — თუ ეპრიანა და მოშორებით, სადმე იქით გაიფრინა, მაშინ რა ვქნათ?

— ვერ დავინახავთ და ის იქნება, — წყნარადვე მიუგო ორგანმა.

— მაშ, ვერ დავინახავთო? — იკვირვებდა და სიბრაზე ერეოდა მილგუნს, — მაშ, გინდ ისე თქვი, გინდ ასე, აგუკუკუს ვერ დავინახავთ? აბა, რა ჯანდაბას ვუდგავართ აქ? — ბურდღუნებდა იგი, სულ უფრო მეტად ცეცხლდებოდა. უცებ ხმამაღლა გადაიხარხარა. მერმე ერთბაშად გაჩუმდა. ყველანი გაცბუნებულიყვნენ, ხმა ვერ ამოეღოთ, არ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ.

ამასობაში მილგუნმა რაღაც განიზრახა. პალოზე დამაგრებულ ნიჩაბს ხელისგული ამოჰკრა და ამოაგდო, მერმე რატომღაც ნავის ცხვირზე შებობღდა, ზედ მთელი ტანით აიმართა, თან იმ ნიჩაბს ათამაშებდა წონასწორობის დასაცავად. კაციშვილს ხმა არ გაუცია. არცთუ თავად აგდებდა ვისმე აინუნში.

— ე-ჰეი, შენა, ძუკნავ! — შეჰყვირა გაცეცხლებულმა. — ე-ჰეი, შენა, ქარების შამანო! — შესძახა ვიღაცას ჯანღში და ის ნიჩაბი მოუღერა. —თუ შენ ძაღლის მძორი კი არა, ქარების მბრძანებელი ხარ, სად არის შენი ქარები? იქნება ჩაძაღლდი იმ შენს

ბუნაგში, შე ძუკნავ, ანდა იქნება მთელი დუნიის ხვადები დაგ-
ხვევიან და აღარ იცი, რომელს მიუშვირო ანდა ხან ერთს გა-
დაეფსკვნები, ხან მეორეს, შე ძუკნავ, შენა, და ველარ მოგიც-
ლია ქარების ასაშვებად; ან იქნება დაგავიწყდა, ჩვენ რო აქა
ვართ, ამ დაღუპულ ბურუსში, როგორც ხაროში, ისე რომ ვზი-
ვართ? არ იცი, განა, ბიჭი რო გვახლავს, ჰოდა, რას ფიქრობ?
სწყურია ბიჭსა, წყალი უნდა! წყალი-მეთქი, გესმის?! ხომ გეუბ-
ნები, ბიჭი გვახლავს, პირველხელაა ზღვაზე! შენ კი რას გვიშვ-
რები?! სადაური ნამუსი ეგაა? მიპასუხე, ქარების მბრძანებე-
ლი თუ ხარ, თუ მართლა ძაღლის დაგდებული არა ხარ! გამოგზავ-
ნე შენი ქარები! გესმის? ჯანღი კუდქვეშ ამოიფინე. თუ გესმის
ჩემი? ქარიშხალი გამოგვიგზავნე, ძაღლიშვილო. ყველაზე სას-
ტიკი ქარიშხალი — ტლანგი-ლა გამოგვიგზავნე, შე ძუკნავ,
შენა, ამ ზღვაში გადაგვყარე ბარემ, ტალღებმა ჩაგვნთქან, შე ქე-
ციანო ძუკნავ, შენა! გესმის? გეყურება-მეთქი ჩემი?! მომიფურ-
თხებია, გაფურთხებ და გაფსლიკინებ ემაგ ბანჯგვლიან დრუნჩ-
ში! თუ ქარების მბრძანებელი ხარ, გამოგვიგზავნე ის შენი
ქარიშხალი, ჩაგვძირე ზღვაში ბარემ, არადა, მართლა ნათრევი
ძუკნა ყოფილხარ, მე კიდე — ხვადი, კიდევ ერთი ხვადი, ოღ-
ონდ არ გეგონოს, გაგეკარო, აჰა, შენ, აჰა, აჰა, აჰა-მეთქი, წამ-
ჭამე!

აი, ამვვარად, ყოვლად უშვერი სიტყვებით აგინებდა მილ-
გუნი ქარების შამანს, რომელიც, ვინ იცის, სად არსებობდა ან
სად მალავდა იმ თავის მორჩილ ქარებს. დიდხანს ყვიროდა და
ბობოქრობდა მილგუნი, ვიდრე ხმა არ ჩაეხრინწა, ქანცი არ
გამოელია; ლანძღავდა, აბუჩად იგდებდა ქარების მბრძანებელს
და თან ქარსა სთხოვდა.

მერმე ის ნიჩაბი ზღვაში მოიქნია, წინანდელ თავის ადგილ-

ზე დაჯდა, სახე ხელებში ჩამალა და გულსაკლავად აქვითინდა. ვერავის ხმა ვერ ამოეღო, უმწეოდ ისხდნენ, ის კიდევ სლუკუნ-სლუკუნით ტიროდა, თავისი პატარა შვილების სახელებს ამოიძახებდა ხოლმე. კირისკი არასდროს შესწრებოდა მამაკაცის ტირილს, შიშით ათრთოლდა, ცრემლმორეული მიუბრუნდა ორგანს:

— ათკიჩხ, ათკიჩხ! რა დაემართა, რატომ ტირის?

— ნუ გეშინია, — ამშვიდებდა ბერიკაცი, თან ხელზე ხელს უჭერდა. — გაუვლის! დაწყნარდება მალე. შენ ნუ იჯავრებ. ნუ იფიქრებ ამაზე. ხომ გეუბნები, გაუვლის-მეთქი.

მართლაც, თანდათან შოშმინდებოდა მილგუნი, ოღონდ სახეზე კვლავ ხელები ჰქონდა აფარებული, ამოისლუკუნებდა და აუთახთახდებოდა მხრები. ემრაინს ნელა მიჰყავდა ნავი წყალზე მოტივტივე ნიჩბისაკენ, გამოჰკრა იმ ნიჩაბს, მოიცურა, ამოიღო და ისევ თავის ადგილას, პალოზე დაამაგრა.

— დაწყნარდი, მილგუნ, — თანაგრძნობით ეუბნებოდა ემრაინი, — მართალი ხარ შენ, ქარიშხალი სჯობს ამ ბურუსში ვაივაგლახს. დავიცადოთ კიდევ, იქნება გაიჭრას ჯანღი. რას იზამ...

მილგუნს პასუხი არ გაუცია. უფრო და უფრო დაბლა ხრიდა თავს, იჯდა მოკუნტული, თითქოს შეშლილია, ახედვისა რომ ეშინიაო.

ბურუსი კი ისევ ისე უძრავად და გულგრილად ჩამოსწოლოდა ოკეანეს, ჩამოებურა და ჩამოეგმანა მთელი ქვეყანა. არც ქარს წამოუქროლია, არც რაიმე ცვლილება მომხდარა. ხომ თავი წასჭამა, ხომ ისე ლანძღავდა და აგინებდა მილგუნი ქარების შამანს, იმას კიდევ ყურიც არ შეუბერტყავს. არც კი განრისხებულა, არ განძრეულა, არ დაუტეხია ქარიშხალი ამათთვის თავს...

ემრაინი ნელა უსვამდა თავის წყვილ ნიჩაბს, ერთ ადგილზე რომ არ მდგარიყვნენ. ძლივს შესამჩნევად იძვროდა ნავი. ორგანი დუმდა, საკუთარ ფიქრებს მისცემოდა, ეგების კვლავ ქალთევზაზე ფიქრობდა, ვინ იცის, უკანასკნელად.

უსიხარულო ბებრული ფიქრებისაგან კირისკმა გამოარკვია.

— ათკიჩხ, ათკიჩხ, რატომ დაფრინავს აგუკუკი კუნძულებზე? — ჩუმად შეეკითხა.

— ჰო, მართლა, დამავიწყდა ეგ მეთქვა შენთვის. ამისთანა დიდ ბურუსში მარტო აგუკუკს შეუძლია ზღვაზე ფრენა. საკბილოს ეძებს და იმიტომ დაფრინავს კუნძულებზე, ზოგჯერ სელაპის ჩვილ ნაშიერსაც იტაცებს. აგუკუკს იმისთანა თვალები აქვს — გინდ ბურუსი იყოს, გინდ ბნელი ღამე, ყველაფერს ისე ხედავს, როგორც დღისით. აბა, რისი ბუა. ყველაზე დიდი და ყველაზე ძლიერი ბუ ეგ არის.

— ერთი მეც მომცა მაგისთანა თვალები, — წაიჩურჩულა ტუჩებგამშრალმა კირისკმა, — ხელადვე დავინახავდი, რომელ მხარეს უნდა გაგვეცურა; ჩქარა მივაღწევდით ნაპირს, ჰოდა, გიყვარდეს, დავლევდით წყალს, ვსვამდით და ვსვამდით... ნეტა მეც მომცა მაგისთანა თვალები...

— ეჰ, — ამოიოხრა ორგანმა, — ყველას თავ-თავისი თვალები ასხია.

იყუჩეს. კარგა ხანმა რომ გაიარა, თითქოს იმ მათ ნაუბარს მიუბრუნდაო, ორგანი სახეზე შეაცქერდა ბიჭს და უთხრა:

— ძალიან გაგიჭირდა? მოითმინე როგორმე. თუ გაუძლებ, დიდი მონადირე გახდები. მოითმინე, შვილო, ნუ იფიქრებ წყალზე, სხვა რამეზე იფიქრე. ნუ იფიქრებ წყალზე.

კირისკი მორჩილად ცდილობდა, წყალზე ფიქრი თავიდან

მოეცილებინა. მაგრამ ვერ ახერხებდა. რაც უფრო ცდილობდა, მით უფრო მეტად აწუხებდა წყურვილი. თან კიდევ შიოდა ძალიან, შიმშილისაგან თავბრუ ეხვეოდა. მილგუნისა არ იყოს, თავადაც ლამის ამდგარიყო და მთელი დუნიის გასაგონად ყვირილი მოერთო.

ამგვარ ყოფაში გადიოდა ის დღე. ერთთავად ელოდნენ, ერთთავად იმედოვნებდნენ, აი, ახლა გავიგონებთ შორით აგორებული ტალღის ხმაურს, დაჰქროლებს ქარი და ამ ბურუსს ქვეყნის მეორე კიდეზე გადარეკავს, ჩვენ კიდევ გზა გაგვეხსნება და გვეშველებაო. მაგრამ ზღვაზე სიწყნარე სუფევდა, ისე გახევებულ-გაშეშებულიყო ყველაფერი, ეს დაწყევლილი სიჩუმე თავსა და ყურებს უტკივებდათ. თან სულ ერთთავად გაგიჟებით სწყუროდათ. საშინელი რამ იყო: უკიდეგანო ოკეანეში მყოფნი უწყლობით იღუპებოდნენ.

საღამო ხანს მილგუნი ცუდად შეიქნა. კრინტს არ ძრავდა, თვალები უაზროდ უშტერდებოდა. რა უნდა ექნა ორგანს, ადგა და ცოტაოდენი წყალი დაუსხა, ყელი ჩაინამოსო. მაგრამ ამ დროს კირისკს შეასწრო თვალი, ნახა, რა ხარბად უმზერდა კოშს, ჰოდა, ველარ გაუძლო გულმა, იმასაც დაუსხა, ძირი რომ დაეფარა, იმდენი, მერმე ემრაინსაც უწილადა. თავად კი კვლავაც წვეთი არ დაულევია. ამჯერად, ლადუკი საჯდომქვეშ რომ შედგა შიგ დარჩენილ წყლიანად, დიდხანს იჯდა გაუნძრევლად, განსაკუთრებულად ჩაგულისყურებული და გონებადაწმენდილი; რაღაც სხვარიგი, მაღალი აზრებით იყო შეპყრობილი, თითქოს არც რაიმე წყურვილსა გრძნობს, არც სხვა რამ ხორციელ ტანჯვასო. იჯდა კიჩოზე ჩუმად, უშფოთველად, როგორც კლდის წვერზე შემომჯდარი ეული შევარდენი. იცოდა უკვე, რაც უნდა გაეკეთებინა, იცოდა და მხნეობას იკრებდა. შემორჩენილ

ძალ-ღონეს იზოგავდა თვისი ცხოვრების ბოლო საქმის აღსრულების წინ. უჩიბუხობა ძალიან ესაკლისა. ეწადა ბერიკაცს, ერთი გუნებიერად გაებოლებინა ამ უკანასკნელად, გაებოლებინა და თან იმაზე — თავის ქალთევზაზე ეფიქრა...

სად, სად დაცურავ, დიდო ქალთევზავ?

იცნობდა თავის თავს, იცოდა, კიდევ რამდენ ხანს ეყოფოდა ძალა და ღირსება მ ი ჯ ნ ი ს პირას მდგარს. თუ ჯერჯერობით თავს იკავებდა განაზრახის შესრულებისგან — მხოლოდ და მხოლოდ კირისკის გამო. საოცრად შეთვისებოდა ბიჭი ამ ორი დღის მანძილზე, სულ გვერდში ეკვროდა, ეხუტებოდა, სითბოსა და თავშესაფარს ეძიებდა. ჰოდა, ეცოდებოდა ბიჭი, ოღონდ მისი გულისთვისვე უნდა გაეკეთებინა ეს...

ასე იწურებოდა ის გრძელი, უსიხარულო, უკანასკნელი დღე უხუცეს ორგანისა.

უკვე მიმწუხრის ხანი იყო. დგებოდა კიდევ ერთი ღამე.

იმ ღამესაც რაიმე ცვლილება არ დასტყობია ტაროსს. ნისლი ისევ ისე არხეინად გასუდრულიყო ზღვაზე. კვლავ მოიწევდა თვალგაუტანი წყვდიადი, კვალდაკვალ მოჰყვებოდა უსაშველოდ გრძელი, გაუძლისი, ძრწოლის მომგვრელი ღამე. ერთი იმას მოსწრებოდნენ, ანაზდად ქარი ამოვარდნილიყო, გინდაც ქარიშხალი ამოჭრილიყო, გინდაც რა, ოღონდ კი ცას პირი გაეხსნა და ვარსკვლავები ეხილათ! მაგრამ, გაგიგონია! სასიკეთო არა უჩანდა რა ღამეს, წყალი ოდნავადაც არ ინჩქრეოდა, არსაიდან ნიავიც კი არ იძვროდა — ყოველივე გათანგულიყო და მიმკვდარებულიყო უსაშველო სიჩუმეში და უსაშველო წყვდიადში. ნელ-ნელა მიარწევდა ამ ყიამეთში გზაკვალდაკარგული ეული ნავი გაწამებულ, უსმელ-უჭმელობით სიკვდილის

პირამდე მისულ ოთხ ნიკხს. არც გზა ჩანდა, არც რაიმე საშ-
ველი...

კირისკს ზუსტად არ ახსოვდა, როდის ჩაეძინა. ეს კია, დიდ-
ხანს, წვალებით იძინებდა, გაუძლისი წყურვილი ტანჯავდა. ასე
ეგონა, აღარასოდეს მოეღებოდა ბოლო ამ მის ჯოჯოხეთურ
წამებას. მარტო წყალი უნდოდა! მარტოოდენ წყალი — სხვა
არაფერი! შიმშილის სიმწვავის გრძნობა თანდათან უნელდე-
ბოდა, ისე როგორც ყრუ, შიგნითვე ჩაბრუნებულმა ტკივილმა
იცის. წყურვილით კი უფრო და უფრო გახელებით სწყუროდა.
და ვერც ვერაფერს უსაშველებდა ამას კაცი.

წამოაგონდა კირისკს, რომ პატარაობისას, როცა ერთხელ
მძიმედ ავად შეიქნა და ოფლში გაწურული, სიცხიანი იწვა,
ასევე ფინთად იყო და ძალიან სწყუროდა. დედა თავთით უჯდა,
წამითაც არ სცილდებოდა, ერთთავად სველ ტილოს ადებდა
გახურებულ შუბლზე, ჩუმ-ჩუმად იცრემლებოდა და თან რაღა-
ცას ჩურჩულებდა. ბინაში, სანათის მკრთალად მოციმციმე
შუქის არილზე ხშირად დაიხრებოდა ხოლმე მისკენ დედის
შეწუხებული სახე, მამა იქ არ იყო — ზღვაზე იმყოფებოდა. კი-
რისკს უნდოდა, წყალი დაელევინებინა დედას და მალე დაბრუ-
ნებულიყო მამა. მაგრამ, ან ერთ სურვილს ვინ უსრულებდა, ან
მეორეს. დედას წყალი არ მოჰქონდა, მამა კიდევ არსად ჩანდა.
დედამ ასე უთხრა, წყლის დალევა შენთვის არასდიდებით არ
შეიძლებაო. დაშუშხულ ტუჩებს ჩვრით უსველებდა, მაგრამ ეს
წამიერ შვებას ჰგვრიდა მხოლოდ. უმალვე სწყურდებოდა და
აუტანელ ტანჯვას განიცდიდა.

დედა დაყვავებით ჩააგონებდა, ნუ დალევ წყალსო, მოითმი-
ნე როგორმე და მაშინ ავადმყოფობაც გაგივლისო.

— ცოტაც გაუძელი, შვილო! — ეუბნებოდა იგი. — ჰოდა,

დილას უკეთ გახდები. გულში ასე იმეორე: „ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი“. აი, ნახავ, თუ არ გეშველავათოს. სთხოვე, გენაცვალე, ლურჯ თაგუნას, წყალი მოგიცუნცულოს... გულიანად სთხოვე ოღონდ...

მთელ ღამეს წყურვილს ებრძოდა და იმ შელოცვას ჩურჩულებდა, ელოდა, მოცუნცულდება თაგუნა და წყალს მომიტანსო. სულ ერთთავად იმეორებდა და ეხვეწებოდა იმ ლურჯ თაგუნას: „ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი! ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!“ ძალიან დიდხანს არავინ გამოჩენილა, თვითონ კი მაინც გაუწყნარებლად ჩურჩულებდა, უხმობდა, ტიროდა და ემუდარებოდა: „ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!“ მოირბინა ბოლოს იმანაც. გრილი იყო ლურჯი თაგუნა, ისევე მოუხელებელი, როგორც სიო, ტყეში ნაკადულს რომ გაელამუნება შუადღის ჟამს. ჭირდა თვალით კარგად დანახვა მისი, მთლად ლურჯი გამოდგა, ჰაეროვანი, პეპელასავით დაფარფატებდა. იმ ფარფატისას ლბილად შეეხებოდა ხოლმე თავისი ბეწვით სახეზე, ყელზე, ტანზე და შვებასაც მით ჰგვრიდა. წყალიც დაალევინა, აგრე ახსოვს, ჰოდა, დიდხანს სვამდა და ხარბად სვამდა, წყალი კიდევ მოჩქეფდა და მოჩქეფდა, ჩუხჩუხებდა გარშემო, ზედ გადასდიოდა...

დილას რომ გამოეღვიძა, გული ხალვათად ჰქონდა, აღარაფერი აწუხებდა, თუმცა მეტად დასუსტებულიყო. და მერეც დიდხანს არ დავიწყებია ის ლურჯი თაგუნა-მერწყული, იმ ღამეს რომ მოირბინა, როცა ძალიან ფინთად იყო, მოირბინა, რომ წყალი დაელევინებინა, განეკურნა...

აგერ ნავში, წყურვილისაგან გახელებულს, კვლავ გაახსენდა ეს ამბავი. ნეტა ერთი ისევ მოირბენდეს ლურჯი თაგუნა! უმალვე დედას გადასწვდა მისი ფიქრი, საშინელი დარდი შემო-

აწვა გულზე. დედამ იყო, იმ ლურჯი თაგუნა-მარწყულებლის იმედი რომ ჩაუსახა. სიბრალულით შეეძრა გული, რა რომ მოაგონდა, რარიგ დამწუხრებული, თავგადაკლული ერთგულების გამომხატველი იყო მშობლის სახე, როცა მის თავზე დაიხრებოდა ხოლმე, როცა სუნთქვა უჭირდა ამას და ისე ძალიან სწყუროდა. თავს დაჰკანკალებდა, ლამის მტლად დასდებოდა, ოღონდ რითიმე ვუშველოო; თან მუდარით, თან შიშნეულად შესციცინებდა თვალებში. რას შვრება ახლა, როგორ არის, ნეტავ? ტირის, თავს იკლავს, ალბათ; დგას, ელოდება ზღვის ნაპირას... ზღვამ კი რა უნდა უთხრას. ვერც ვერავინ დაეხმარება რითიმე ამ განსაცდელის ჟამს. ერთი ეს იქნება, დედაკაცები და ბალღები კვლავ თუ კოცონს აგიზგიზებენ ჭრელი ძაღლის ფერდობზე, ესღა თუ უკეთებს გულს, იმედს უსახავს, ვინ იცის, ბედნიერება გველის — გავიხედეთ და, ნაპირთან გამოჩნდნენ ის ჩვენი ზღვაში დაკარგულებიო.

ესენი კი ამ დროს უგზო-უკვლოდ მიირწეოდნენ ნავით უსიცოცხლო, ასპიდისფრად ჩამოლუსკუმებულ სივრცეში, გადაწურვოდათ ყოველგვარი იმედი. არა, სრულიად უთანასწორო იყო ძალები — აქეთ მარადისი უკუნი, ჯერ კიდევ მანამდე წარმოშობილი, ვიდრე მზე გაჩნდებოდა ქვეყნიერებაზე, აქეთ კიდევ ოთხი განწირული ადამიანი, დანჯღრეულ ნავს შეფარებული... არც წყალი, არც სარჩო, არსად ვარსკვლავები იმ უნაპირო ოკეანეში გზის გასაგნებად...

არასოდეს ენახა კირისკს ამისთანა კურმუხეთი სიშავე, ვერც იმას წარმოიდგენდა, წყურვილს თუ კაცის ასე სასტიკად გაწამება შეეძლო. თავი როგორმე რომ დაეოკებინა, იმ ლურჯ თაგუნა-მარწყულებელზე იწყო ფიქრი, იმან გადაარჩინა ერთ დროს, წყალი დაალევინა და განკურნა...

„ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!“ — მიდგა, დაუღალავად ჩურჩულებდა ამ საკვირველ შელოცვას, რაიც დედამ ასწავლა:— „ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი! ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!“ და თუმცა საოცრება არ ხდებოდა, კვლავ თავგამოდებით ემუდარებოდა, უხმობდა იმ ლურჯ თაგუნას. ის იყო ახლა მისი ნუგეში, იმის შემწეობით გამოულოცავდა წყურვილს...

ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!

შელოცვას რომ იმეორებდა, ეგებ გული გადავაყოლოო, იმ ჩურჩულ-ჩურჩულში ბიჭს ხან ჩასთვლემდა, ხან გამოეღვიძებოდა, და იმ ძილ-ღვიძილში, შიგადაშიგ, უნებლიეთ ყურს მიუგდებდა ორგანისა და ემრაინის ლაპარაკს. ხმადაბლა დიდხანს ლაპარაკობდნენ რაღაცაზე. უცნაური, გაუგებარი იყო მათი შესიტყვება; იტყოდნენ რამეს და ხანგრძლივი დუმილი მოჰყვებოდა, სათქმელს შუაზე წყვეტდნენ, ზოგ სიტყვას ძლივს თუ გაიგონებდი. უფრო მკაფიოდ ორგანის ნათქვამი ესმოდა, აკი მის გვერდით იყო მიკუნტული, — გაჭირვებით, ხვნეშით ლაპარაკობდა ბერიკაცი, ხრინწი უშლიდა, ყელში უხიხინებდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა. მამის სიტყვები უფრო ცუდად ისმოდა, რაკი ის ცოტა მოშორებით, თავის ნიჩბებთან იჯდა.

— ჩემგან რა გესწავლება, მაგრამ დაფიქრდი, ათკიჩხ, — ცხარედ ეჩურჩულებოდა ემრაინი, თითქოს აქ ვინმე ყურს მოჰკრავსო მათ საუბარს, — შენ ხომ თავგზიანი კაცი ხარ.

— ვიფიქრე, ძალიანაც ვიფიქრე, ასე აჯობებს, — ეუბნებოდა ორგანი; ეტყობოდა, თავისსავე აზრზე იდგა.

ცოტა ხანს იყუჩეს, მერმე ემრაინმა წარმოთქვა:

— ყველანი ამ ერთ ნავში ვართ, ყველას ერთი ბედი გვიწერია.

— ბედი, ბედი, — ნაღვლიანად ჩაიბუტბუტა ბერიკაცმა. — ბედს ვერსად წაუხვალ, ცნობილი ამბავია, — ხლიჩინით ლაპარაკობდა, — ოღონდ ბედი იმისი ბედია, გინდა დამორჩილდები, გინდა არა. რაღაი საშველი მაინც არაა — ვინძლო ვინმემ თავისითაც დაიჩქაროს ბედის განაჩენის აღსრულება, ამით სხვებს მოაგებინებს დროს. აბა, დაფიქრდი, იქნება უეცრად გზა გაიხსნას, უკანასკნელ ძალ-ღონეს მოიკრებ და დედამიწისკენ გაეშურები, უკვე დაინახავ ნაპირს, ჰოდა, ორიოდე ყლუპი წყალი მიგაკლდება, სული იმ ნაპირამდე მიიტანო; განა უჭკუობა არ იქნება, აფსუსი არ იქნება?!

ემრაინმა რაღაც უპასუხა, რა უთხრა, ბიჭმა ვერ გაარჩია, მოსაუბრენი დაჩუმდნენ.

კირისკი ცდილობდა, ძილს მისცემოდა, იმ თავის ლურჯ თაგუნას უხმობდა ერთთავად. ასე ეგონა: რომ დამეძინება, მაშინ მოვაო... მაგრამ ძილი არ ეკარებოდა.

ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!

— რასა იქმს მანდ მილგუნი? — იკითხა ორგანმა.

— ისევ ისეა — წევს, — მიუგო ემრაინმა.

— წევსო, ამბობ. — ცოტა ხანს იყუჩა, მერმე კვლავ შეესიტყვა ბერიკაცი, თავისი სათქმელი შეახსენა: — გადაეცი, რაც გითხარი, როცა გამოფხიზლდეს.

— კარგი, ათკიჩხ, — ემრაინს ხმა აუთრთოლდა, ძალისძალად ამოახველა. — რაც მითხარი, ყველაფერს გადავცემ.

— უთხარი, პატივს გცემდა-თქო. დიდი მონადირეა ეგა. კაცად კაციც რიგიანია. მე მუდამ პატივსა ვცემდი.

კვლავ იყუჩეს.

ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!

ემრაინმა მერმე რაღაც უთხრა, კირისკმა კარგად ვერ გაიგონა მისი ნათქვამი, ორგანმა კი მიუგო:

— არა, დაცდა აღარ შემიძლია. თავადაც ხომ ხედავ? ძალა არ მეყოფა. კარგი ძაღლი მოშორებით წავა, კაცის თვალს მიეფარება და ისე დალევს სულს. ასე მწამს. მე, ჩემო ბატონო, დიადი კაცი ვიყავ! აგრეა, ვიცი ეს. მე მუდამ მესიზმრებოდა ქალთევზა. შენ ვერ გაიგებ ამას... ჰოდა, იქითვე მინდა...

კიდევ რაღაცაზე ლაპარაკობდნენ. კირისკს რული ერეოდა, მარწყულებელ თაგუნას უხმობდა:

ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!

ბოლოს ესღა ჩაესმა, მამა ახლოს რომ მოიწია ორგანთან და ასე უთხრა:

— გახსოვს, ათკიჩხ, ერთხელ ვაჭრები ჩამოგვივიდნენ ირმებით: ცულებს, სხვადასხვაგვარ ნივთსა ცვლიდნენ. აი, ერთი ზორბა წითური რო ერია, ის ამბობდა, რომელიღაც შორეულ ქვეყანაში იყო დიადი კაცი, რომელმაც ზღვაზე ფეხით გაიარაო. ხომ იყვნენ ამისთანა ადამიანები...

— მაშ, ის ძლიერ დიადი კაცია, დიდთა შორის ყველაზე დიადი. — მიუგო ორგანმა. — ჩვენში კიდე ყველაზე დიადი ქალთევზაა.

კირისკს ეძინა უკვე, მაგრამ რაღაც სიტყვები ჯერ კიდევ ბუნდოვნად აღწევდა მის ცნობიერებამდე.

— დაიცადე, დაფიქრდი ცოტა...

— დროა. მე ჩემი წუთისოფელი მომიჭამია... ნუ მაკავებ. ძალა აღარ მეყოფა...

— ამისთანა წყვდიადია...

— მაგას რას დავეძებ...

— ჩემი სათქმელი ჯერ მთლიანად არ მითქვამს შენთვის...

— სათქმელს რა გამოლევს. ჩვენს შემდეგაც არ გამოილევა.

— ამისთანა წყვდიადია...

— ნუ მაკავებ. ძალა აღარ მეყოფა მერე. მე კი მინდა, ჩემითვე...

— ამისთანა წყვდიადია...

— თქვენ ერთხანს კიდევ გაძლებთ, ცოტაოდენი წყალი კიდევ დარჩა შიგ...

ვიღაცამ დიდი, ხეშეში და ფართო ხელისგული მოუფათურა ბიჭს და თავზე ფრთხილად დაადო. ძილ-ბურანში წასული კირისკი მიხვდა: ორგანისა იყო ის ხელი. თბილი, მძიმე ხელი ერთხანს ასე ედო თავზე; იფიქრებდი, მისი დაცვა ან თუ მისი მოყვანილობის დახსომება სურსო...

ესიზმრა კირისკს, ფეხდაფეხ მიდიოდა ზღვაზე. მიდიოდა იქით, სადაც დედამიწა ეგულებოდა და სადაც წყალს უნდა დასწაფებოდა. მიაბიჯებდა და არც ფეხი უვარდებოდა, არც იძირებოდა. საკვირველი, უჩვეულო სანახაობა გადაშლილიყო ირგვლივ. კამკამა, გასხივოსნებული ზღვა განფენილიყო გარშემო, სადამდეც თვალი მიუწვდებოდა კაცს. თვინიერ ზღვის, თვინიერ წყლისა, არაფერი არსებობდა ქვეყნად. იყო მხოლოდ ეს ზღვა, მხოლოდ ეს წყალი. იმ წყალზე ისე მიაბიჯებდა, გინდაც მყარი მიწა ჰგებოდეს ფეხქვეშ. მზის სხივებდაფრქვეული ზვირთნი მოგოგავდნენ ყოველი მხრიდან, ვერ გაიგებდი, საიდან ჩნდებოდნენ და საით მიემართებოდნენ.

მარტოდმარტო მიაბიჯებდა ზღვაზე. ჯერ ეგონა, ორგანს, ემრაინსა და მილგუნს გავუსწარი, წინ გავვარდი, რა არის

მალე მეპოვა წყალი, ფიცხლად მომეხმო იმათთვისო. მერმე მიხვდა, აქ სრულიად მარტო ვყოფილვარო. ყვიროდა, ეძახდა იმათ, მაგრამ ხმას არავინ სცემდა. ძეხორციელი არ ჭაჭანებდა, ჩქამი არსაით ისმოდა, კაცის ლანდი არ ჩანდა... არ იცოდა, სად გაუჩინარებულიყვნენ თავისიანები. ელდა დაეცა. ხმა ვერავისთვის მიეწვდინა. არც დედამიწა ჩანდა სადმე, ვერც ერთ მხარეს ნაპირს ვერ დალანდავდი. სირბილით გაეშურა ზღვა-ზღვა, მძიმე-მძიმედ სუთქავდა, ძალ-ღონე ელეოდა, მაგრამ მიახლოებით არრას უახლოვდებოდა, ისევ იმ ერთ ადგილას ტრიალებდა. წყურვილი კი უფრო და უფრო ტანჯავდა. უეცრივ მაღლა ფრინველს მოჰკრა თვალი. იხვი ლუვრი იყო. ყივყივით დაფრინავდა ზღვის თავზე, ბუდის გასაკეთებელ ალაგს ეძიებდა. მაგრამ ხმელეთის ნასახიც ვერსად ეპოვა. საცოდავად კუთავდა იხვი ლუვრი, აქეთ-იქით აწყდებოდა.

— იხვო ლუვრო! — შეეხმიანა კირისკი, — საით, რომელ მხარესაა მიწა, წყალი მწყურია!

— მიწა ჯერ არსად არ არის ქვეყანაზე! — უპასუხა იხვმა ლუვრმა. — ირგვლივ სულ ტალღებია.

— სხვები რაღა იქნენ? — თავისიანების ამბავს ეკითხებოდა ბიჭი.

— აღარ არიან, ტყუილად ნუ ეძებ, აღარსად არიან, — მიუგებდა იხვი ლუვრი.

ობლობისა და ვაების ენით უთქმელი საზარელი გრძნობა დაეუფლა კირისკს. უნდოდა ფეხი დაეკრა და სადმე შორს გავარდნილიყო, გასცლოდა იქაურობას, მაგრამ სად უნდა გაქცეულიყო, გარს სულ წყალი და ტალღები შემოსჯარვოდა. იხვი ლუვრი უკვე შორეთს უჩინარდებოდა, შავ წერტილადღა მოჩანდა.

— იხვო ლუვრო, წამიტანე თან, აქ ნუ დამტოვებ! წყალი მწყურია! — შეევედრა ბიჭი.

მაგრამ ფრთოსანი არ გამოხმიანებია, მალე სულაც თვალს მიეფარა, თავგამოდებით ეძიებდა ჯერ არარსებულ მიწას. მზე კიდევ თვალისმომჭრელად კაშკაშებდა.

აცრემლებულს გამოეღვიძა, ჯერ ისევ სლუკუნებდა, ჯერ ისევ დამძიმებული ჰქონდა გული უსაშველო ვარამისა და ზაფრისაგან. ნელ-ნელა ააზილა ნამტირალევი თვალები, მიხვდა, სიზმარი მინახავსო. ნავი ოდნავ ირწეოდა წყალზე. შენაცრისფერებული ბურუსი იწვა გარშემო. მაშასადამე, ღამე გალეულიყო, გათენების ხანი იდგა. ბიჭი შეინძრა.

— ათკიჩხ! — დაუძახა კირისკმა. პასუხი არავის გაუცია. ბიჭი შეკრთა და თავი წამოსწია:

— ათკიჩხ, ათკიჩხ, სადა ხარ?

— ნუ ყვირი! — უცებ მოეახლა ემრაინი. ხელი მოხვია, მკერდზე მაგრად მიიკრა ვაჟიშვილი. — ნუ ყვირი, ათკიჩხი არ არის! წავიდა ქალთევზასთან.

მაგრამ კირისკი ყურს არ ათხოვებდა:

— სად არის ათკიჩხი? სადაა? სადაა ათკიჩხი?

— გამიგონე! ნუ ყვირი! დაწყნარდი, კირისკ, აღარ არისმეთქი, — ცდილობდა რამე შეესმინა შვილისთვის,—ოღონდ ნუ იტირებ. დამიბარა, წყალი დაგალევინო. ცოტა კიდევ დაგვრჩა. აი, დაწყნარდები და დაგალევინებ. ოღონდ ნუ ტირი. ეს ბურუსი მალე გაიფანტება, ჰოდა, მაშინ ნახავ...

კირისკი არ ცხრებოდა, გამწარებული ლამობდა, მამას გასხლტომოდა. ამ ჯაჯგურზე ნავი აქანავდა. ემრაინმა აღარ იცოდა, რა ექნა.

— აი, დავიძრებით ახლა! უყურე, გავცურავთ ახლა! ჰეი, მილგუნ, წამოდექი, წამოდექი-მეთქი! დავიძრათ!

მილგუნმა ნიჩბებს მოუსვა, ნავი წყნარად გასრიალდა. ისევ გაცურეს, ღმერთმა უწყის, საით და რისთვის, მიბორიალობდნენ ამ განუჭვრეტელ რძისფერ ნისლში, რასაც კვლავინდებურად ჩამოებურა და ჩამოეგმანა მთელი ქვეყანა.

ასე შეხვდნენ ახალი დღის დადგომას. აწ სამნიღა იყვნენ ნავში.

ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!

მერმე, როცა კირისკი ოდნავ დაშოშმინდა, ემრაინი კვლავ თავის ხოფებთან გადაჯდა. ოთხ ნიჩაბს ერთად მოუსვეს, თუმცა, კაცმა არ იცოდა, საით ან რისთვის მიცურავდნენ. კირისკი ობლად იჯდა კიჩოზე, მოხუც ორგანის გაუჩინარებით ზარდაცემული კვლავ მწარედ სლუკუნებდა. მამაც და მილგუნიც დათრგუნვილნი იყვნენ, ვერც თავიანთი თავისთვის ესაშველებინათ რამე, ვერც კირისკისთვის. ერთი ესღა ნახეს გამოსავალი — ნიჩბებს მოუსვეს. მიცურავდნენ ისე, ოღონდაც ეცურათ. თეთრ ნისლში პირისახე შავი უჩანდათ. ის ერთი ჭირი დასდევდათ ფეხდაფეხ, ულმობელი ჭირი, რასაც ვერსად გაექცეოდი — წყურვილი და შიმშილი.

დუმდნენ, არას ამბობდნენ. ლაპარაკს ერიდებოდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ მილგუნმა ხელი უშვა ნიჩბებს.

— წყალი გაგვინაწილე! — ქუშად უთხრა ემრაინს.

აიღო ლადუკი ემრაინმა, კოშის ძირზე ორიოდ-ორიოდ ყლუპი დაუსხა თითოეულ მათგანს. წყალი აშმორებულიყო, მქისე სუნი და მყაყის გემო ჰქონდა, მაგრამ, რაც იყო, ისიც ერთი ბეწოლა დარჩა. სამ-ოთხჯერ თუ გაინაწილებდნენ კიდევ — მე-

ტად არ ეყოფოდათ. ან ეს რა დალევა იყო: ვერც წყურვილი მოეკლათ, ვერცთუ შეღავათი ეგრძნოთ.

ისევ ჩამოდგა ეს მძიმე, აუტანელი მოლოდინის ჟამი: შეიცვლება ტაროსი თუ არაო? უკვე აღარავინ გამოთქვამდა ნუგეშის მომცემ რაიმე აზრს. გატანჯულნი და მიღნავებულნი, ყველაფრისადმი განურჩეველნი ხდებოდნენ ძალაუნებურად — მორჩილად ელოდნენ თავიანთ ხვედრს, ხედავდნენ, ისევ ისე უგზოუკვლოდ მიაბორიალებდათ ნავი ამ დაწყევლილ ბურუსში. მეტი რა გზა ჰქონდათ — უნდა შერიგებოდნენ თავიანთ ხვედრს. ამ ნისლის გადამკიდე მთლად მოჩოლფოთებულ-მოღნაშულიყვნენ. ერთხელ კი მაინც გაუწყდა მოთმინება მილგუნს, ლაზათიანად შეიკურთხა და მძულვარებისაგან ხმაათრთოლებულმა წარმოთქვა:

— ერთი ამ ბურუსის გაფანტვას მომასწრო და მერე თუ გინდა მომკლა! ჩემით ვიშვერდი ფეხს და გადავხტებოდი ამ ნავიდან. ოღონდ კი დედამიწის კიდე თვალით დამანახვა!

ემრაინს ხმა არ გაულია, თავიც არ მიუბრუნებია მისკენ. რა უნდა ეთქვა? აწ ის იყო ნავში უხუცესის მაგიერი. მაგრამ ვერა გამოსავალი ვერ ეპოვა. გზა არსაით ჩანდა!

დრო ტაატით გადიოდა. ნავი ახლა თავის ანაბარა დაცურავდა. ხან ერთ ალაგს გაირინდებოდა, ხან ისევ დაიძვრებოდა.

და სულ უფრო მეტი საშიშროება ელოდა მათს სიცოცხლეს— დაუოკებელ წყურვილს ზედ ერთვოდა საშინელი, წირვის გამომყვანი შიმშილი. ძალა ეშრიტებოდათ, ნიათი ეცლებოდა სხეულს.

კირისკი კიჩოზე იწვა ნახევრად თვალმილულული. თავი დამძიმებოდა, უბრუოდა, სუნთქვა უჭირდა — ცარიელი კუჭი

ეკრუხჩხებოდა. და სულ ერთთავად სწყუროდა. გაშმაგებით სწყუროდა.

ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!

შელოცვას რომ იმეორებდა და ლურჯ თაგუნა-მარწყულებელს მოუხმობდა, ბიჭი ლამობდა, თავდავიწყებას მისცემოდა, ხსნას იმ ცხოვრების მოგონებაში ეძიებდა, რაიც ჭრელი ძაღლის სიახლოვეს გაეტარებინა და ამჟამად მიუწვდომელ, ზღაპრულ რამედ წარმოუდგებოდა.

„ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!“—ჩურჩულებდნენ მისი ბაგენი და, რადგან თავბრუ ეხვეოდა, ის გაახსენდა, ის დაუდგა თვალწინ, როგორ თამაშობდნენ, მოლიანი ბორცვიდან როგორ გორდებოდნე ეოგო-ბიჭები თავქვე, მორი რომ დაგორდება, იმდაგვარად! რა სასეირო, რა საუცხოო თამაში იყო! კირისკი ყველაზე მეტ სიყოჩაღესა და გამძლეობას იჩენდა იმ თამაშისას. უნდა აგერბინა ციცაბო ბორცვის თავზე და იქიდან კოტრიალ-კოტრიალით წამოსულიყავ, თითქოს გაქერქილი მორი იყავი, ფერდობზე დაგორებული. უნდა აიღო და ხელები სიგრძივ მაგრად მიიჭირო ტანზე. ადგილიდან რომ დაიძრა, ცოტას წაეშველები, წაუბიძგებ შენს თავს. გადატრიალდები ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და მერე შენით წახვალ — რაღა შეგაჩერებს. მოკოტრიალობ და თან იცინი, ხარხარებ სიამოვნებისაგან, ცა კიდევ ხან ერთ მხარეს წამოფერდდება, ხან მეორე მხარეს, ღრუბლები ტრიალებს და თვალს გიჭრელებს, ბზრიალ-ბზრიალით ეცემა ხეები, ყველაფერი ყირამალა გადადის, მზე კი მაღლა სიცილით კვდება. ირგვლივ ეოგო-ბიჭების ჟრიამული და წივილ-კივილი დგას! მოგორავ ძირს, სულ უფრო სწრაფად მოკოტრიალობ და უცებ ისე უცნაურად გაკრთება ხან ვინმეს გაშეშებული სახე, ხან

ვისიმე მოღრეცილი ფეხები, იმათი, ვინც შენს კვალდაკვალ მოგორავს; ჩაკოტრიალდები ბოლოს ძირს. უჰ! გიყვარდეს, ყურებს ქშუილი გააქვს! აი, ახლა უნდა გამოჩნდეს მთელი შენი ბიჭობა. ვიდრე დაითვლიდნენ — ერთი, ორი, სამიო, უნდა წამოხტე და ზეზე გაჩერდე ტარაბუადასხმული. პირველ ცდაზე თითქმის ყველა ეცემა. აბა, მაშინ უნდა ნახო სიცილ-ხარხარი! ყველა იცინის, თავადაც გეცინება! გინდა თავი შეიმაგრო, დედამიწა კი ფეხქვეშ გეცლება. კირისკი მაინც ახერხებდა თავის შემაგრებას. არ იქცეოდა. მთელ ძალ-ღონეს იკრებდა. აკი გვერდით მუდამ მუზლუქი ეგულებოდა. ჰოდა, არ უნდოდა, იმის თვალწინ გაშხლართულიყო, განა გლახაკი გახლდათ.

ყველაზე საუცხოო და ყველაზე სასაცილო მაინც ის იყო, იგი და მუზლუქი ერთმანეთის გადასასწრებად რომ დაგორდებოდნენ იმ ბორცვიდან. გოგონებსაც შეუძლიათ, დაგორდნენ. ოღონდ, მფრთხალები არიან და, მოხდება ხოლმე, ნაწნავით რამეს წამოედებიან. თუმცა ეს რა მოსატანია. დიდი ამბავი, ერთი-ორგან ტანი თუ დაგილურჯდება ამისთანა მხიარული თამაშობისას.

როცა მუზლუქთან ერთად დაგორდებოდა, კირისკი განზრახ იდაყვებს გამოშლიდა შეუმჩნევლად, თავს იმუხრუჭებდა, გოგონასთვის რომ არ გაესწრო. ერთად ჩაგორდებოდნენ ხოლმე ძირს. ატყდებოდა მაშინვე ჟივილ-ხივილი და სიცილ-ხარხარი. მერმე ერთადვე წამოცვივდებოდნენ ზეზე, ვიდრე სამამდე დაითვლიდნენ; ჰოდა, კაციშვილს აზრად არ მოსდიოდა, რა სიამეს ჰგვრიდა კირისკს, მუზლუქს ხელით რომ იჭერდა, არ წაიქცესო. ერთურთს ჩაეხუტებოდნენ უნებურ, ვითომდა, ერთიმეორეს ვეშველებითო. მუზლუქი ისე გულიანად კისკისებდა, იმის ტუჩკბილის შემყურეს შენც სიცილი გადმოგედებოდა. თან სულ

იმნაირად ირჯებოდა მუზლუქი, ბიჭს ხელით უნდა სჭეროდა, სულ ისე გაჩვენებდა თავს, ვიქცევიო; ჰოდა, კირისკიც უნდა შეშველებოდა, ხელი ეტაცა, შემოჭდობოდა. კაციშვილს ფიქრად არ მოსდიოდა, რა იდუმალი ბედნიერებისა და კრთომის მომგვრელი ტრფიალების წუთებს განიცდიდნენ ორივენი. სიფრიფანა კაბის ქვეშ გოგონას გამალებით უცემდა გული, ტანით ტანს ეხებოდნენ წამდაუწუმ, და ბიჭიც გრძნობდა, როგორ წაეგლისებოდა ხელზე პაწაწკინტელა, ახლადაკოკრილი, მკვრივი ძუძუები, როგორ შეკრთებოდა გოგო და ერთბაშადვე მოეკვროდა, რარიგ იდუმალ მომზირალი, მოციმციმე თვალები ჰქონდა ამ დროს, მოციმციმე და ბრუდასხმით აგზნებული. და მთელი ქვეყნიერება — ყველაფერი, რაც ცასა თუ ხმელზე ჩანდა — მათთან ერთად მიცურავდა, ტრიალებდა, იმათი გაბმული სიცილისა და ბედნიერების შემყურე ხარობდა. კაციშვილს აზრად არ მოსდიოდა, რა საოცარი ბედნიერების განცდა ეუფლებოდათ ამ დროს!

მხოლოდ ერთხელ იყო, ერთმა მისმა თვისტომმა, მასზე ცოტა უფროსმა ბიჭმა, მურდალმა ვინმემ, იაზრა ეს ამბავი. ადგებოდა და ტუტუცივით გადაემხობოდა მუზლუქს, ვითომდა რეტი მესხმის, ფეხზე ვეღარა ვდგავარო. მუზლუქი გაერიდებოდა, გაექცეოდა; ის მუტრუკი კიდევ, ვითომდა მივბანცალებ რეტდასხმულიო, უკან გამოუდგებოდა, დაეწეოდა და ზედ გადაემხობოდა. კირისკმა ჩხუბი აუტეხა. ის ბიჭი უფრო დიდი იყო და რამდენჯერმე ძირს დასცა კირისკი. და მაინც ბარი-ბარს იყვნენ — არ ეპუებოდა კირისკი და იმიტომ. გამოსარჩლება რომ დააპირა მუზლუქმა, არც ეს დაანება გოგონას. ოღონდ ეს ამბავი იმ ერთხელ მოხდა...

ისიც რა საამური წუთები იყო, როცა თამაშით გულმოჯე-

რებულნი, გაოფლილნი და გახურებულნი, ნაკადულისკენ გარბოდნენ წყლის დასალევად.

ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!
ოპ, ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!..

ნაკადული ახლორე ჩამოუდიოდათ. ტყიდან გამოედინებოდა და იმ ადგილს ჩაუვლიდა, სადაც ესენი თამაშობდნენ. წყალი ქვებზე მოლიკლიკებდა, ტყიდან გამოყოლილი ბინდი და სიგრილე ახლდა. ნაპირ-ნაპირ ბალახი ამობიბინებულიყო. სულ კიდეზე ამოსულ ბალახს წყალი ზედ ევლებოდა, აწვდილი ღერო ხალისიან ჩქერს უძალიანდებოდა. არხეინად მირაკრაკებდა ნაკადული ზღვისაკენ, ხან მზის სხივებზე გაიბრჭყვიალებდა, ხან ციცაბო, გადმოწოლილი ნაპირის ქვეშ ჩაიკარგებოდა, ხან კიდევ ხშირ ბალახსა და ტირიფნარში შეიმალებოდა.

ერთად მიირბენდნენ ნაკადულამდე, ბალახს გადასწევდნენ და ერთადვე დაეწაფებოდნენ წყალს. საიმისოდ ვის ეცალა, ხელი გადაებანა და პეშვით ესვა; თავს ჩაჰკიდებდნენ შიგ, ირემმა რომ იცის, ისე, თავ-პირს შეუშვერდნენ მობუყბუყე, ნაზად მოღიტინე ნაკადს. ოჰ, რა ნეტარებას განიცდიდი ამ დროს კაცი!

ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!..
ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!
ოპ, ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!..

იწვნენ ასე პირქვე ჩამხობოლნი, წყალზე თავწახრილნი. მხარი მხარს ეკვროდა, ხელი კიდევ, ჩქერში წაყოფილი, ხელს ეჯდობოდა, თითქოს ის წყვილი ხელი საერთო ჰქონოდეთ. სვამდნენ სვენებ-სვენებით, ტუჩებით წასწვდებოდნენ წყალს, ხვრეპდნენ ნებივრად და თან ანცობდნენ. პირით წყალს აბუყბუყებ-

დნენ. არ უნდოდათ, ამ ადგილიდან ფეხი მოეცვალათ, არ სურდათ, თავი ამოეყოთ კამკამა ნაკადიდან; იმ ნაკადში თავიანთ მოლიცლიცე, მოუხელებელ ანარეკლს აცქერდებოდნენ, შეჰღიმებდნენ, იქიდან სასაცილოდ დაკრეჭილი ანარეკლი შემოჰღიმებდათ; მერმე ერთმანეთს უღიმოდნენ.

ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!
ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!
ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!
ოპ, ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!..

მუზლუქი პირისახეს არ ააშორებდა წყალს, ისე გამოჰხედავდა ცერად, ეშმაკურად გამოჰყურებდა იმ თავისი კილოგანზიდული თვალებით, ესეც იმნაირადვე გასცქეროდა, ეშმაკურადვე უღიმოდა. გოგო მხარს გაჰკრავდა, ვითომ, გამეცა იქითო, ბიჭი ფეხს არ მოიცვლიდა. მაშინ გოგო პირში წყალს ჩაიგუბებდა და სახეზე შემოასხურებდა. ბიჭიც ასევე იქცეოდა: უფრო ბევრ წყალს დაიგუბებდა, გაუშვებდა ჭავლს და შიგ სახეში შეაშხეფებდა. ამ ამბავს ერთი გიჟმაჟობა და სირბილი მოჰყვებოდა. წყალდაწყალ დასდევდნენ, წუწავდნენ, არ ზოგავდნენ ერთიმეორეს. ასე თავით ფეხებამდე გაწუწულნი სიცილ-ხარხარით ალმა-ალმა დარბოდნენ ნაკადულში.

ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!

უმძიმდა კირისკს იმ აზრთან შერიგება, აწ ალარასოდეს განმეორდებაო ეს ამბავი. სუნთქვა სულ უფრო მეტად უჭირდა, სულ უფრო მალიმალ უვლიდა კრუნჩხვა. ჩუმად ტიროდა და ტკივილისაგან იგრიხებოდა, თან ისევ იმ ლურჯ თაგუნას მიმართავდა:

ლურჯო თაგუნავ, მომეც წყალი!

ასე იწვა, იმის მოწადინე, ოცნებებში გული გადავაყოლოო. გარემოს კი არა ცვლილება არ დასტყობოდა. ნისლის თეთრი საბურველი ისევ ისე უძრავად ჩამოჰფარებოდა იქაურობას. უილაჯოდ ეყარნენ ნავში, ყველა თავ-თავის ადგილას მიკუნტულიყო. კვლავინდებურად არა იცოდნენ რა იმისა, რა ელოდათ. უცებ ნავი მკვეთრად შექანდა, მამის შიშნეული წამოძახილი მოესმა კირისკს:

— მილგუნ! მილგუნ! რას სჩადიხარ? ნუ შვრები მაგას!

კირისკმა თავი წამოსწია და გაშტერდა. მილგუნი ქიმს გადაჰყუდებოდა, ტარკოშით იღებდა ზღვის წყალს და სვამდა.

— ნუ შვრები-მეთქი!—ემრაინმა მისკენ გაიწია, კოში გამოვგლიჯოო.

მილგუნი ავად მოუტრიალდა:

— არ მომეკარო, წვერებავ! სულს გაგაცხებინებ!

სვამდა ამ მწარე, მლაშე წყალს, რომელსაც პირში ვერ ჩაიცდენდი კაცი, აკანკალებული ხელებით იყუდებდა კოშს, წყალი ტანსაცმელზე ეღვრებოდა, გულმკერდზე, სახელოებზე ჩამოსწურწურებდა, ის კი სვამდა მაინც, სვამდა ძალისძალად, ლამის გაგუდულიყო. კბილებდაღრჭენილს მხეცის იერი ედო.

მერმე ის კოში ნავის ფსკერზე მიაგდო, უკან გადაიწია, გაიშხლართა და ახრიალდა. სულს ძლივსღა იბრუნებდა. იწვა ასე, ვის რა შველა შეეძლო. კირისკი შიშისაგან სულ მოიკუნტა, უფრო მეტად შეაწუხა წყურვილმა, უფრო მწვავედ იგრძნო მუცლის ჭრა. თავდაღუნული ემრაინი ნიჩბებს წაეტანა, მოუსვა ნელ-ნელა, ანდეზე გააცურა ნავი იმ ბურუსში. ანკი სხვა რა უნდა ეღონა.

მილგუნი ხან მიწყნარდებოდა, ხან ისევ აფათურდებოდა,

ხრიალებდა, წყურვილის გამძაფრებულ შემოტევას ვეღარ უძ-ლებდა. ცოტა ხნის მერე თავი მაინც აიღო:

— მეწვის, შიგნით სუყველაფერი მეწვის! — გულმკერდზე იტაცა ხელები, ტანისამოსს იგლეჯდა.

— მითხარი, რა გაგიკეთო? რით გიშველო? შიგ კიდევ დარ-ჩა, — ლადუკისკენ გაიქნია თავი ემრაინმა, — დაგისხა ცოტა?

— არა, — იუარა მილგუნმა. — ახლა რაღა აზრი აქვს. ვი-ფიქრე, ღამემდე გავატანო და მერე, ჩვენი ცხონებული ათკი-ჩხისა არ იყოს, მე ვიცი, რაც უნდა ვქნა-მეთქი. ვხედავ, ვეღარ გავატან. აგრე იყოს. იქნება, რა ჩამედინა. იქნება, სულ გამო-მეცალა ეგ წყალი. ახლა გათავებულია ჩემი ამბავი, სამუდამოდ მივდივარ. გათავებულია ჩემი ამბავი... ჩემითვე წავალ, ჯერ კიდევ შემწევს მაგისი ძალა...

შემზარავი იყო, როცა ამ უდაბურ ზღვაზე, ამ ავბედ ბურუს-ში, არსად ბოლო რომ არ უჩანდა და არც დაძვრას აპირებდა, ისმენდი იმ კაცის სიტყვებს, ვისაც თავი საიმისოდ გაეწირა, ასე ნელი სიკვდილით წამებულიყო. ემრაინი შეეცადა, რო-გორმე დაემშვიდებინა მილგუნი, თავისი ძმა და მეგობარი, რამე ეთქვა სანუგეშო, მაგრამ მილგუნს ამეებისთვის არ ეცალა. ჩქა-რობდა იგი, განეზრახა, ხელის ერთი დაკვრით მოეღო ბოლო თავისი წამებისათვის.

— ნურაფერს მეტყვი, ემრაინ, გვიანღაა! — შეშლილივით ბუტბუტებდა მილგუნი. — მევე ვიზამ ამას. ჩემით წავალ. თქვენ კი, მამა-შვილმა, თვითონ გადაწყვიტეთ. ჩემდათავად აგრე აჯო-პებს. მაპატიეთ, რა ვქნა, ასე მოხდა. თქვენ, მამა-შვილი, დარ-ჩით, წყალი კიდევ არის ცოტა... მე კი აგერ ახლავე გადავაბი-ჯებ. — ესა თქვა და წამოდგა, დაიღუნა, ქიმს ჩაეჭიდა. მოტორ-ტმანემ ძალა მოიკრიბა, ქვეშქვეშად გამოხედა ემრაინს და ასე უთხრა:

— ხელი არ შემიშალო, ემრაინ! აგრეა-მეთქი საჭირო. ხელი არ შემიშალო. ვინ იცის, გააღწიოთ. მე კი, აგერ... მაშინვე გააქანე ნავი... გააქანე, არ დამიცადო. თუ მომიახლოვდები, გადაგაბრუნებთ. მიდი, მოუსვი ნიჩბებს. მაგრად მოუსვი, წვერებავ. ხომ გესმის, გადაგაბრუნებთ-მეთქი...

რაღა გზა ჰქონდა ემრაინს, დაჰყვა მილგუნის ხვეწნასა და მუქარას. ნავი სწორეზევე წავიდა, მიარღვევდა უჩუმარ ბურუსს, მიაპობდა უჩუმარ წყალს. კირისკი საბრალობლად ატირდა:

— აკი-მილგუნ! აკი-მილგუნ! ნუ იზამ მაგას!

სწორედ იმ წუთს მილგუნმა ერთი ჯიქურ გაიწია და ქიმს იქით გადაეშვა. ნავი უცებ ძლიერ დაფერდდა და ხელადვე გასწორდა.

— გასწით! გაქანდით! — შეჰყვირა მილგუნმა და ყინულივით ცივ წყალში აფართხალდა.

ჯანღმა უმალვე უჩინარყო, ოღონდ იმ ჟღერად სიჩუმეში ერთხელ კიდევ გაისმა ხმა, განწირულის უკანასკნელი წამოყვირება. მაშინ კი გულმა ვერ გაუძლო ემრაინს:

— მილგუნ! მილგუნ! — გასძახა, აქვითინებულმა ნავი უკანვე მიატრიალა.

სწრაფად მიბრუნდნენ იმ ალაგს, მაგრამ მილგუნი აღარსად ჩანდა. წყნარი იყო წყლის ზედაპირი, არსად არა ემჩნეოდა რა, თითქოსდა არც არაფერი მომხდარაო. სად ჩაიძირა, იმ ადგილის გამოცნობაც გაჭირდა.

მთელ დანარჩენ დღეს იქვე ტრიალებდნენ, არსაით გაუცურიათ. ტიროდნენ ორივენი, დარდით გულმოკლულნი, განადგურებულნი. პირველად იყო, კირისკი ატირებულ მამას ხედავდა. წინათ არასოდეს დამართვოდა ამისთანა რამ.

— დავრჩით მარტონი, — ბუტბუტებდა ემრაინი და წვერზე

ჩამომდინარ ცრემლს იწმენდდა, ცდილობდა თავი შეეკავებინა, მაგრამ ვერასგზით ახერხებდა. — მილგუნი, ჩემი ერთგული მილგუნი! — ჩურჩულებდა იგი და სლუკუნებდა.

დღე კი იწურებოდა უკვე. ასე ჩანდა. თუ სადმე არსებობდა მზე, თუ ცარგვალზე ვიდოდა ზღვათა, ნისლთა ზეგარდმო, ალბათ, არხეინად ჩადიოდა უკვე დასავალს. აქ კი, მრუმემიძალებული ჯანღით მოცულ ზღვაზე, ბინდში შთანთქმული აქეთ-იქით დაბორიალობდა ეული, უგზო-უკვლოდ გადმოკარგული ნავი. ორნიღა იყვნენ იმ ნავში — მამა და ვაჟიშვილი.

ცოტა უფრო ადრე, ვიდრე გულში იტყოდა, მწუხრი დგებაო, ემრაინმა ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, დროა, წყალი დავლიოთო. ხედავდა, რარიგ უჭირდა ეს ლოდინი კირისკს. ესმოდა, განა არ ესმოდა, რა ტანჯვის ფასად უჯდებოდა ბიჭს წყურვილისა და შიმშილის დათმენა, იოკებდა მაინც თავს, კრინტს არა ძრავდა. მილგუნის დაღუპვის შემსწრენი დიდხანს უწყლობითაც აღარ წუხდნენ თითქოს ისე ძალიან. მაგრამ წყურვილს თავისი გაჰქონდა თანდათან და აგერ უკვე ორკეცად გამძაფრებოდათ, თითქოსდა იმ უნებლიე შეღავათის გამო სასტიკად შურს იძიებსო.

ჯერ კირისკს დაუსხა ემრაინმა, უაღრესი სიფრთხილით უსხამდა იმ აშმორებულ წყალს, წვეთი არ დამექცესო. ბიჭი შლეგივით ეცა კოშს და ერთ ყლუპად გადაუძახა იმ თავის წილს. მერმე თავისთვის დაისხა ემრაინმა, დაისხა და ნახა, წყალი ძირშიღა დარჩენილაო, კირისკიც მიხვდა ამას, იმისდა მიხედვით შეატყო, რარიგ წამოპირქვავებული ეჭირა ხელში ლადუკი მამამისს. ემრაინს მკვდრის ფერი დაედო, გაშეშდა, ეს რომ ნახა, თუმცა მაინცდამაინც მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო მისთვის ეს ამბავი. აღარ ჩქარობდა თავისი წილი წყლის და-

ლევას. ჩაფიქრებულს ხელშივე ეკავა კოში, ერთმა აზრმა გაუელვა უეცრივ და იმას შეეძრწუნებინა; რაკი ის აზრი გაუჩნდა, წყურვილის მოკვლა რალა დიდ რამედ უღირდა.

— აჰა, დაიჭი, — კოში შვილს გაუწოდა, ვერ კი მოიქცა წინდახედულად. გინდაც საწამებლად გაემეტებინოს ბიჭი — ხელში წყალი ეჭირა, დალევით კი ვერ დაელია. ხელი რომ გაიცალა, ემრაინმა საცობი მაგრად ჩაურჭო თითქმის ძირამდე დაცლილ ლადუკს და წინანდელ ადგილზევე დადგა.

— დალიე, — შვილს უთხრა.

— მერე შენ? — გაკვირდა კირისკი.

— მოვასწრებ დალევას. მიდი, შესვი, ნურაფერზე ნუ ფიქრობ, — მშვიდად უთხრა მამამ.

კირისკმა კვლავ ერთბაშადვე ყლურწა ის ერთი ბეწო აშმორებული წყალი. ისე ვერ მოიკლა წყურვილი, როგორც გული სთხოვდა, მაგრამ რაღაც ცოტაოდენი შვება მაინც იგრძნო.

— ჰა, მოგიფონა? — ჰკითხა მამამ.

— ცოტა მომიფონა, — მადლიერებით წაიჩურჩულა ბიჭმა.

— ნუ შეგეშინდება. თანაც დაიხსომე, გინდაც წვეთი წყალი არ დალიოს კაცმა, ორ-სამ დღეს მაინც გაძლებს. რაგინდარა მოხდეს, შენ ნურაფრისა შეგეშინდება...

— იმიტომაც არ დალიე? — სიტყვა გააწყვეტინა კირისკმა.

ემრაინი დაიბნა, ამგვარ შეკითხვას არ მოელოდა. ცოტა სანს ჩაფიქრდა და მოკლედ მოჭრა:

— ჰო.

— აბა, უჭმელი რამდენ ხანს გაძლებს? რა ხანია უკვე პირში ლუკმა არ ჩაგვიდვია.

— წყალი იყოს და გაძლებ როგორმე. ოღონდ ნუ ფიქრობ

ამაზე. მოდი, ცოტა გავცუროთ, ის აჯობებს. შენთან სალაპარაკო მაქვს.

ემრაინმა ნიჩბები ააჭრიალა, ნელა იძვროდნენ იმ ბურუსში, შორდებოდნენ წეღანდელ ადგილს, თითქოს იქ ვინმე ხელს შეუშლიდა მათს ლაპარაკს. მამას გული უნდა გაემაგრებინა. იფიქრა, ასე უფრო გაუადვილდებოდა აზრის მოკრება, თავისი თავის შემზადება სალაპარაკოდ. აკი იმის გაფიქრებაზეც კი, რის გამოც სიტყვის ჩამოგდებას აპირებდა, ტანში ზარავდა. თავად ხომ უსვამდა ნიჩბებს, შვილსაც უბრძანა, ხოფებს მისჯდომოდა. არადა, აუცილებელი სულაც არ იყო ეს. ან იმ ანდეზე ცურვას რა აზრი ჰქონდა. ბიჭი ძლივს ატრიალებდა მისთვის მეტისმეტად დიდრონ საზღვაო ხოფებს. ცალს კიდევ მოერეოდა, წყვილის სახმარად კი ჯერ არ წამოზრდილიყო. თანაც, ზედ ეტყობოდა, დასუსტებულიყო; განა თავადაც ყოველ წუთს არ სუსტდებოდა. სწორედ ეს აიძულებდა მამას, აჩქარებულიყო, დაშურებოდა სათქმელის თქმასაც და საქმნელის ქმნასაც. დრო აკი გადიოდა, ილეოდა.

კირისკი ხმას არ იღებდა, არც თავს იბრუნებდა უკან. არეულად ატრიალებდა იმ მძიმე ხოფებს, მეორე წყვილთან შეუწყობლად. ოღონდ ეს როდი ადარდებდა ემრაინს. უცქეროდა უკნიდან ვაჟიშვილს, უმწეოდ მოხრილს, ჯერ ისევ — ახლალა შენიშნა ეს—ბავშვურად სუსტი აღნაგობის მქონეს, უცქეროდა და ტუჩებს იკვნეტდა. გრძნობდა, გული უკვდებოდა, ეწვოდა, ეთუთქებოდა. ლაპარაკის დაწყება ვერ გაებედა, არადა, უამისობაც ხომ არ იქნებოდა...

ბურუსს თანდათან ეძალებოდა მრუმე, სულ უფრო ჭირდა თვალით რისამე გარჩევა, ემრაინი კი მიაცურებდა და მიაცურებდა ნავს იმ თავის მძიმე საფიქრალს მიცემული. დრო მარ-

თლაც ცოტაღა დარჩენოდა. ხომ ყოველნაირად ცდილობდა, ამ გასაჭირისთვის გაეძლო, ბუნებითაც ხომ ისეთი ჯანმაგარი იყო, მაგრამ შიმშილ-წყურვილი სწრაფად აძაბუნებდა. წუთი წუთს აცლიდა ძალ-ღონეს. უნდა მოესწრო და შვილი იმ ამბავთან შესაგუებლად შეემზადებინა, რაც თავად განეზრახა გულში. უნდა მოესწრო მანამდე, ვიდრე ჯერ კიდევ შერჩენოდა ძალა და თავს ერეოდა.

ესმოდა, ორგანისა და მილგუნის კვალდაკვალ თავადაც უნდა გასცლოდა ნავს. ეს იყო ერთადერთი საშუალება, რითაც სიცოცხლეს თუ ვერ შეუნარჩუნებდა, გაუხანგრძლივებდა მაინც შვილს, გაუხანგრძლივებდა იმ ხნით, რა ხნითაც ლადუკის ძირში დარჩენილი ის ცოტაოდენი წყალი გაატანინებდა თავს. იმას ვერ იტყოდა, ეს ბურუსი ამაღამ გაიფანტება თუ ხვალაო, მით უფრო ვერ იტყოდა, რა ბედი ელოდა ვაჟიშვილს შემდგომ, გინდაც გამოედარებინა, ადრე იქნებოდა თუ გვიან, როგორ უნდა მოეხერხებინა ზღვაზე მარტოდმარტო დარჩენილ ბიჭს, გაეძლო და სამშვიდობოს გაეღწია, თავი გადაერჩინა. ამას ვერც ვერავინ გასცემდა პასუხს. ერთადერთი ის თუ ეიმედებოდა ცოტათი, უფრო კი ცდილობდა, თავი დაეიმედებინა, იქნება თეთრკანიანთა დიდ ნავს წააწყდეს, ვინიცობაა ეს ბურუსი გაიჭრასო. აგრე სმენოდა, ამ წყლებში ზოგჯერ თეთრკანიანი ხალხი გამოჩნდებაო — ოკეანეს სერავდა ის ხალხი, ამათი ნაპირებიდან შორს; დაცურავდნენ რაღაც თავიანთი საქმეების გამო, რომელიღაც შორეული ქვეყნებიდან რომელიღაც სხვა შორეული ქვეყნებისაკენ. თავად არასოდეს შეხვედროდა იმ ხალხს, ვაჭრების მონაყოლით იცოდა ეს ამბავი, ვაჭრებმა ხომ მთელი ქვეყნის ასავალ-დასავალი იციან. ზოგ მათგანს თურმე თავადაც ეცურა თეთრკანიანთა იმ უზარმაზარი, მთისოდენა ნავით.

სწორედ ამ ამბის განდობა უნდოდა ემრაინს ვაჟიშვილისათვის, ვიდრე მას განშორდებოდა. თანაც უეჭველად უნდა დაერწმუნებინა კირისკი, მკაცრზე უმკაცრესად გაეფრთხილებინა, ვიდრე პირში სული ედგმებოდა, ვიდრე გრძნობაზე იქნებოდა, ნავშივე დარჩენილიყო. და თუ სიკვდილი უწერია, როცა წყალი გამოელევა, ნავში უნდა დალიოს სული; ზღვაში არ უნდა გადახტეს, როგორც ეს მოხუცმა ორგანმა, მილგუნმა ქნეს იძულებით და როგორც თვითონ, მამამისი იზამს ამას. სხვა რამ გამოსავალი არ იყო. უნდა დამირჩილებოდა, შერიგებოდა თავის სასტიკ ხვედრს მამა... თუმცაღა, იმას რომ გაიფიქრებდა, თერთმეტი წლის ბიჭუნა მარტო უნდა დარჩესო ნავში მთელი ქვეყნიერების პირისპირ, ამ თვალგაუტან ბურუსში, უკიდეგანო ზღვაში, შიმშილ-წყურვილისაგან ნელ-ნელა უნდა მოეღოსო ბოლო, ჰო, ამას რომ გაიფიქრებდა ემრაინი, გაშეთდებოდა კაცი. ამ აზრს ვაღარასდიდებით შეურიგდებოდა, ეს უკვე მის ძალ-ღონეს აღემატებოდა. მაშინ უნებურად გაჰკრავდა ფიქრი, ვერ შევძლებ, მარტო დავტოვო ბიჭი, მიჯობს, მასთან ერთადვე დავლიოო სული...

მალე მთლად ჩამოლუსკუმდა. ისევ მოიცვა ზღვა ჯანღიანი ღამის შავეთმა. ჯერ დღისითაც რა აზრი ჰქონდა იმ ბურუსში ცურვას, ღამით კი სრულიად უაზრო შეიქნა. ჰოდა, ერთ ადგილას ირწეოდა ნავი ნელ-ნელა. კვლავ არა ნიშანი არ ჩანდა იმისა, ტაროსი შეიცვლებაო. წინანდებურადვე მიყუჩებულიყო ზღვა.

მამა და შვილი ნავის ფსკერზე მილაგდნენ ღამის გასათევად, ერთი-ერთმანეთს ეხურხლებოდნენ, ძილი არც ერთს არ ეკარებოდა. შიმშილითა და წყურვილით ტანჯულნი იმაზე ფიქრობდნენ, აწი რა გველისო...

ძამის გვერდით იწვა კირისკი და მწვავედ იგრძნო, რა ძლიერ გამხდარიყო, გაწვალებულიყო მამამისი ამ რამდენიმე დღის განმავლობაში, როგორ დაჩიავებულიყო ტანად და მოუძლურებულიყო. ერთი წვერიღა შერჩენოდა წინანდებური, ისეთივე ხეშეში. მამას რომ ეხუტებოდა და მისდამი სიბრალულით მორეულ ცრემლებს ყლაპავდა ჩუმ-ჩუმად, ბიჭი დასაბამიერი ვაჟიშვილური სიყვარულის მანამდე განუცდელ გრძნობას ეზიარა იმ ღამეს. სიტყვით ვერ გამოთქვამდა ამ გრძნობას — სულში, სისხლ-ხორცში, გულის ფეთქვაში ჩაჰბუდებოდა. წინათ მუდამ ეამაყებოდა, მამას რომ ჰგავდა, ბაძავდა მას, ოცნებობდა, მისნაირი გამხდარიყო. აწ კი იმ აზრს სწვდებოდა, მამა იგივე მე ვარ, ის საწყისია ჩემი, მე კიდევ მისი გაგრძელება ვარო. მიტომაც ისე შესტკიოდა გული მამისთვის, ისევე ებრალებოდა, როგორც საკუთარი თავი. გულმხურვალედ ევედრებოდა ლურჯ თაგუნას, ორივესთვის მოეტანა წყალი — მისთვისაც და მამისთვისაც.

ლურჯო თაგუნავ, მოგვეც ჩვენ წყალი!
ლურჯო თაგუნავ, მოგვეც ჩვენ წყალი!

თვით მამა აღარ ფიქრობდა სათავისოდ, წყალი დამალევინაო, თუმცა ყოველ წუთს სულ უფრო მეტად უჭირდა იმ ტანჯვის ატანა, რასაც დაუოკებელი, გამძაფრებული, უკვე ფიზიკურად გაუძლისი წყურვილისაგან განიცდიდა. შიგნით სუყველაფერი უხურდა, ეხრუკებოდა, სუყველაფერს რკინისებური ძალის კრუნჩხვა უწეწავდა. თავს გუგუნი შესდგომოდა. ახლა კი ესმოდა, რა წამებით ეწამებოდა ბოლოს მილგუნი. ოღონდ, ამაზე როდი ფიქრობდა. რაღა აზრი ჰქონდა აწ მისთვის იმაზე ეფიქრა, ის ენატრა, წყლის სმით გული მომაჯერებინაო. აქამდისაც

დიდი ხანია ბოლოს მოუღებდა ამ უსაშველო სატანჯველს, ვაჟიშვილი რომ არა, ის რომ შესძლებოდა, ამდგარიყო და მიეტოვებინა შვილი, აგერ მის გვერდით რომ მიყუჟულიყო ამ ბნელ უკანასკნელ ღამეს. ოღონდ იმავ ვაჟიშვილის გულისთვის მართებდა ნავის დაუხანებლად დატოვება. ნუ იქნებოდა ნურა იმედი შვილის გადარჩენისა, მაინც, მაინც კი არა, სწორედ ამიტომ უკანასკნელ შესაძლებლობამდე იცავდა, უფრთხილდებოდა შვილს, რა არის თუნდაც ცოტათი გაეხანგრძლივებინა მისთვის სიცოცხლე; აქ ედო სათავე მამის ანგარიშმიუცემელ შინაგან ჭიდილსა და ნუგეშს, ეს მიაჩნდა ახლა თავის უკანასკნელ ნება-სურვილად, თავის ბოლო საქმედ. მაგრამ ისევ და ისევ შვილის გამო ვერ გადაედგა ეს ბოლო ნაბიჯი. ვერ გაებედა, როგორ უნდა მივატოვო ბიჭი ბედის ანაბარაო. არადა, დახანებაც, გაჭიანურებაც აღარ იქნებოდა — ნიათი სულ მთლად ელეოდა, უკანასკნელი ძალა რითიღა მოეკრიბა...

ჟამი მამის სიცოცხლისა იწურებოდა...

როგორ აეხსნა, რა სიტყვებით განემარტა შვილისთვის ეს ამბავი? როგორ ეთქვა, შენივ გულისთვის უნდა მიგატოვოო?..

— მამა! — ამოიჩურჩულა კირისკმა, თითქოს მიუხვდა გულისნადებსო, და უფრო მაგრად მიეხუტა, თან თავის ლურჯ თაგუნას ეეედრებოდა:

ლურჯო თაგუნავ, მოგვეც ჩვენ წყალი!
ლურჯო თაგუნავ, მოგვეც ჩვენ წყალი!

ემრაინმა კბილს კბილი დააჭირა და სიმწრით ამოიგმინა. თქმით ვეღარაფრის თქმა გაბედა. თავის გულში ემშვიდობებოდა ვაჟიშვილს და, რაც უფრო დიდხანს ეთხოვებოდა, მით უფრო უჭირდა, მით უფრო ესიკვდილებოდა იმ ბოლო ნაბიჯის გადად-

გმა. იმ ღამეს იგი მიხვდა, მთელი ჩემი წინანდელი ცხოვრება თურმე ამაღამდელი ღამის წინამორბედი, მისი შემამზადებელი ყოფილაო. მიტომ დაბადებულიყო და მიტომ კვდებოდა ახლა, უკანასკნელი ღონე ეხმარა და თავისი თავი ვაჟიშვილში დღეგრძელეყო. ეთხოვებოდა ჩუმად შვილს და სწორედ ამაზე ფიქრობდა. საკვირველ რასმე ჩახვდა ემრაინი — ვინც იყო და რაც იყო თავად, სწორედ იმისთვის იყო, უკანასკნელი ამოსუნთქვა არ დაეშურებინა და თავისი თავი თვისსავ ძეში გაეგრძელებინა. და თუ წინათაც არ ეფიქრა ამის თაობაზე, მხოლოდ იმიტომ, საამისო მიზეზი არ გასჩენოდა.

მაშინ წამოაგონდა, წინათაც ჰქონოდა ხოლმე შემთხვევა, როცა ეს ფიქრი გაელვებია თავში, ისე როგორც ელვა გაკრთება ხოლმე ცაზე. გაიხსენა და ახლაღა ჩახვდა იმის აზრს, რაც ერთხელ შეემთხვა. განსვენებულ მილგუნთან და სხვა თვისტომებთან ერთად ერთ უშველებელ ხესა ჭრიდა ტყეში. შექანდა, გადმოიზნიქა ხე, თავად კი სრულიად შემთხვევით იმ მხარეს მდგარი აღმოჩნდა, საითაც ეს უზარმაზარი ხე უნდა წამოქცეულიყო.

ყველამ ერთხმად შეჰყვირა:

— მოეცალე!

ემრაინი მოულოდნელობისაგან გაშეშდა, გარიდებას ვეღარ მოასწრებდა: ის ხე პირდაპირ მისკენ მოდიოდა, წამოვიდა ჭექით და მოლეწავდა იქაურობას, გეგონებოდა, ცა თუ ჩამოამხოო, მაღლა კიდევ, ტყის მწვანე თავანში, კენწეროს ადგილას სარკმელი გამოჭრა. და იმ წუთს მხოლოდ ეს გაიფიქრა, იმ ორიოდე წამში მხოლოდ ამ აზრმა გაუელვა, სხვა რამის გაფიქრება ვერც მოასწრო, რომ კირისკი — მაშინ იგი პატარა იყო და ერთა, ფსულქი ჯერ არ შესძენოდათ — ძე მისი იყო ის, ვინც ემაგივრე-

ბოდა, როცა თავად ამქვეყნად აღარ იქნებოდა. ხე საშინელი გრიალით დაასკდა მიწას იქვე, მის გვერდით, მტვრისა და ფოთლის კორიანტელი დააყენა და ცხვირ-პირში შემოაყარა. ყველას შვების წამოძახილი აღმოხდა. გადარჩა ემრაინი, გადარჩა, საღ-სალამათად არისო!

ახლა, ეს შემთხვევა რომ გაიხსენა, მიხვდა, ძის გაჩენის წყალობით შევიქენი იმგვარი, როგორიც ვარო, არცთუ ჩემს სიცოცხლეში მამობრივ გრძნობაზე უკეთესი და უფრო ძლიერი გრძნობა განმიცდიაო. ამის გამო გულით ემადლიერებოდა შვილებს, უწინარეს ყოვლისა კი, ვაჟიშვილს, კირისკს. ემრაინს უნდოდა, ეს ყოველივე ეთქვა ბიჭისთვის. მაგრამ აღარ ააღელვა და ააფორიაქა. თავისი გასაჭირიც ეყოფოდა ბიჭს...

ჟამი მამის სიცოცხლისა იწურებოდა...

ლურჯო თაგუნავ, მოგვეც ჩვენ წყალი!
ლურჯო თაგუნავ, მოგვეც ჩვენ წყალი!

ჟამი მამის სიცოცხლისა იწურებოდა...

კიდევ ორ-სამ ძვირფას მოგონებას ინახავდა, რომლებიც აგრე იოლად არ ეთმობოდა. არ უნდოდა, ისე წასულიყო იმსოფლად, გულში არ მილოლიავებოდა, თუმცა დრო აღარ აცლიდა. აწ უკვე მოგონებებს ეთხოვებოდა. თან გამუდმებით ახსოვდა, დროა, ნავი დავტოვოო...

პირველი დღეებიდანვე უყვარდა ცოლი. საკვირველი ის იყო, რომ, როცა თავად ზღვაზე იმყოფებოდა, თურმე იგივე ფიქრები აიყოლიებდა, რასაც შინ დარჩენილი ცოლი ეძლეოდა. ასე იყო პირველი დღეებიდანვე. ქალმა იცოდა, რაზე ფიქრობდა ზღვაში გასული მისი კაცი, ისევე, როგორც კაცმა იცოდა ქალის გულისნადები... ეს ერთიმეორის გულისპასუხის გამოცნობა

შორ მანძილზე მათი საიდუმლო გახლდათ, სხვათათვის ფარული სიახლოვის ბედნიერება.

როცა კირისკი ჯერ არ გასჩენოდათ, ოღონდ საცნაური შეიქნა პირველი ნიშნები, რაიც შესაძლოა დადასტურებულიყო ან არ დადასტურებულიყო, შინ დაბრუნებულმა უმალვე ეს უთხრა ცოლს:

— ბიჭი გვეყოლება?

— ჩუმად, კინრები გაიგონებენ! — შეშინდა ქალი, ოღონდ თვალებში სიხარული ჩაუდგა. — რა იცი?

— დღეს შენ ამაზე ფიქრობდი. ეს ძალიან გსურს.

— შენ?

— ხომ იცი, რომ ვიცი, რაზე ფიქრობდი შენ; მეც მაგაზე ვფიქრობდი.

— მე კი იმიტომ ვფიქრობდი, რომ შენ ფიქრობდი ამაზე და ძალიან გინდოდა ეს...

მართლაც ასე მოხდა, წინათგრძნობა გაუმართლდა. კირისკი ჯერ არ მოვლენოდა ამ ქვეყანას, მაგრამ მალე უნდა მოვლენოდა. თანდათან ახლოვდებოდა ის ვადა. იმ დღეებში ცოლი ქმრის ძველ ტყავის შარვალს იცვამდა, მრავალჭირგამოვლილ, ათასგან საკერებელდადებულ შარვალს. ამას იმიტომ ვიცვამო, იტყოდა, ჩემი კაცი რომ სათხევლად მიდის, მისი მამრული სული აქა ტრიალებდესო. თორემ ის, ვინც ამ ქვეყანას უნდა მოევლინოს, ხეირიანად ვერ გაიზრდებაო. იმ დღეებში მისი ცოლი, იმ ძველ ტყავის შარვალჩაცმული, ყველაზე ლამაზი და სასურველი იყო. ყველაზე ლამაზი და ყველაზე სასურველი!

საუცხოო, მღელვარებისა და სიხარულის მომგვრელი იყო ის დღეები, როცა ფიქრობდნენ იმ პაწაწაზე, ვისი წყალობითაც დედ-მამა უნდა შექმნილიყვნენ...

კირისკი გამოდგა ის პაწაწა...

აწ კი სამუდამოდ უნდა გამომშვიდობებოდა მასაც და ყველაფერსაც, რაც მასთან იყო დაკავშირებული.

ჰო, კიდევ ეს გაახსენდა: კირისკი რომ წამოიზარდა, ერთხელ დედამისმა, რაღაცაზე გულმოსულმა, ასე უთხრა — როცა შენ არ მყავდი, უშენოდ გაცილებით უკეთესად ვიყავიო.

ბიჭს ძალიან დასწყდა გული.

— აბა, სად ვიყავი მაშინ, როდესაც არ ვიყავი? — ჩააცივდა ზღვიდან შინ დაბრუნებულ მამას.

როგორ არ გასცინებოდათ... უჩუმრად იცინოდნენ ისა და ცოლი, მხოლოდღა თვალებით. ცოლს მეტადრე ის ამბავი ესეირებოდა, კაცს ვერასდიდებით რომ პასუხი ვერ ეპოვა, არ იცოდა, რა ექნა, როგორ აეხსნა ბიჭისთვის, სად იყო იგი იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო.

ამჟამად კი აგრე ეტყოდა, ჩემში იყავი, სანამ ამქვეყნად გაჩნდებოდი, ჩემს სისხლში იყავ, ჩემს წელში, საიდანაც ჩაეღვარე დედის საშოს და, რა რომ გაჩნდი, ამით ჩემი თავი განიმეორეო. ახლა აგერ მე თვითონ გავქრები, მაგრამ დავრჩები შენში, ჩემს ვაჟიშვილში, რათა შენს შვილებში ვმეორდებოდეო...

ჰო, ადგებოდა და სწორედ ასე ეტყოდა, თავს ბედნიერად იგრძნობდა, რაკი სიკვდილის წინ ამ გულისნადებს გაუმჟღავნებდა, მაგრამ ახლა ყველაფერს ბოლო ეღებოდა. გვარს მისას ეღებოდა ბოლო, დიდი-დიდი კიდევ ერთი, ჰა, ორი დღით გაგრძელებოდა კირისკს სიცოცხლე, მეტს ვეღარ გაატანდა, მამას ეს კარგად ესმოდა. სწორედ ამ ამბავს, ამ უბედურებას ვერ შერიგებოდა, განათუ იმას, ვაჟიშვილის გულისთვის ნავი რომ უნდა დაეტოვებინა...

ბოლოს ის აზრიც უნდოდა შვილისთვის ჩაეგონებინა, მადლიერებით ეფიქრა ხოლმე დარჩენილი დროის განმავლობაში მოხუც ორგანსა და აკი-მილგუნზე. ის ადამიანები უკვე აღარ იყვნენ, იმათთვის სულერთი იყო, მოიგონებდა ვინმე თუ არ მოიგონებდა, მაგრამ ასე ფიქრით შენსავე თავს არგებდი. აღსასრულისწინა წუთსაც კი ამაზე უნდა იფიქრო კაცმა შენივე თავის სარგოდ. როცა კვდები, ამისთანა ადამიანებზე უნდა ფიქრობდე შენივე თავის სასიკეთოდ.

ეს ყოველივე უნდოდა ეთქვა, მაგრამ მერმე გულში დაასკვნა, ეგების ბიჭი ამას თავადაც მიხვდესო...

კირისკს რომ გამოეღვიძა, გაუკვირდა, წინა ღამეებში ასე თბილად არ მძინებიაო. მამისეული ირმის ტყავის ქურთუკი ეფარა. ბიჭმა თვალი გაახილა, თავი წამოსწია — მამა ნავში არ ჩანდა. წამოიჭრა, მოაფათურა იქაურობა და საზარელი. ხმით შეჰბღავლა, ზარმა შეძრა ბურუსიანი ზღვის მდუმარე უდაბნო. დიდხანს ვაებდა და გოდებდა გულსაკლავად. ტიროდა გულამოსკვნით, ცრემლებით იხრჩობდა თავს, მერმე ნავის ფსკერზე განერთხა, ხრიალებდა, თავს ახლიდა ქიმს. ეს იყო მისი საზღაური, გაღებული მამათა მიმართ, სიყვარული მისი, ურვა და მოთქმა მისი იმათ გამო...

ეგდო ნავის ფსკერზე, თავს არ სწევდა, თვალს არ ახელდა. ან თვალით რა უნდა დაენახა, ან წასასვლელი სად ჰქონდა. ირგვლივ ისევ ის მოთეთრო ბურუსი იწვა, ოღონდ ეს იყო, ზღვა ამჯერად გაუბედავად შეირხა, ნავი ააქანავა და ერთ ადგილას ააბორიალა.

კირისკი კი ზლუქუნებდა, გულს ასკდებოდა, თავის თავს

უსაყვედურებდა, რა ჯანდაბად დავიძინე, თუ რომ მეფხიზლა, არასდიდებით დავანებებდი მამაჩემს იმ ამბავს, ხელებითა და კბილებით ჩავაფრინდებოდი და არ გავუშვებდი, დაე ერთად დაგველია სული, დაე თუნდ წყურვილისა და შიმშილისაგან დავხოცილიყავით, ოღონდაც ამ საშინელ დღეში არ ჩავვარდნილიყავ, ასე მარტოდმარტოდ და უნუგეშოდ არ დავრჩენილიყავიო. აგინებდა და ამუნათებდა თავის თავს, ცრემლად იღვრებოდა, რატომ არ გავიღვიძე და ზეზე არ წამოვხტი, რატომ არ ვიყვირე, როცა ღამით უეცრივ ვიგრძენი, მკვეთრი ბიძგისაგან ნავი როგორ გატოკდა და აქანავდაო. განა იმას დაუშვებდა, მამა ზღვაში გადამხტარიყო! განა იმ შავბნელ მორევში მასთან ერთად არ გადაეშვებოდა!

მერმე ბურანში წავიდა თანდათან, სლუკუნებდა და მთელი ტანი უძიგძიგებდა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ საშინელი ძალით შემოუტია წყურვილმა. თითქოსდა, წეღან იმ ვარამმა რომ დაახევინა უკან, იმის სამაგიეროს იხდისო. ძილშიც კი გრძნობდა, როგორ წვალობდა და იტანჯებოდა უწყლობით. საშველს აღარ აძლევდა წყურვილი, გაგიჟებულიყო ლამის. უფრორე ალღოს მინდობილი მიცოცდა ლადუკთან და ნახა, საცობი ოდნავ მოეფომფლოებინათ, ამოძრობა რომ არ გასჭირვებოდა. იქვე კოშიც იდო. დაისხა წყალი და, რისამე ფიქრი არა ჰქონია, შესვა. შეწებებული ტუჩები გაეხსნა, ყელში კრუნჩხვა გაუნელდა. უნდოდა, კიდევ დაესხა და კიდევ დაელია, მაგრამ გადაიფიქრა, შეძლო, თავი დაეოკებინა. კიდევ ერთი ორჯერ დასალევად თუ ეყოფოდა ის დარჩენილი წყალი...

მერმე იჯდა ნაღვლიანი და ფიქრობდა, რატომ ისე წავიდა მამაჩემი, არა მითხრა რაო. მამასთან ერთად ხომ უფრო ადვილად შეძლებდა თავის დახრჩობას, ვიდრე ახლა შეძლებს, რო-

ცა შიშმა და სიმარტოვემ ხელ-ფეხი შეუბოჭა და ისერიგად ეშინია, ქიმს ფეხი გადააბიჯოს. როგორც კი ძალას მოვიკრებ, მასე ვიზამო, გულში დაითქვა.

უკვე შუადღის ხანი იქნებოდა, ან, შესაძლოა, ცოტა უფრო გვიანი. ასე ატყობდა კირისკი ბურუსის გაბაცებული ფერის მიხედვით. მაშ, მზე სადღაც ზენიტზე ანათებდა, მაგრამ მზის სხივები ჯერ ვერ ატანდა ოკეანეზე დიადი გარინდებით ჩამოწოლილი დიადი ნისლის სიზრქეს. ბურუსი უფრო თხელი ხდებოდა, მოცისფრო, შემხმარმა შეშამ რომ ბოლი იცის, იმგვარი. თუმცა ოცი-ოცდაათი საჟენის იქით თვალი მაინც ვერას გაარჩევდა, გარდა გარს მომდგარი მრუმე, მოლივლივე წყლისა.

გაცურვით, აბა, საით უნდა გაეცურა ბიჭს, ესეც არ იყოს, ნიჩბების მოსმასაც ვეღარ შეძლებდა. ნაღვლიანი მზერა შეავლო მამისეულ და მილგუნისეულ საგულდაგულოდ დაყენებულ ხოფებს. ნავი ახლა თავის ნებაზე დაცურავდა, გაურკვეველი მიმართულებით იძვროდა ბურუსში. ყოველი მხრიდან სიმარტოვე მოსჩერებოდა ბიჭს, ჟრუანტელის მომგვრელი შიში მეუფებდა ირგვლივ.

მოგვიანებით, საღამო ხანს, ისევ საშინლად მოსწყურდა. თავი -უბრუოდა შიმშილისა და დაუძლურებისაგან. არც განძრევა უნდოდა, არც აქეთ-იქით გახედვა. ანკი საით გაიხედავდი, რას შეავლებდი თვალს. ლადუკამდე მიღწევაც კი გაუჭირდა. ჩოქვა-ჩოქვით გაფორთხდა და დაღლილი შედგა. ესმოდა, მალე მოძრაობის თავიც აღარ მექნებაო. ხელი სახესთან მიიტანა და შეძრწუნდა: მკლავი გასწლობოდა, გალეოდა, როგორც ბურუნდუკის გამხმარი ტყავი.

ამჯერად იმაზე მეტი დალია, ვიდრე უნდა გამოემეტებინა. წყალი ახლა ზედ ძირზეღა მირჩენილიყო, ერთსაც დალევდა

და მორჩა. წვეთიც აღარ ჩარჩებოდა შიგ. მაგრამ აღარაფერი ენაღვლებოდა უკვე. წყურვილით მაინც სწყუროდა, დაუოკებელი წყურვილი კლავდა. შიმშილი ისე ძლიერ აღარ აწუხებდა, ოღონდ ეგ იყო, კუჭში ყრუ, გაუყუჩებელი ტკივილი ჩაბუდებულიყო.

რამდენიმეგზის გონება მიებნიდა, მერმე ისევ მოდიოდა გრძნობაზე. ნავი კი თავის ნებაზევე დაცურავდა ბურუსში, ახლადგამოცოცხლებულ დინებებს მინდობილი.

ერთი ისეთი ჟამიც დადგა, ბიჭმა მართლა გადაწყვიტა, ზღვაში გადავარდნილიყო. ოღონდ ძალა აღარ ეყო საამისოდ. წამოიჩოქა და ქიმის ძგიდეს გადაეკიდა. იყო ისე გადაკიდებული, ხელები ქიმს იქით ჰქონდა გადაწეული, ოღონდ ტანი ვეღარ გადაეტანა ძგიდეზე. მერმე ისერიგად მიილუშა, ლადუკში ჩარჩენილი წყლის დალევაც აღარ უცდია.

იწვა ნავის ფსკერზე და ჩუმად ტიროდა, მოუხმობდა თავის მარწყულებელ თაგუნას:

ლურჯო თაგუნავ, მოგვეც ჩვენ წყალი!

ლურჯი თაგუნა არსად ჩანდა, წყურვილი კიდევ უარესად ახრჩობდა. კვლავ მოაგონდა ის ზაფხული, როცა ტიტლიკანა ბანაობდა ნაკადულში. მაშინ რა, შვიდი წლისა თუ იქნებოდა, მეტის კი არა. იმ წელიწადს ცხელი ზაფხული იდგა. ტყის პირას კარგა მაგრად აცხუნებდა მზე. იქ კენკრას კრეფდნენ. მერე საბანაოდ გასწიეს. დედამისმა და დეიდამისმაც იბანავეს. მაინცდამაინც როდი ერიდებოდნენ კირისკს. გაიხადა ორივემ ტანთ, მუქი თეძოები გამოუკრთათ, მიიფარეს ხელისგული ძუძუებზე და გაუბედავად შედგეს ფეხი ნაკადულში. უცნაურად შეიკივლებდნენ ხოლმე, წიოდნენ, ჭყუმპალაობდნენ წყალში. ხოლო

კირისკი რომ წყლის პირ-პირ გატანტალდებოდა და ნაპირიდან ისკუპებდა, ორივენი სეირობდნენ და სიცილით წყდებოდნენ მისი მაცქერალი, მეტადრე დედა. „შეხე, შეხე, — ეუბნებოდა დას, — როგორა ჰგავს მამას, ალი-კვალი მამაა!“ კიდევ ამბობდნენ რაღაცას, ეშმაკურად ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს და გიჟმაჟურად იცინოდნენ... წყალი კიდევ დიოდა და დიოდა დაუსრულებელ ნაკადად, გესვა, ვიდრე გულს არ მოიჯერებდი, გებანავა, რამდენ ხანსაც გინდოდა...

ლურჯო თაგუნავ, მოგვეც ჩვენ წყალი!

ელანდებოდა, ისევ იქ, იმ ნაკადულის პირას ვარო. კვლავ ცხელი ზაფხული დგას და დედიშობილა ვბანაობო. აი, მირბის ნაპირ-ნაპირ, ხტება წყალში, მაგრამ ჩქერის სიგრილეს ვერა გრძნობს. ეს რაღაცნაირი მოუხელთებელი, არანივთიერი წყალია, წყალი კი არა, ნისლია. ამ ნისლში ბანაობს. სცივა ამისთანა წყალში. დედა კი აღარ იცინის, ტირის. „შეხე, შეხე, როგორა ჰგავს მამას!“ — ეუბნება ვიღაცას და ტირის, მწარედ ტირის... მლაშე ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდის სახეზე...

ღამით კირისკი რწევამ და ქიმს იქით ტალღების ტლაშუნმა გამოაღვიძა. ბიჭმა უღონოდ შეჰყვირა — მაღლა ვარსკვლავები დაინახა! დაინახა პირველად მთელი ამ დღეების განმავლობაში. შორს, ჩამუქებულ ცაზე ციმციმებდნენ, ქულა-ქულა დაფლეთილ ღრუბელთ შორის, ის ღრუბლის ქულები კიდევ ზღვის თავზე მიცურავდნენ. მთვარეც კი გამოჩნდა ორიოდეჯერ, გამოჩნდა და უმალვე შეიმალა ღრუბლებში.

გადაირია ბიჭი — ვარსკვლავები, მთვარე, ქარი, ტალღები — ეს ხომ სიცოცხლეა, მოძრაობაა! და თუმცა ის ნისლი ალაგ-ალაგ კიდევ შექუჩებულიყო, ხოლო ნავი რომ შიგ შეცურდებო-

და, კვლავ ბნელში ინთქმებოდა, დიდხანს როდიღა გრძელდებოდა ასე. მიიკრიფებოდა დ ი ა დ ი ნისლი, აქამდე გარინდებით მდგარი, მიერეკებოდა ქარი და ტალღები, ფანტავდა კიდით კიდემდე.

ცრემლმორეული შეჰყურებდა ბიჭი იმ ვარსკვლავებს. საიმისო ძალა აღარ შესწევდა, ნიჩბებს მისჯდომოდა, არც იცოდა, როგორ გაეგნო გზა ვარსკვლავების მიხედვით, არ იცოდა, საით უნდა გაეცურა, არც ის უწყოდა, ახლა სად იყო და აწ რა ელოდა, და მაინც ხარობდა, რაკი კვლავ ჩაესმოდა ტალღების ტლაშუნი, რაკი კვლავ უბერავდა ქარი, ნავი კიდევ ტალღებს მინდობილი მიცურავდა.

ტიროდა ბიჭი სიხარულისა და დარდისაგან, გამოიდარაო ქვეყნად, ზღვა კვლავ ამღელვარდაო, ეჰ, ნეტა წყალი მომცა დასალევი და ცოტა რამ ხემსი, ერთხანს კიდევ ვიხარებდი ამ დუნიაზეო. მაგრამ ესმოდა, ველარ წამოვდგები ზეზე, ორიოდე დღის სიცოცხლეღა დამრჩენია, მალე ეს წყურვილი მომითავებს ხელსო...

ნავი კი სულ უფრო ლაღად და თამამად მიცურავდა ტალღებზე. მიჰყვებოდა დინებას, უსაჭოდ და უნიჩბოდ. უკვე ბუნდოვნად ილანდებოდა ზღვისმიერი ჰორიზონტი, სულ უფრო მეტად იფანტებოდა ღამის ბინდი, იშვიათადღა ხვდებოდა ნავს სავალ გზაზე შექუჩებულად მდგარი ჯანღი. და ის ჯანღიც აღარ იყო წინანდებურად მრუმე და დამთრგუნველი. იმ ნისლში ახლა უჩუმრად მიმქროლავი ფანტასტიკური არსებანი გეჩვენებოდნენ. თავისთავად ჩნდებოდნენ და უჩინარდებოდნენ ის არსებანი ქარის წამობერვისას, აქეთ-იქით მიერეკებოდნენ, განაქარებდნენ ბურუსს.

გამოანათებდა თუ არა მთვარე ღრუბლებს შორის, ზღვის

ზედაპირს უმალვე ჭავლი მოედებოდა, ალივლივდებოდა, ისევ მიეძალებოდა ბინდი, მერმე კვლავ იწყებდა ლივლივს. შეჰყურებდა ბიჭი ჩუმად მოჟიკჟიკე ვარსკვლავებს და ფიქრობდა: „ნეტა რომლებია მათ შორის ბედის ვარსკვლავები? რომელია ათკიჩხ ორგანის ვარსკვლავი, რომელია — აკი-მილგუნისა, მამაჩემის — ემრაინისა რომელიღაა? თქვენ არ ჩანდით ეს დღეები. ვერ დაგვინახავდით, ვარსკვლავებო, ბურუსში. მე კი მარტო ვარ ახლა, ჰოდა, არ ვიცი, საით მივცურავ. მაგრამ შიშით აღარ მეშინია, იმიტომ, რომ ეგერ სუყველას გხედავთ ცაზე. ოღონდ არ ვიცი, ვისი რომელი ვარსკვლავი ხართ. არა, თქვენი რა ბრალია, ეს ამბავი რომ მოხდა. თქვენ ხომ ვერ გვხედავდით ზღვაში. დიადი ნისლი გვფარავდა. ჰოდა, დავრჩი მარტო. ისინი კიდე წავიდნენ, სამივენი წავიდნენ. ძალიან უყვარდით იმათ, ვარსკვლავებო. ძალიან გელოდნენ, ძალიან უნდოდათ, დაენახეთ, დედამიწისკენ გზა რომ გაეგნოთ. ათკიჩხი ორგანი ამბობდა, ვარსკვლავები არასოდეს მოგატყუებენო. უნდოდა, ესწავლებინა ჩემთვის... ოღონდ, თქვენი რა ბრალია, ეს ამბავი რომ მოხდა. მეც აღარ მიწერია დიდი დღე. წყალი გამომელია, ძალა სულ წამერთვა, ვიცოდე მაინც, საით მივცურავ... ცოტაღა დამრჩა წყალი, ერთი ბეწო, ჰოდა, დავლევ ბარემ, მეტს ვერ მოვითმენ, აღარ შემიძლია. დღეს აგერ იმ თევზის შესანახ შულდაკს მოვაგლიჯე ტყავი და დავღეჭე, სელაპის ტყავისაა ის შულდაკი. მაგრამ მეტს პირს ვეღარ დავაკარებ, გულს მაზიდებს, ლამის ვარწყიო.... დავლევ ბარემ იმ დარჩენილ წყალს. ჰოდა, თუ ვეღარ ვნახეთ ერთმანეთი, აგერ გეუბნებით, ვარსკვლავებო, — ათკიჩხ ორგანს, აკი-მილგუნს და მამაჩემს ემრაინს ძალიან უყვარდით... თუ სული მიმყვა დილამდე, მაშინ გამოგემშვიდობებით...“

მალე ნავი ისევ მოხვდა ბურუსის ფართო ზოლში. გაუჩი-

ნარდა ყოველივე, კვლავ ვერას გაარჩევდა თვალი. ოღონდ ნავი კვლავინდებურად მიცურავდა, მიერეკებოდა ქარი და ტალღები. კირისკისთვის უკვე სულერთი იყო ყველაფერი. დალია ის დარჩენილი, სულ მთლად აშმორებული, მყაყისნაირი წყალი და იქვე, გამოცლილ ლადუკთანვე მიეგდო, კიჩოზე, იმ ალაგას, სადაც მოხუცმა ორგანმა იცოდა ჯდომა. აღსასრულს დაუწყო ლოდინი, ეს ბურუსი შიშს აღარ ჰგვრიდა. გული სწყდებოდა მხოლოდ, ვარსკვლავები რომ აღარ ჩანდნენ, შესაძლოა, აღარ დასცლოდა და ვერ გამომშვიდობებოდა იმათ... მთლად მიილუშა და შიიბნიდა. .

იწვა ასე ნახევრად მიბნედილი, ბურანში წასული. კაცი ვერ იტყოდა, რა ხანი გასულიყო. შესაძლოა, ნაშუაღამევი იდგა უკვე, ან იქნებ ილეოდა კიდეც ღამე. გაგიჭირდებოდა რისამე გადაჭრით თქმა. თხელი ბინდი ისე ეფინებოდა ზღვას, როგორც ქარდაკრული კვამლი მიეფინება არეს.

ბედიც არის და ბედიც. ბიჭს შეიძლებოდა გაეგონა ის ხმა და შეიძლებოდა ვერც გაეგონა. მაგრამ გაიგონა. ყური მოჰკრა, თავზემოთ უცებ შხუილი როგორ გაიღო ფრთებმა, იმ ბინდში რაღაცამ დაბლა გადაუქროლა ნავს. შეტოკდა ბიჭი და მყის თვალი ჰკიდა, ფრინველი იყო, დიდი, ძლიერი ფრინველი, განიერ ფრთებს რომ მიიქნევდა.

— აგუკუკი! — შესძახა ბიჭმა. — აგუკუკი! — მოასწრო და თვალი მიაყოლა, საით მიფრინავდა პოლარული ბუ, მოასწრო ქარის მიმართულების დახსომებაც. ქარი მარცხნიდან ქროდა, მარცხენა მხრიდან სცემდა კეფაში, მარცხენა ყურის ცოტა უკან.

— აგუკუკი! — მიაძახა ფრინველს და უკვე ორგანისეულ საჭეზე ეკიდა ხელი, იქით მიმართვადა ნავს, საითაც აგუკუკი მიფრინავდა.

მთლად დაიძაგრა კირისკი, საჭეს ჩაჰფრენოდა, მთელ თავის ძალ-ღონეს იკრებდა, ერთი რამეღა ახსოვდა, სხვა არაფერი, ქარის მიმართულება და ფრინველის გეზი.

ვინ იცის, საიდან საით მიფრინავდა პოლარული ბუ. კუნძულიდან დედამიწისკენ თუ დედამიწიდან რომელიმე კუნძულისაკენ. ოღონდ კირისკს არ დავიწყებოდა მოხუც ორგანის ნათქვამი — ეგ ფრინველი სულ სწორი გზით მიფრინავსო ზღვაზე. ყველაზე უფრო ძლიერი ფრინველი იყო, ღამღამობით და ბურუსიან ამინდში რომ დაფრინავდა. ახლა იმის ნაჩვენებ გეზს მიჰყვებოდა ბიჭი.

ნავი კი მისრიალებდა ტალღიდან ტალღაზე. ქროდა თანაბარი ძალის ქარი. ბურუსი იცრიცებოდა, იფანტებოდა, ცისკიდური ოდნავ ნათდებოდა უკვე. ხოლო წინ, სწორედ ბიჭის პირდაპირ, მუქ ლურჯად ჩაბინდულ ცარგვალზე ეულად კაშკაშებდა შუქურვარსკვლავი. კირისკმა შენიშნა, ის ვარსკვლავი სწორედ იმ მხარეს იყო, საითაც თავად ნავის ცხვირს უპირდაპირებდა. მიხვდა, იმ ვარსკვლავს უნდა მიჰყოლოდა, იმისთვის უნდა ედევნებინა თვალი, იმისკენ უნდა ეცურა, რადგან აგუკუკი იქით, იმ მხარეს გაფრინდა. არ იცოდა, რა ვარსკვლავი იყო ის ვარსკვლავი, ოღონდ თვალს არ აშორებდა, თან კეფით ქარი ახსოვდა, მისი მიმართულება, მისი ძალა, მისი მიმოხრა.

„ეგრე იქროლე, ქარო, ნუ გამეცლები. არ ვიცი, რა გქვია შენ, ათკირჩხი ორგანი რომ იყოს აქ, ის კი მეტყოდა შენს სახელს. მაგრამ მოდი და, გამიწიე ძმობა, ქარო. ნუ გამეცლები, ნუ გადაიხრები სხვა მხარეს. შენ ხომ შეგიძლია, დიდხანს იქროლო ისე, როგორც თვითონ გინდა. დამეხმარე, ქარო, ნუ გამეცლები. მე კიდე შენს სახელს გავიგებ და სახელს დაგიძახებ. გინდა, ქარი ორგანი დაგიძახო? ჩემს ათკიჩხს ორგანს ერქვა ეს სახელი. მუდამ ასე

მოგმართავ ხოლმე — ქარო ორგანო-მეთქი. ჰოდა, შენც გეცოდინება ჩემი თავი...“

ასე შეულოცავდა ზურგის ქარს, მხარი არ შეიცვალოო, ჩააგონებდა, თავის სულსა და ნებას უნერგავდა. თან თვალს არ აშორებდა გზის მანათობელ ვარსკვლავს, რომლის მიხედვითაც ნავს მიაცურებდა. „მიყვარხარ, ჩემო ვარსკვლავო, — ეუბნებოდა იმ ვარსკვლავს. — რარიგ შორსა და მაღლა მინთიხარ. ყველაზე დიდი და ლამაზი შენ ხარ. გთხოვ, ნურსად წახვალ, მანდვე იყავ, ნუ კი ჩაქრები. შენკენ მოვცურავ. არ ვიცი შენი სახელი. ჰოდა, ნუ გამიბრაზდები. ვერ მოვასწარი გაგება. მამაჩემს ემრაინს ეცოდინებოდა, იგი მეტყოდა. თუ გინდა, მამაჩემის სახელს დაგიძახებ, ემრაინის ვარსკვლავო-მეთქი, ასე მოგმართავ. მოგესალმები ხოლმე, ცაზე რომ გამოჩნდები, შენს სახელს ჩურჩულით წარმოვთქვამ. შენ კიდე დამეხმარე, ემრაინის ვარსკვლავო, ნუ წახვალ დროზე ადრე, ნუ ჩაქრები, ნურც ღრუბელში შეიმალები უეცრივ...“

ასე შეულოცავდა იმ თავის გზის მანათობელ ვარსკვლავს. ზვირთებსაც შეულოცავდა: „მიაქანებთ, ზვირთებო, ჩემს კარჭაპს და კარგები ხართ. მე თქვენ აკი-მილგუნის ზვირთებს დაგიძახებთ. საითაც აგუკუკი გაფრინდა, თქვენც იქით მიემართებით. თქვენ ხომ შეგიძლიათ, დიდხანს მიღელავდეთ იქით, საითაც თვითონ გინდათ. ჰოდა, ნუ გამეცლებით, აკი-მილგუნის ზვირთებო, ნუ გადაუხვევთ გზიდან. ნიჩბებს მოვუსვამდი და ისე გავცურავდი, მაგრამ ძალა სულ მთლად გამომელია. ხომ ხედავთ, მივცურავ თქვენს ნებას მონდობილი. თუ გადავრჩი, მუდამ მეცოდინება, რომ თქვენ ორგანის ქარს და ემრაინის ვარსკვლავს მიჰყვებით. ჰოდა, ყველას გავაგებინებ: აკი-მილგუნები რომ შეგვხდებათ ზღვაზე, კარგ ნიშნად ინიშნეთ-თქო! დამეხ-

მარეთ, აკი-მილგუნებო. ნუ გამეცლებით, ნუ მიმატოვებთ...“

ვარსკვლავებს შორის ყველაზე დიდხანს ემრაინის ვარსკვლავი ანათებდა. გათენებისას ის ერთიღა შერჩა ცარგვალს. ცისკრის ხანს კამკამა შუქით აკაშკაშდა და მერმე თანდათან მიცხრა, გამკრთალდა დილის მონაცრისფრო ჰაერში, თუმცა კიდევ დიდხანს ნაზ, თეთრ ნიშნად აჩნდა ცისიერს.

ასე გათენდა დილა. ამოცურდა მნათობი ზღვაზე.

კირისკმა თან გაიხარა, თან შეკრთა. გაახარა მზის ამოსვლამ, ხოლო შეაკრთო ზღვის უკიდეგანობამ. უდაბური იყო ეს ჩამუქებული ზღვა, სიციველაკრულ სილურჯედ განფენილი ლივლივებდა მზეზე. ბიჭი გამწარებული ჩაფრენოდა საჭეს, ცდილობდა, მეხსიერების მიხედვით ეცურა, ყურადღებას ძაბავდა, ქარის მიმართულებას არ ავცდეო. დაქანცა ამ ძალისხმევამ...

ისღა დაახსომდა, როგორ დაეხვა თავბრუ და თვალი აუსიორდა...

ნავი აწ თავისი სვლით მიცურავდა...

მზე ცარგვლის მეორე მხარეს გადაწეულიყო, როცა ბიჭი გონს მოვიდა. წამოიწია ძალისძალად, მოცახცახე ხელებს დაეყრდნო, შეცოცდა კიჩოზე ძლივძლივობით; იქ ერთხანს გაირინდა თვალმოხუჭული, იცდიდა, თავბრუხვევა როდის გამივლისო. მერმე თვალი აახილა. ნავი კვლავ ტალღებს მინდობილი მიცურავდა. ზღვას ისევ ისე მოსდებოდა ჭავლი, სადამდეც მზერა მიგიწვდებოდა, ამ ათასნაირად მოლივლივე წყალს ხედავდი. წინ გაიხედა კირისკმა, თვალი მოიფშვნიტა და გაშტერდა. წინ, მუქ მწვანედ აქედილ ზღვის მიღმა, ჭრელი ძაღლი ამოჩენილიყო და აქეთ, პირდაპირ ბიჭისკენ მოისწრაფოდა. ჭრე-

ლი ძაღლი მორბოდა შემოსაგებებლად! დიადი ჭრელი ძაღლი!

უკვე ჩანდა ბექობიანი ნაპირის ლეგა-ცისფრად გავლებული ზოლი. ჭრელი ძაღლი, თეთრყურა და თეთრფერდა, ყველაზე მაღლა აღმართულიყო იმ ბორცვებს შორის; უკვე გაარჩევდა კიდეც კაცი მარადისი ზვირთცემის თეთრ არშიას, ჭრელი ძაღლის ძირას გაყოლებულს. უკვე მოისმოდა სანაპიროზე მოფარფატე თოლიების ჟღივილი. თოლიებმა ყველაზე უწინ შენიშნეს ბიჭი. ხოლო ბექობის თავზე ცისფერი ბოლი ადიოდა, იმ სანიშნო ცეცხლის ბოლი, კბოდეზე რომ დაენთოთ და ინავლებოდა უკვე...

ჭრელო ძაღლო, ზღვის პირს ადევნებულო,
აგერა მარტო გიბრუნდები შენ —
აღარც ათკიჩხი ორგანი,
აღარც მამა ემრაინი,
აღარც აკი-მილგუნი,
მკითხე ერთი იმათი ამბავი.
ოღონდ ჯერ წყალი დამალევინე...

მიხვდა კირისკი, ეს მისსავ სახელზე შექმნილი სიმღერის საწყისი სიტყვები გახმიანებულიყო გულში, და ეს სიმღერა აწ განუყრელი იქნებოდა მისგან სამარის კარამდე.

...გუგუნებდა, ჭირკოდილობდა უკუნს დანთქმული ზღვა, ეძგერებოდა კბოდეს და თავ-პირს შეალეწავდა. იგერიებდა ზღვის ამ კვეთებას, გულის შემძვრელად გმინავდა ქვისებურ მყარი მიწა.

ასე შერკინებიან ერთურთს დასაბამითვე — მას აქეთ, რაც იქმნა დღე და რაც იქმნა ღამე, და კვლავაც აგრე უნდა იყოს

მუდამ ჟამს, დღეცისმარე და ღამეცისმარე, ვიდრემდის ჰგიეს წყალი და დედამიწა დაუსრულებელ ჟამთადენაში...

დღეცისმარე და ღამეცისმარე...

...ილეოდა კიდევ ერთი ღამე...

დაჰქშუოდა ქარი ორგანი ზღვას, მიაგორებდა ზღვა აკიმილ-ვუნის ზვირთებს, ხოლო რიჟრაჟშეპარული ცის ტატნობზე კ‹ ›-ფობდა ემრაინის შუქურვარსკვლავი.

მოიწევდა კიდევ ერთი ახალი დღე...

Айтматов Чингиз Торекулович
ПЕГИЙ ПЕС, БЕГУЩИЙ КРАЕМ МОРЯ
(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1982

ს. ბ. № 1151

რედაქტორი მანანა ზუბადალაშვილი
მხატვარი სპ. ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური რედაქტორი ვ. პირველი
კონტრ.-კორექტორი მ. ლაღაძე
კორექტორი ნ. მუსხელიშვილი
გამომშვები მ. ნიქაბაძე

გადაეცა ასაწყობად 27.04.82. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.08.82. ანაწყ. ზომა 5,5×7. ქაღალდის ზომა 70×108 1/32. ნაბეჭდი თაბახი 5,77. საღებავგატარება 6,12. საბ. ქაღალდი № 2. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 4,85. ტირაჟი 20.000 შეკვ. № 1961.

ფასი 15 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, მარჯანიშვილის 5.
Издательство «Накадули», Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

აიწყო წიგნის ფაბრიკაში, დაიბეჭდა და აიკინძა საქ. სსრ გამსახკომის № 4 სტამბაში, თბილისი, მედქალაქი, II კორპუსი.
შეკვ. № 608.
Набрано на книжной фабрике. Напечатано и переплетено в типографии № 4 Государственного комитета по делам изда-